

ლიტერატურული გაზეთი

№ 19 5 - 18 თებერვალი 2010

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 50 თეთრი

ქროშა

მაკა
მიქელაძე

ზვინაძე
კვარაცხელია

აკა
მორჩილაძე

კოეზიუ

ნინო
სადღოზელაშვილი

ჯემალ
თოფურიძე

კორტრეში

ლალი
ავალიანი

ინტერვიუ

რუსუდან
ფატვიანაშვილი

ანდრო
ბუაჩიძე





მაკა მიქელაძე

გ ა დ ა მ ნ ე რ ე ლ ი

— როგორ არაფერი? სულ არაფერი?! — შეეშინდა. — უჰუ. — ჰოოო...

მეზობლის წასვლა განსაკუთრებით მოუხდა. ყავის ფინჯნებში ყავა უგემურად გაირინდა ნახევრად შესხულ მდგომარეობაში.

— მე წავალ. — აწივდა მეზობელი. — ყდა მაგარი აქვს.

— აბა, რბილ ყდაში ვიკადრებდი?! — იტიკცა.

საყვარლის მოსვლისთვის თათარიახნად გამოიცვალა, ასე ვთქვათ საშინაო, გრძელი ნითელი კაბა შემოიცვალა, სარკეში შენიშნა, რომ წიგნებმა კაბის შესაფერისად იცვალეს სტილი.

კაბა, რომელსაც სახელად „აბა თუ ჩახსნი“ ერქვა, კაბის სახელით ნაქეზებულმა საყვარელმა ჩახსნა.

მოგვიანებით, როცა ძალღვივით აღარ ქასქასებდა, საყვარლის თავზე წიგნი აღმოაჩინა, მაგრამ ბიზნესს ატლანტიკით შედგმული მხრები ამ აღმოჩენით აღარ დაუშინებია.

— რა წერია? — მიელურსა ბიზნესის თაღს ჰერაკლესავით ემშაობით გამოსხნილ სატრფოს და წიგნის ფურცლები ცხვირთან გაუშრიალა.

— გიხდება-თქო. — ამოიქშინა საყვარელმა.

— რა წერია აქ? — თავზე მიიკაკუნა თითი.

საყვარელმა ცალი თვალთა ჩაიხედა წიგნში და დაამტყნარა.

— წლიური სამემოსავლო ანგარიში, კრედიტი, ბალანსი. ექსელშია შესრულებული. ბევრი ვერაფერი.

ამდენს ნამდვილად არ ელოდა. ალბათ ძალიან ჭკვიანურად გამოვიყურებო, ეამა ქათინაური.

— უნდა გავარდნი! — ფართხა-ფურთხით ეცა სკამზე გადაკიდებულ წინდებს და ჰალსტუხს. პირველად ისინი მოირგო. ამ დროს მისმა მეწყვილემ ტაქტიანად დახედა საათს. თერთმეტისთვის მზად იყავიო, დახეპირებულივით გადაკაცუნეს კარებში. ფორ-მა-ში!

— თინო, რა ბედნიერი ხარ!!! — კვალზე მოადგა, ყოველთვის ასეთი შემთხვევების შემდეგ მომსტუმრებული დაქალი. — ცოლად მოჰყვებარ?

დაიბნა. ძნელი იყო ამ დაქალთან კრედიტით და ბალანსით თავში თავის გამოყოფა.

— ბედნიერი? გაღვივებული, განვლილი ურთიერთობები! აჰ! მოვიდა, გამაბედნიერა, წავიდა. მოვიდა, გამაბედნიერა, წავიდა, მოვიდა, წავიდა. არ შორდება, არც გაშორდება. არც მინდა. — თვალწინ სკამზე გადაკიდებული წინდები დაუდგა და თემა შეცვალა. — ამას ხედავ? — ორივე ხელი წაივლო თავზე. ფურცლები მოინესრიგა. — ჩამხედა რა თავში.

— ვაიიიი! ტილიიიი!!! თინოც აკვივდა, მაგრამ დროზე მოეგო გონს...

— ტილი კი არა, წიგნის ჭია! არანორმალური. მე კიდევ ეგ მინდა?

დაქალი წიგნს ჩაუჯდა. თვალცრემლიანმა გადააბულბულა საპნის ოპერის სერვისი მოკლე შინაარსის ამონაბეჭდი საკვირაო გაზეთთან, თუ იაფასიანი ბულვარული რომანიდან:

„ისინი ხელიხელჩაკიდებული მიუყვებოდნენ ხეივანს. მან კბილებს შორის გამოსცრა, რომ არავისთვის უთქვამს მიყვარხარ. იგი გავეშებული შემობრუნდა და მის ცხელ ბაგეებს დაეწაფა. ქალი ჯერ მიენდო, შემდეგ გაენდო, ბოლოს კი კეთილგონიერებას უხმო. კეთილგონიერება იგივანებდა. მიჯნურის ხელი კი მისი საკინძისკენ გველივით მიიკლანებოდა. ქალს გარდაცვლილი გამზრდელის შეგონებანი დაატყდა თავს ღვარცოფივით მოგონებათა სკივრიდან.

— არა და არა! — შეჰკვივლა მრავლისმეტყველად. — შენ მე მიღალატე.

— არა კი არა კი! — გახელდა თვალეზანთებული მაჩო.

— მეც მაგას არ გეუბნები! მოღალატე!

— ტყლაშანი! კაცმა თვალეზანთებული არყის ხის კენწერობ-

ში მონავარდემ მთვარისკენ აღაპყრო.

— ველარასოდეს მნახავ! — იტიკცა გამოთქმით და მარცხენა ძუძუსთან მარცხეტი ჩაიცა.

— დონ ხუან-ჯაკომო-ხოსე-კარლოს-კარერა-ალექსანდროს! ჰო-არა! და მარად... შენი ვარ!

სანამ დაუძახებდნენ სული უფალს მი-აბარა. სხეული ფაზენდას.

მეგობრებს ცრემლები დაბა-ლუპით გადმოუღვალვარდათ. სლუკუნიც რომ მოათავეს, თინომ წიგნი დახურა:

— აი, ეს სხვა საქმეა. ასე შინაარსიანად ყველგან შეიძლება გამოჩენა, წავიდეთ, პანაშვიდზე ვარ შესარბენი. დაკეცილი როცაა, მიხდება?

— შენ ყველაფერი გიხდება.

პანაშვიდამდე მისასვლელი გზები პროფკავშირულ მოძრაობას მიჰყვებოდა, ან პირიქით, პროფკავშირული მოძრაობა მიუყვებოდა გზებს და ჰქმნიდა "პრობლემებს."

საპანაშვიდე ზმანისთვის წიგნმა აკადემიური შინდისფერი დაიდო და ოქროსფრადაც მოვარაყდა. უკანა წიგნ- და ქუსლებამაღლებული თავდაჯერებით მიაბიჯებდა ხალხთა ნაკადებისკენ.

თინოს სახლის ახლოს ბუკინისტური წიგნების გამყიდველის ხარაჩოსებრი დახლი იდგა. ჭარმაგი, პენიანი, ლაბადაშეცრეცილი კაცი მშვიდი იყო აკადემიის ბიბლიოთეკის კატალოგივით.

— წიგნები! — არასდროს დამართნია და გული აუჩქროლდა. მერე გამყიდველს ეჭვით გადახედა. ამის მოწყობილია, ნამდვილად, დააკვირდა.

— ისა... რა ქვია... უკაცრავად თქვენ... ეეე... — მიპაკუნდა დახლთან. — რა წიგნის ნაკითხვას მირჩევთ?

— იკითხეთ, ნორჩო მეგობარო, დონ-კიხოტი. — თვალეზანთა გაუღიმა. — ცნობისთვის ასე უპასუხა დიდმა ქირურგმა დამწყებს კითხვაზე, როგორ გავხდე კარგი ექიმიო.

უცნაურ რაინდს ერთფეროვანი არ ეთქმოდა, მაგრამ თინოს ქარები თმებს უჩჩაყვდა და არც ნისქვილის ბრუნვა მატებდა საბრძოლო შემართებას.

— წიგნებს არ იბარებთ? — იკითხა და თავისკენ წაიღო ხელი.

— წიგნს გააჩნია. — უკიდევანო იყო ბუკინისტის სევდა, ლევიათანის გარე არესავით.

თინომ დახლს ყასიდად გადაავლო თვალი. შემოვივლით ამ დღეებშიო, მიაძახა დახლსე და ტაქსში ჩახტა.

— ხვალ, ალიონზე ... — წიგნის გამყიდველი ნამდვილად საეჭვოდ იქცეოდა.

ტაქსის მძღოლმა „დანა, ჩანგალი, სირჩა და შავი ხიზილალა“ რომ ასწია, მარკა აღარ შეურცხვენია. ერთი კი მიაყვირა დამგზავრებულს, პირველად ვხედავ თქვენისთანა მშვენიერი გოგონა გაზეთისგან გაკეთებული პანამით დადიოდესო.

ქუჩა გადაკეტილი იყო. მომიტინგეთა შორის ძლივს გაიკვლია გზა. მავანს თავზე პაპირუსით, მოეჩვენა, მავანს ფოლიანტებჩამომტყვერილი, უმრავლესობა ათას-ნაირდემოკრატიული პარტიების მრავლობით ლიდერთა მრავალმნიშვნელოვანი და მრავალპარტიულობის აპოლოგეტი მრავალმნიშვნელობით დათავსაბურავებულს ხედავდა.

— ბოლოს და ბოლოს, ვისი ტექსტებით ვიკითხები?!

— გაცეცხლდა თინო და იდაყვები მოძალებულთა მოსაგერიებლად შემართა.

წიგნები ბუხარში შეგდებულ ივით აბრიალდა, ჩაინავლა და ფენიქსივითაღსდგა. ა4-ის 1/2, 120 გრამიანი, ყვითელი ქალაღი, ყდა ფერადი, მაგარი, ა კ ი ნ ძ უ ლ ი , ლამინირებული, ნაყუმბიანი, კიდებმზარნიშუნიკებული, ლინო და ლითოგრაფიურებით... ჰიადნად-

ცატი ვეკ... ანტიკვარნი. — ზარაფხანასთან შეუხვია და მოპანაშვიდებს შეუერთდა.

ჭირისუფალს შინდისფერი წიგნი თვალში ცუდად მოხვდა. თინო გაშავდა, არ გამოუვიდა ლამაზად. სადარბაზოში დარცხვენილი აიტუზა. მუდარით სავსე თვალეზანთა მიაბყრო ურვაშეპარულებს. ნაცნობი არეინ ჩანდა. თავჩაქინდრული და მობოლურის ეკრანს ჩაცვიებული, ზრდილობის ათი წუთის გასვლისთანავე, ადგილს ქარივით მოსწყდა.

— ჯერ შეიცადეთ, — ჩამოსძახეს ზემო ბაქნიდან. — ასეთ ჩამთრევ დედექტივს ძნელად თუ წაანყდები ჩვენს ბაზარზე...

ნაბიჯს აუჩქარა.

— ჰმ, როგორც ყოველთვის, ყველაზე საინტერესო ადგილას... — ამოიგმინა უფასო სამკითხველო დარბაზების მოყვარულმა.

შთაბეჭდილებებით გადავლილმა თინომ გამოძინება გადაწყვიტა. ძილში მისი შთაბეჭდილებათა წიგნი შთაბეჭდილებათაგან განიცალა.

მხნედ გამოიღვიძა და დაპირებული წვეულების ჟამამაც ჩამოჰკრა.

გველის ჭარისებრი, ზურგზე ამოღებული, ტანზემომდგარი, ყელდახურული კაბა, კოჭებამდე დავარდნილი და ბოლოში გაგანიერებული, ნიანგის მოოქროვილი. ტყავის ჩანთა და ფეხსაცმელი, მხოლოდ ცალ მხარეს გადავარცხნილი, აღმასებჩამაგრებული წიგნი და ზედწიკრიხობი დასკუპებული კენგურუსბენვისყდიანი პანაწი, საიუბილო გამოცემა. — საყვარელს ნამდვილად არ შეარცხვენდა.

ვერცერთ წიგნში, ვერავინ, ვერაფერსაც ვერ წაიკითხავდა. იგი იდუმალების განსახიერება იყო.

მომაბეჭდა საყვარელმა კაბრიოლეტი, თავგადახსნილი და შლეგი და თეთრი, და თეთრად გავათენოთ ღამე, და რამეო. გამოალო "მანქანა-მხეცის" კარი ტაატით და გალანტურად და წახსნა ბარი და ტურურურურიტიმტარა...

რესტორანს ერქვა „დიდი მწვანე ველი“ და გაზონები იყო სველი, შადრევანი თეთრი, იქვე ანტიკური სვეტი, გაიზერები ბენგალის და „ამდენს ვერ დავლევ“ და რამე, და ბენდი და ჯაზი და „ვერ ვხედავ საზრისს“ და ტურურურურიტიმტარა.

დანით, ჩანგლით, სინჩით, ხიზილალით შავით, ნითლით, ჩირით, თხილით, ზეთისხილში ჩხირით და ტურურურურიტიმტარა...

საქსაფონი, ფაგოტი და ფლეიტა და ბალის სკამი, ჰაჩი-პუჩი, საქმიანი დრამაც, შარმი, ლამურ, ჩურჩული და ზმანი. რაღა რამე? ტურურურიტიმტარა...

ო! რაც შეეხება ზმანს... დამსწრე მანდილოსანთა თმას... ტურურურ... და წიგნები მათაც სადღესასწაულო ვარცხნილობებად დაელაგებინათ:

შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. ყურებზე გერმანული ნაწნავებივით, ყურსაცვამებივით წიგნებმორგებული მხიარული პირისახის მსუქანი ახალგაზრდა ქალი.

წარმოსადეგი იყო შვიდსხვადასხვანიგნევა ზეაკაკოლაგებული ხმელი პირისახის მკაცრი დამა.

ყურადღების ცენტრში იქცევა თავს თავისშექცევით კეფაზე უფურცლო, თავფურცელშუბლზე გადმოგდებული და თვალეზანთარული ტანგოს მოცეკვავე. წიგნები სამოსშიც დომინირებდა. ალორძინების ეპოქის პრინცესებივით ყელის გარშემო წიგნებმონწყობილი, დედ-



მოგდებულმა დარეკა. ენა სურვილისგან გადმოეგდო — დრო გამოიჩინდა, ხუთ წუთში მანდ გაეჩნდებო. აგზნებულმა კი ის ამცნო, რომ რაღაც გრანდიოზულ და მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან "ფართიზე" უნდა ვიყოთო ღამით, შადრევნები, შუშუნები, რამპა და ცუმპარამპა არ მოგვაკლდება. ისეთ ადგილას გამყავხარ, გამოუსვლელის შთაბეჭდილება არ დატოვო, ფორმაში მოდიო.

მეზობელი შემოიერთკოვზყავისთხონდა და ზანტად გააბოლა.

— ვაუ, ქაჩაჰ! სად მოხსენი?

— ბუკინისტებში. — კისერი წაიგრძელა მისი თვალეზანთა, — და რა წერია?!

— რა შუაშია, მონი, მაჩვენე... — გულგრილად დაუნყო ფურცლა. ყდის დიზაინმა მოსწყვიტა თვალი და რა შინაარსის იყო, რატომ კითხეს, ვერ გაერკვა.

წიგნისთავა გულისფანცქალით ელოდა პასუხს, ელოდა, როგორც საყვარლის ზარს უფერულობებში, როგორც მეზობლის წასვლას საყვარლის მოსვლის წინ.

— არაფერი. — მონმენდილ ცაზე მეხი გავარდა.



დასასრული მე-8 გვერდზე

1.

მწიქრი მოვიმოწაფე, როცა გვერო- და, ვერ მოგაგნებდი, უწყალოდ გაიბ- ნოდნენ დახშული სურვილები და წამი შეინახავდა მონატრებას, გულისგულში ნატარებს, ცრემლად ჩამოდენილს სახ- ეზე. წამს დაეკისრებოდა მოურჩენელი მოლოდინი.

ცარიელ სკამოვინს ვიპოვინდი და ქარი თუ მოხვეტავდა, ფოთლებს დავარ- ჩევი შარავის ნაგავში.

ვიღაცას იოლი ეგონება, მაგრამ ლო- დინი რომ განმარტო, უსამველოდ ვრცე- ლი ციტატა დაგჭირდება ნაუკითხავი წიგნებიდან. რაც ვიცით, იმათგან ხომ სხა- პასხუპით წამოვა ადგილები და ძილის წინ, პურის რიგსა და ტროლეიბუსის გაჩერე- ბაზე, დაუსრულებლად იტრიალებს ფრაზათა გაბმული წყება, მელიოდა გამოუთქმელი სიმარტოვის.

დარდს დააფუძნებს სიმარტოვე სანამ დროა, თორემ ისიც გაინოვა გონებიდან ამ ყოფითმა საზრუნავებმა...

დარდს შეეფარებოდი გარინდების, გაფთრების, გაცივების, განკითხვის ჟამს. დარდს და არა მიზეზებს. ახლა მიზე- ზებს შეეფარები, შემოუშვებ, მოიწოდლე- ბს მიზეზის მარათი, რათა შენი სულის კუნჭულებზე მეტად, სხვისი გამონ- აბოლქვი განიხილო, მზის სინათლეზე გამ- იოტანო და მას დააბრალო ყველაფერი.

გადაბრალებით მარტივდება არსებო- ბა. თუმცა იოლი გზები აქ რა მოსატანი იყო...

ამიტომ რაც უფრო მოუთმენლად გა- ვიხედები სივრცეში, მით მეტი ბუნდოვანი გამოსახულება ამოყვება წარმოსახვას, მეხსიერების ბადეს და ზოგან თუ შლამი გამოერია, ეგ არაფერი, ოდესმე ოქროს თევზიც დავიჭირო იქნება.

რას გავიხარებ მაშინ! არა, თავიდან გამიჭირდება დაჯერე- ბა, მაგრამ ჯობია მონადინო და მზესაც იოლად გაუსწორებ თვალს. გაუშინაურ- დები, თითქო ბუბოს ქრაქი ან მაგიდის ელნათურა იყოს.

მზეც – თაკარა და მდუღარე, – გაუგ- ონარ სინათლეს მოგახლის თვალეში, რომ, მერე და მერე, სარდაფის ჩრდილში მოხვედრილმა, აკვესო ერთიცქეა და ჟანგისფრად ყვითელი მზეები, ხარკი მიუთვალა სიბნელეს, ან სულაც მოინა- ნიო პაპანაქებაში დგომის საათნახევარი.

ქოლგა და ქურთუკი მომიხდება? ჰმ, თქვენ ისევ იქა ხართ, პაპანაქება- ში! მე კი ყოველთვის მინდოდა, შეუსვენე- ბლად გავცლოდი ჩავილი ისტორიას და უკან არ მომეხედა. ეძახათ რამდენიც გინ- და, თუნდაც შემხვეწნოდნენ მუხლმოდრე- კით, პირმტკიცედ შეუვალი გავხდებოდი, მოციქულის ჯვალო მეცემოდა, არგანს დავიპყრობდი ხელთ. ერთ ჯიშთან აქლემსაც მომაქირავებდა ვინმე და მაშ- რიყიდან მალრიბამდე მოვილოცავდი წმინდა ალაგებს.

როგორ დაეტოლა ერთმანეთს ადამი- ანის ძველი და ახალი საწუხარი, შენ კი არ გინდა დამიჯერო, რომ ხელმოცარვა და უკანდახევა ჩემი ლექსიკონის განუყრელი სიტყვები გახდნენ. ვერც „ამ ბოლო დროს“ მიუზღავ ამაში და ვერც გარემო პირობე- ბის აუცილებელ მიმოქცევას, რომელიც უძრობას ვერ ჰგუობს და თავისთვის მხ- ოლოდ გაჩქარებული ნაბიჯები ემეტება. გადაფურცლე, სანამ ჩვენს სულსაც

ზვიად კვარაცხელია

ყველას თვალნი

ნაკითხავს გამოუღევი ალხანა და ჩალხ- ანა.

ენას გაინაფავენ მოხეტიალე სიუჟეტე- ბით, შექსპირთანაც რომ გხვდება და მთიანი სოფლის უკაცრიელ მინურშიც – ეჭვი, ლალატი, მოტყუება, შერიგება, შური...

დანარჩენი შენ შემახსენე, რადგან თა- ვად მოგესურვა ამ ჭორ-მართლის ამბავ- ში მონანილოება...

2.

აბ ხარ?

ხანდახან მგონია, მარტოს მიწევს სულიდან ნაკანრების ამოკითხვა. ამ სიბ- ნელეშიც ვერვინ დავარწმუნე, კელაპ- ტარი მომინათოს, ახლოდან ვიხილო დარ-



დის მთლიანობა, დანყვეტილ კაპილარე- ბად გავლებული. მტვერს მოვაცილებ – მოვლა და სისუფთავე აკლდა სულ, მიშ- ვებული ცხოვრების გადამიკიდე. გამოქე- აბულივით, ყველა დევნილი და განდგომ- ილი აქ აფარებდა თავს, სიტყვებს ახრ- ჩოლებდნენ, გულს ეზიდებოდნენ, დამიბ- ინძურეს აქაურობა.

მასპინძელიც ჩემისთანა უნდა, კარე- ბი ჩამოვხსენი და ვისაც მოეპრიანებოდა, მგზავრიც და ახლობელიც, შემოხეტე- ბოდა ღამის გასათევად. სუფთა ლოგინს ვახვედრებდი, საძინებელში სუნთქვას აფორიაქებდა სურნელოვანი ზეთები.

ერთხელ მოდიოდნენ და ძილის წინ, ყოველ საღამოს, ამოდ ეხლებოდა ფიცი კედელზე, რომ ეს იყო უკანასკნელი, ამ ღამის მერე გულშიც არ გაივლებდნენ ჩემ- სკენ გამოხედვას და, თქვენ წარმოიდგი- ნეთ, სინდისიც კი შეაწუხებდათ უხერხუ- ლი და უადგილო საქციელების გამო.

გამომიცხადეს კიდეც წელან, – სულ შენი ბრალია ყველაფერი, გამლიავებლად გაუჩენიხარ უფალს, არადა, მიხურვასაც ისწავლიდი, ცოტა ჭკუას რომ მოუხმობ- დე, ძირისძირამდე ჩაყოლა კი არა, ონკანს ხანდახან დროზე გადაკეტვა შეგლისო.

მეც გადავკეტე და უარესად მომანყ- და ეჭვის, საყვედურების მიწაყრილი, დაიმეწყრა ისედაც ნაწილაკებდ დაჩეხ- ილი გონება. თავი მივანებე ნაკანრებს (კარგი არც არაფერი ეყარა მათ ნაკითხ- ვაში!) და შენკენ გამოვმუშურე.

მტრედი მახლდა. ამბის შემტყობად

გამოვგზავნე, მაგრამ მასზე მეტად მე მინ- დოდა სიახლეში ლივლივი, დროსთან გა- ჯიბრება. ამიტომ ვიდრე გავუშვებდი, პლასტმასის სათამაშოსავით მოვმართე, ჩემს გვერდით რომ ეფრინა, გამეგონა მადლიანი ფრთების ფათქუნი და შეუს- ვენებლად მევლო, სანამ გაღმა ნაპირს მივალწევდი, ჩვენი შეხვედრების ქვიშიან მინას.

- გეგონა იგრძენი?
- მხოლოდ გამეფიქრე.
- მხოლოდ?

- უკუნიითი უკუნისამდე გაინელა შე- ნამდე მოსასვლელი გზა და უსასრულო ავტობანს დაემსგავსა, ღამეში რომ უნდა გაიარო, შუქნიშნების გარეშე.

- მერე თვალები?

- უშენოდ გამოელა ჩემს თვალებს ჩვენი ჩაეშრიტა და ხანდახან, ხოლმე-ხოლმე გახსენებით გულმოცემული, ჩაქრებო- და და აინთებოდა, ჩაქრე- ბოდა და აინთებოდა.

- რა გიჟი ხარ! გამოგე- ზოგა... ასე დაუნანებლად ხარჯვას მდიდრებიც ვერ ბედავენ, როცა ფული ჩეჩ- ქივითა აქვთ, იკუჭებიან და ოფლიან ნიჭარაში აღ- მოხდებთ სული.

- მაგათთვის მიმებაძა?! ჩემი სიღარიბე მყოფნიდა გრძნობის გადასარჩენად, გადმოვდგებოდი და ერთ- მანეთს დავუშენდით სი- ტყვეს, რადგან სხვა არაფერი გეგებადა:

- ჩემი სიცოცხლე!
- ტკბილი და თბილი!
- მშობლიური...
- მომებარტყე!
- ცააააააა...

მივახარჯოთ სიზმრები ერთმანეთს.

3.

სარეცეპლზე მთვარემ გამოაჩინა ორკეცად დაფენილი საბანი, დარაბებიც



მთვარემ შეაღო ცნობისმოყვარე თვალთ, ბედნიერი ღამისთვის რომ ეცქირა.

ნათელმა კარის ღრეჭობებში შეატანა ფეხაკრეფით, კუთხე-კუნჭულს მოედო და მოეფინა.

მიმოიხედა. კარადის თავზე თოჯინე- ბის წყებას აეფარა ზურგსუკან, ლოგინის ქვეშ შესახლად ყურგახედნილი და სანახ- აობას დანატრებული შეიყუჟა.

იუარა სარკეში ჩაწყებდა – არ მომას- ელთონო – კედელს აეკრა და შპალერის ტირაფორებულ ნახატებში შეათრია სხეუ- ლი.

სიგრილე იგრძნო ამასობაში და შე- მოდგომის ფერმკრთალი სიო მოუშვა თავისთან, დაიმარტოხელა, ყურში ჩაუ- თქვა რალაც, ჩვენთვის მიუნვდომელი.

ახლა სიომ რა ქნა... ფარდის ტოტებს გაეთამაშა შეუმჩნეველად და თითქოს არაფერი, მაგრამ ცოტაზე მეტად შეაღო



დარაბები. განიხვნა სარკმელი და მთვარ- ემ გული ჩაანათა ქორნილ-სარეცეპლში.

მოენონა. წილი ჰყარეს. ჯერ სიო მიუშ- ვა – საბნის კალთა აციმციმდა მთვარის შუქზე რძისფრად, მერე თვითონაც მიე- ახლა, ფოკუსი გაასწორა და ღამისმთე- ველთა ბაგეები გამოაჩინა თავიდან.

ვენება და სიამე მოეტანა კოცნას ბაგ- ევებზე, ერთადყოფნის ალალი სანთელი ჩამოეღვენთა, წურწურით გასდიოდა წვეთები, გარეთ, სიღრმისკენ მიიპარებო- და.

ბაგემ ყელის ჩაყოლებაზე, წვრილი, უმნიფარი ძარღვის შორიახლო დააკავა ტუჩიდან გაქცეული ნაკადული, მოაქუჩა, თავი მოუყარა და ქოქოლაც დააყარა, სად მიგეჩქარება ამ ზეციდან იმ მიწისკენ, ქვე- ნა სურვილებს ნუ გაეყადრებო. მოაქუჩა და კიდეც ამოატარა აღმართი.

ნიკაპთან შეისვენებდნენ. ჩაიწურებო- და გახშირებული გულისცემა და სხეულის ყველა ნახნაგიდან გამოსული ბგერები.

და ვიდრე ხელისგული ღანვებს აკავებდა, მკერდში ველარ ჩაეტი მხურ- ვალე ტემპერატურა. ამოტოტა, ვულკანის სქელი ნატერფალი ამოიზარდა ღამისმთეველთა თვალებიდან, ნდომის სურვილით ხელმოწერილი.

შეაკავებდი? – სიომ, ბრძანების შესა- ბამისად, რამდენჯერმე უშუდეგოდ შემ- ოუარა საბანს, ფარდაც აახმაურა, თმებ- ში ჩაუხახლდა ვნებით ატანილებს, მაგრამ ნატამალიც ვერ იგრძნო წარმატების. მთ- ვარემ – ვინ ვყოფილვარ მე გაჩვენებთო – ანაფორა გადაიცივა, ლოცვანი აილო და მადლის მოსახვეჭად მოსულეებს, ერთ- გულემა, სიმტკიცე და სიყვარული დაანათლა.

ო, ეს გვირგვინები! დამაცადეთ, ბედ-ილბალიც ჩავაშუ- ქოთ, თორემ ფათერაკების გადამიკიდე, ამათაც არაერთხელ დაეგნენდა გზა-კვა- ლი. ცხოვრების უღრანში სოკოს საკრე- ფად წასულეებს, სულ მცირე, შემოაღამდე- ბათ მაინც. წკვარამში ვარსკვლავებს გამ- ოვკიდებ ცარგვალზე, მეც გამოვინთები, ხელცარიელს ხომ არ გავუშვებ და სწორი ბილიკებით მიმავალთ, შხამიან სოკოს კი არა, მწიფე ნაყოფით სავსე კალათას დავანეგ გზაში.

4.

ქნამ თუ გიყივლა და გოგო გვეყოლა, მოთმინებით გულამომჯდარი დაფუცდი მის დაბადებას. ვიდრე მახარობელი (ოდნე შეჭმუნული სახით) გამოფრატუნ- დება და „სულ სხვას“ გამოაცხადებს ვა- ყის მომლოდინე საზოგადოებაში, მე ღია ფანჯარასთან მივიკუნტები და პაპირო- სის კვამლში გახვეული, საჩვენებელი თითით მოვისრეს თვალეებს.

დანილბებული, ღამენათევი თვალეები! გახსენებით მერეც გავიხსენებ ეპი- ზოდს, როცა ნაშუადამევის ბურანში ჩაფ- ლულს დამიქნია ხელი და მორჩილად გავყევი საითკენლაც. კარი რომ გამოვიხ- ურეთ, ხელში აყვანა მთხოვა, მანდილი გაშალა და გვირილებით გადაპენტილი თავი გულზე დამადო.

- მამიკო... – სიტყვამ გამაღლო და ცეცხლი წაუკიდა ავი უჯრედების პლან- ტაციას, ჩემს სულში ჩაკოსებულ ბაქ- ტერიებს.

ჩავიხუტე.

დასასრული მე-8 გვერდზე



ნინო სადღობელაშვილი

ღამე

ჩემს მარიამს

ღამეა ღვთისმშობელი, არა ცისკარი, არც შუადღე, როცა მზე ხელისგულზე უდევს სამყაროს, არც შებინდების ლურჯი ჩქერი არაა იგი, არამედ ღვთისმშობელი არის ღამე და ის დღეებით დაჭრილ ხორცზე გვაფარია. ღვთისმშობელი არის ერთი დიდი, გაბმული ღამე და დღეები ხავერდის კალთაზე ბავშვებით ეტატებიან. ის მოვიდა სამყაროში, როგორც ყვავილი, მისი სუნთქვაც გულის ზანზარს გაეს, ამიტომ არის ყველაფერი უფრო ადვილი, როცა ღამეში ჩაფლული ხარ, როცა თავი გაქვს შერგული მასში და დედამინის ვარსკვლავებიც – საფლავის ქვები გარშემო თეთრი აკვნებით მიმოფანტულა. ღამე არის ხსოვნა და სხვას ყველაფერს ჩიტის ფასი აქვს. ვყრივართ ჩვენზე სიცოცხლისგან დახოცილები, ღვთისმშობელი ფეხაკრეფით დაიარება და სასთუმლის ბალიშიდან ამოტანილ თივის ღერებით თავზე სინათლის გვრგვინებს გვადგამს.

ზამთარი

ზამთარია, შეისვენე მდინარის წყალო, შეაფინე მინდვრებს შენი ნაოფლარი პერანგი, შეისვენე ყინულის კართან და ჩამოჯექი. ზამთარი ღვთისაა და არ ელაღატება – ორი ღერი სიტყვა პურივით უნდა გაუტეხო, ამ მთისა უთხრა და იმ ბარისა, ჭიქა ბრონეული წაუქციო – ბავშვით თეთრზე მაინც რამეს გადაისხამს, მერე დაყნოსავს და სიხარულით აელვარდება – სიზმრის სუნი აუვა. როგორც სტუმარს, ისე დაუჯექი ზამთარს, მდინარის წყალო, შეისვენე, მუხლი გაშალე.. გაზაფხულიც ხომ მოდის ხოლმე, და შემოდგომაც ხომ მოდის ხოლმე, და ზაფხული ხომ მოდის და მოდის, მოზანზარებს, მაგრამ არცერთი არაა უცხო, არამედ სათითაოდ შენში ყოფს ხელებს და გემსგავსება, ზამთარი კი ერთადერთი სტუმარია, რომელიც არ გგავს, და არავის გავს, და არაფერს არ უნვდის ხელებს, ის მოდის დინჯად, სევდიანად, როგორც ყველა უცხო სტუმარი, რომელსაც შენი რაიმე მართებს.. მშვიდად შეუღე ყინულის კარი, თეთრ მინდვრებში შეიპატოე, გრძელი გზის მგზავრს თვინიერად ჩამოუჯექი და, ღმერთი არ გაგინყრეს, ცხოვრება კი არ უანგარიშო, არამედ დიდი თავადერებით გული უმღერე. ზამთარი სტუმარია, რაღაც იცის და თავისთავით თვითონაც გინდობს.

ყველის ანოჰანა

სახლში რა დროსაც არ უნდა დავბრუნდე, შუადღისას, შუალამისას, - ერთიდაიგივე ამბავი მხვდება: შენ ზიხარ ოთახის განაპირას, მუხლებშორის ვარცილი გიდგას, იდაყვებამდე შიშველი მკლავები ვარცლში გინყვია და რძისფერ სითხეს ზელ.

დინჯად, მსუბუქად, თითქოს სითხის ზედაპირზე ყვავილები ამოსულიყოს და თავებს უმონებ, მერე სიღრმეში თოთო ფესვებს მოუფხვიერებ, ფესვები ყოველ შეხებაზე უკვალოდ ქრება და შენც თითების ნეღლი ფართქალით სადღაც მიყვები... გიყურებ ხოლმე, უფრო სწორედ ამ სიჩუმეს ცოტახანს ვუძლებ და გათვალისწინებ: თითებსშორის თბილი რძე გადის, რძე ოქროსფერ რგოლებად გეკვრის, ყველა თითზე მისი ბეჭედი გაქვს აცმული, ხელისგულეებში კი კარაქი ყვავილობს, ბავშვით იზრდება, სუქდება, ხარობს... ვარცილი ამდენ უხმო ზეიმს კანში ვერ იტევს და ლაჯებშორის, მუხლებიდან ოდნავ აღმართზე სველია შენი ტყისფერი კაბა... შენ ყოველ საღამოს ზიხარ ოთახის განაპირას და ასე ჩუმად, ასე მარტოს ყველი ამოგყავს. ბოლოს ეს ამბავია ხოლმე: ათივე თითით ჰაერში აიტაცებ, სულს შეუბერავ და კბილით თოთო ჭიპლარს შეაჭრი, თეთრი ჩვილი ნეტარებით გაიკრაჭუნებს, ხორკლი დააჯდება სრულქმნილებსგან!.. სწორედ ამ დროს, დედა, ოთახში ვილაც შემოდის და მერამდენედ გაცლის მკლავებიდან ჩემს თავს, რომელიც ის-ის იყო ყველთან ერთად ვარცილიდან მთლიანი და ახალთახალი უნდა ამოგეყვანა.

თემურ ჩხატინას

ნეტარ არიან სუსტები, თემურ. ხედავ, არ ვამბობ „უმწეოს“, „გლახაკს“. არამედ ნეტარ არიან, ვინც ზამთრის გულზე ისე ყრია, როგორც კენჭები მიტოვებულ სანაპიროზე. ზღვამ ერთი მკლავიც რომ გამოუსვას, უგზო-უკვლოდ მის ნიაღში ჩაინთქმებიან. ისეთებიც ნეტარნი, თემურ, ვისაც ჩუმად უთრთის ფერდები, ათასმა კაცმაც რომ შეინყოს თავის უბეში – ვისაც მაინც არ უთბება თითისწვერები, და ვინც უჩივის მარადიულ სუსხიანობას, თითქოს ვინმეს დარჩენოდეს მასშივე კარი ოდნავ, ოდნავ გამოღებულ, თითქოს ამ კარში ვინმე შედი-გამოდიოდეს, და ეს კი –სუსტი, გათომილი მასპინძელი, ზამთარში მარტო თვალბადლა იქცევა ხოლმე... სუსტია მათი ძვალი და ხორცი, ფესვიც სუსტია – სად გაიდგას, ვის მიაწეოს, ვის აეტუზოს – გეჭიდები და ამიყვანეო... სუსტია და ქარში ქანაობს... დღე სანამ ღამედ გადაიქცევა, ეს უკვე მთვარის სპეკალში უზის.. სწორედ ამიტომ, ნეტარია ყოველი სუსტი, ისინი გაჩნდნენ, რათა უცხო შუქი გამოაჩინონ – ნეკნებშორის, ხორცის თხელი ქსოვილის მიღმა, ადამიანის თბილი შუქი, თემურ — სისუსტე.. ისინი გაჩნდნენ, რომ არაფრით დაეზან მინას – არც სიმძიმით, არც ღონით და არც გამძლეობით, არ დაამკვიდრონ თავისთავი ცხოვრებაზე – როგორც ბეჭედი, არამედ რათა იფარფატონ გაუთავებლად და ამ ფრენაში პოეტებად გარდაიცვალონ. ისინი ერთხელ ღმერთს კალთიდან გადმოუცვივდა, როცა მარცვალს მტვრისგან არჩევდა,

გადმოუცვივდა და, მანაც თვალი გადმოაყოლა.. ნეტარ არიან სუსტები, თემურ – ეს თვალი დასდევთ.

თიბათვის მზე

თიბათვის მზე, გადაბუგე ჩემი შეყვარებული, ცხელ მათრახით გამოდევნე კლდეებს შეფარებული, ფრთებით კი არ დაიფარო, ოქროს ბრწყალით დაკორტნე, მისი ძვლების კლავიშებზე ელვით გაიაკორდე, გზიდან ჩუმად გადაუცდი, ვერაგ ჟამს შეატოვე, გახლეჩილი საფლავით აწვიმე და ათოვე. თიბათვის მზე, არ დაინდო, არ დაითაფლიანო, არ უსმინო, რაც გეძახოს, რაც იენანყლიანოს, მიეც ღორღი კბილსახრავი, დამშრალ ტუჩებს იკვნეტდეს, ტანჯვასა და განსაცდელში გაუცუდდეს სიკეთე, თიბათვის მზე, მამალივით ღმერთის ცერზე შედექი, იმის ცვრიან განთიადებს მწვერვლებით ეტოქე, თავმდრეკილს სიზმარი ჰკარ – სიზმრის ღმერთი დაუფრთხოს, ცის უფსკრულში შეაჭვირტე უგვირგვინო და უფრთო.. ნახოს, როგორ ემიჯნება ერთურთს ცა და ბალახი ან რა დარჩა ჩემგან წასულს კიდევ გადასალახი! ან საითკენ მოგელოდეთ, როცა ჟამი მოვალის, როცა თვალი დაიხშობა დაკარგულზე მგლოვარი..

ჩემი სულით გააცოცხლე ბინდებს შეფარებული, ჩემი ჭირისუფალი და ჩემი შეყვარებული.

გაგყიდველი

ნეტა ეს ლალისთვლიანი ბეჭედი მალე გაიყიდოს, ნეტა ეს სპილენძის თუნგიც მალე გაიყიდოს, ნეტა გაიყიდოს ეს ვერცხლის დანა-ჩანგალიც და ბროლის წკრილაა ჭიქებიც და სპილოს ძვლის კლავიში – ანტიკვარული როიალიდან, და მალე გაიყიდოს ეს ოქროს სამეული: საყურე, სამაჯური, ყელსაბამი, და ისე გაიყიდოს, რომ არავინ იკითხოს: ზედ რომ ინიცილებია, რატომ? და მალე ფაიფურის ჭურჭელიც გაიყიდოს: ექვსი ფურცელივით თხელი ლამბაქი და ექვსი ჭიქა – იისფრად ნასუქი ჰაერი.. გაიყიდოს ეს კედლის საათიც – ბავშვობის ერთი ახირება: რკინის გუგულით, და ბოლოსდაბოლოს ხალიჩაც გაიყიდოს, მართლა ძველებური და, ხელით კი არა, ნერვებით ნაქსოვი - ვარსკვლავიანი ზეცის თალი – ძაფით მოჩარდახული, და მერე მაგიდა და ექვსივე სკამი: შევდური ხის დარბაისლობა, და მერე ეს ოთახიც, ეს სახლიც გაიყიდოს და ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც არავის წარმოედგინა:



თურამ ლექსები...

ტყავისყდიანი ყვითელი ბლოკნოტი. გაცრეცილ, ვარდისფერ ფურცლებზე ჩანერილი ოთხი ლექსი (მეხუთეს დიდი ნაფლეთი ამოგლეჯილია) — 1976 წელი.

ჯემალ თოფურიძემ თავისი პირველი მოთხრობა, "ლექსო", სამოცდაათიანი წლების შუაში (1975) გამოაქვეყნა ჟურნალ "ციცკარში". პირველი ნიგნი "დიოსკურია ზღვაში ჩაძირული ქალაქია" მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, 1979 წელს გამოვიდა. ჯემალ თოფურიძის მთელი შემოქმედება სულ ცხრაშეტი მოთხრობისგან და რამდენიმე ჟურნალისტური სტატიისაგან შედგება. ლექსები მის არქივში არავის უნახავს.

ვფიქრობ, იგი დედამისმა, გუგული დიასამიძემ, თავისთვის შეინახა და სიცოცხლის ბოლომდე ჩანთით ატარა. მერე იქ დარჩა, სადაც გარდაიცვალა — თავის დასთან, ტუსა დიასამიძესთან. შარშან, გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე ქალბატონმა ტუსამ ეს ბლოკნოტი მისი ძმის და ჯემალის უსაყვარლესი ბიძის, ნიაზ დიასამიძის ვაჟს, თემურს გადაულოცა. თემურმა კი სულ ახლახან მე გადმომცა.

ასე გავიგე, რომ ჯემოს თურმე ლექსიც დაუნერია — ოთხი ლექსი (მეხუთე ეტყობა თავად ამოხია ბლოკნოტიდან). ჯემალის ხელით ჩანერილი ლექსი პირველად რომ დავინახე, გავოგნდი, ნუთუ მართლა მისი მეთქი, წამით ისიც კი გავიფიქრე, მაგრამ პირველივე სტროფიდან ვიცანი ჯემოს ხასიათი, მისი ფრაზა, მზერა, მისი სევდა და ჩუმი, ირონიანარევი იუმორი. მომეჩვენა, რომ ეს ლექსად დაწერილი მისი ძველი, დაკარგული ოთხი მოთხრობაა, რომლებმაც ოცდაცამეტწლიანი შორეული მოგზაურობის შემდეგ, როგორც იქნა, მიაღწიეს საკუთარ ნავსაყუდელამდე.

მანანა ღუმბაძე

ოთხი უსათაურო ლექსი გაყვითლავული უბის ნიგნაკიდან. 1976წელი

რამხელა გზას დავადექი
სულ მარტო, ფეხით,
ქალაქის ქუჩებს დილის ნისლი დაჰკრავს ლაქებად,
გადაუარა გრიგალმა ქალაქს
და კედლები გრიგალისფერ მტვერმა დაფერა.

ჯერ სძინავთ ალბათ გადარჩენილ უცოდველ ასულთ და ესიზმრებათ ვარდისფერი ცისფრად სიზმრები, რომ ათხოვებენ და უზადო ხვდება დედოფალს ფარჩით მორთული სპილოსძვლისფერი პალანტინები.

სძინავს მთელ ქალაქს, მხოლოდ ჩემი ცოდვილი სული დაძრწის ქუჩებში და სევდიან პრინცივსა ეძებს, თუ გაიღება სადმე კარი ხავერდდაკრული და სასწაული გააშიშვლებს უხორცო ხელებს.

ხომ დაძრწიან სამყაროში მარტოობის გამყიდველები, დაედევნოს, იმათ აეკიდოს..

ოთახში რომ მარტო ზიხარ და ქუჩის ბოლოდან ნაცნობი ხმა შემოგესმება, ფანჯარას რომ მიაფრინდები და ჩავლილ მგზავრს თვალს გააყოლებ, და ეს სცენა განმეორდება დღეში ცხრაჯერ, თვეში — სამასჯერ და შენც ყოველ წამოფრენაზე გული უდევო კვიცივით გიხტის — მოდი და ვინმე დაარწმუნე, რომ კი არავის ელოდები, არამედ უბრალო ჩვევაა ბავშვობიდან შემორჩენილი, ალბათ მავნეც, რადგან შეილებს ისე უმაღავე, როგორც პალტოს ქვეშ — ცეცხლს მობრიალეს, ხელი არ შეყონ, არ დაინვან, არ დაინახონ..

სტუმრობა შობას

ყველას, ვისაც ჰქონდა დიდი სიყვარული და სჯეროდა ამის.

გვამი ესე არს...
საბა

გამარჯობა, გვამო, ვიფიქრე, გვამები მაინც არსად მიდიან, შინიდან ფეხსაც არა დგამენ, მარტო სხედან და ოდნავ ტოკავენ, შეუუვლი-მეთქი, არ გამოცვლილხარ.



ჯემალ თოფურიძე

სძინავს მთელ ქალაქს, იმედია, ბედის ბორბალი თავის უხმო ღმერთს ამ ქუჩებშიც შემოახედებს.

გათენებულა,
სუსხი მისდევს გადაღლილ ლოთებს,
აჰა, სარდაფი და საშველი ღამის სიზმრების,
მეზობლის ძალი რა ხანია ნაცნობ ლოთს მისდევს,
რომ ერხებება საკუთარ თავს უცხო სიტყვებით.

გათენებულა,
ბელურები კვიან ერთხმად
მეზობლის ძალსაც ასე უაზრო მოსწყინდა დევნა
და ზეცის კიდე უსაშველოდ ნულა ფითრდება,
გამხდარი ლოთი ხომ არაფერს არა ჰპირდება.

გათენებულა,
შენყდა სიზმარი და მოპარული საამო კოცნა,
დღე ამუშავებს სათავისოდ საჭირო ფიქრებს,
სინამდვილემ ხომ არასოდეს არ იცის მოცდა.

გათენებულა,
ლოთი აღარ უყურებს მიწას,
ზეცას უყურებს
და თავის დარდს თვალეში ადნობს,
ფიქრობს ოჯახზე, ფიქრობს ცოლზე, რომ მიატოვა,
ფიქრობს არაყზე, ძველებურად რომ აღარ ათრობს.

ისევ ისეთი თვალეები გაქვს,
ბავშვურად აპრეხილი წამწამები,
გახსოვს, მე გარწმუნებდი, რომ
ეგ თვალეები მწვანეა, მწვანე,
შენ კი ჯიუტად გაიძახოდი:
ლურჯზე ლურჯია...
და ამ უთავბოლო მზერა-ღრიალში
მათში ფერი სულაც ჩავაქრეთ.
ისევ გიდგას თიხის დოქი
თავსასთუმალთან.
გახსოვს წყალი, რომელიც მე მომიქონდა?
გახსოვს წყალი, რომელიც
იღვრებოდა,
რადგან დოქში ტევა არ იყო.
შენ ოცნებობდი სავეს დოქზე,
ეს ოცნება სულ წინ გედგა და
წყლისა კი ტევა აღარ იყო
გახსოვს, გითხარი:
ოცნებები დაგლევენ-მეთქი,
აბა რა მექნა
წყალი აღარ მომეტანა?
აღარსად მევლო?
ეჰ, გვამო, გვამო,
ცოტას მივიხედ-მოვიხედავ,
სულ მგონია, რომ
რალაც დამრჩა შენთან.
ან ბალში დამრჩა,
ან სახლში დამრჩა...
შენ არაფერს მეტყვი?
ხმას არ ამოიღებ?
გვამები იმიტომ არ
ლაპარაკობთ, რომ
უნებურად იმ რალაცის
ადგილსამყოფელი არ წამოგცდეთ?
არადა,
იცი როგორ მჭირდება?
როგორც სისხნაკლულს - სისხლი,
როგორც მატლს - ღმერთი

გათენებულა,
დღე დააკვდა ქალაქის ქუჩებს,
დღე იბადება — ზეცა ამცნობს ხალხს ამ სიხარულს,
დღე იბადება — რეკავს სხივი ცისფერი ციდან,
გზა მიეცით, დაუკოცნეთ ხელი სიყვარულს!

დაიღალა მთვარე
თხელი ღრუბლის კოცნით,
ღრუბელს ერქარება,
დრო არა აქვს მოცდის.
მთვარე უკვე ვნებით
თაფლის სიტყვებს ღვენთავს,
ღრუბელს ერქარება,
მაგრამ მაინც ფეთქავს.
გაიხარა მთვარემ
და გულისხმით უსმენს,
ველარ ხედავს ვნებით
უკვე გამქრალ ღრუბელს

კვლავ შემხვდი დღეს,
ნაცნობმა სევდამ დასერა მკერდი,
ესეც ამიხდა,
ისევ ხდები ფიქრების ღმერთი.
რომ არ ვიცოდე,
არა გშველის,
ხარ ერთადერთი,
ვერ დავივიწყებ ახალ ღმილს,
ვიხსენებ ძველსაც.
ვიცი, რომ მითხრა,
შეიძლება, დავტოვო ცოლი,
არ მეუბნები,
ოქროს ჯაჭვი გიჭირავს ხელით.
ისევ მაგიჟებ ღერწამივით მოქნილი წელით,
ისევ მახსენებ, რომ შენს სიცილს
არა აქვს ბადალი.

ის ღამეები,
ამქვეყნიური სიტკბო და ტანჯვა,
სხეულის ბრძოლა.
ღამენატების ვნების ნისლი,
ნათალი მკერდი,
ინყება ღმერთით,
თავდება სიზმრით
ღამის წამება.
კვლავ შემხვდი დღეს
და ნაცნობმა მზერამ დასერა მკერდი,
თვალს ვერ გაშორებ,
ერთადერთი ხარ,
სიტკბოს ზღვა ხარ,
ვიცი, რომ მღუპავ,
უკვე მაგიჟებს ახალი ვნება,
მაგონებს ძველსაც.

და გზას კი - მტვერი...
მარლი გახსოვს?
ერთხელ დავსხედით და
მუჭებით მჭამეთ,
ერთმანეთის სუნთქვას
სუნთქვით გადასწრებულებმა,
დავსხედით და
სულ იმ მარლივით ამოვიცეთ მუცლები,
გამთენის თეთრი ვარსკვლავებიც ზედ მივაკვინით,
ოკეანის მლაშე, სადაფიც.
რათ ვერ მიცანი;
ხანდახან მინდა ხოლმე
დაგიტირო.
ჩვეულებრივად, როგორც ჭირისუფლის წესია,
ჩავჯდე შენს წინ,
კალთაში ჩაკვირიფო მტევნები და
მგელივით მოვთქვა...
ჩემი თავიც ვიტყვო და შენიც,
მგზავრიც ვიტყვო და შენიც,
მგზავრიც ვიტყვო და შინმისულიც,
ბედნიერიც ვიტყვო და უბედურიც,
მაგრამ
გამახსენდება, რომ
რალაც დამრჩა და
ვერ მიპოვნია,
თვალეებს აქეთ-იქით ვანრიალე და
ტირილისთვის ველარ ვიცლი.
ჩაინი, ცოტახნით გვერდით მოგიწვები,
ლამე მოდის ლეგიონივით,
ამ ღამესაც გადავათენებ
და თუ მოხდა სასწაული და
ამაღამვე
ერთი ვარსკვლავი
ფანჯრიდან შემოყოფს ოქროსფერ ეკალს,
შენს გულს შევეუშევრ,
ქინძისთავივით დავაჩხვლეტინებ...
თუ მოხდა სასწაული...
თუ მოხდა სასწაული!..

დასაწყისი № 9-18

გიჟიკო მანთაშოვი

ხოდა, სანამ ერთ-ორ სიტყვას ვეტყვი ამათ, მაინტერესებდა, რო გამოემკითხა რაღაცეები, იმიტო, რო რა აზრიცა მქონდა, იმას ხო დამტკიცება უნდა, ანდა არ გამომდის და ეგ არი. სანამ მე გამოკითხვა დავაპირე და თითონ წამოყვენი ლაპარაკს და თავისი ნახალოვკის ბავშვობა გაიხსენეს მამაჩემმა და გვრტისამ, რო იმათი დროის ნახალოვკა როგორი იყო და საიდან წამოიზარდენ ესენი.

მე რო გითხრა, მაგათმა მონაყოლმა სულ ნერვოზები გამოუშვა და ვიფიქრე, აქ ჯდომას სათამაშოში დგომა და იქაური სუნები ჯობიათქო. მაგ საღამოს მოვიგონე ერთი კაი მავნი, მერე რო მაგრათ გამომადგა. ზოგჯერ ეგრე არი ხოლმე, რო სუ რო სხვა რამეზე ფიქროფ და რო ფიქროფ, რო ცუდ პონტში ხარ, უცბათ გამოსტება რაღაცა, ავინთებს ტვინში და იმ დროს უნდა მიყვე და დაიჭირო, თორე მერე მეორეთ კი აღარ გამოგიტება. გამზადებული კი არ მოდის, მარა დასაწყისი მოდის და, კაროჩე, უნდა ჩაავლო ხელი და მიყვე. თუ ეგრე არ იზამ, ვაფშე ველარ ნახავ მერე. მე ძილში გამღვიძებია იმიტო, რო მაზი დამსიზმრებია.

ძილში კი სხვანაირათ არი ხოლმე, რაღაცა მაგარი გგონია. თან კიდე იოლია, რაღაცეები არა აქვს ძილის მახეებს. სიზმარში მაზი მაგარი საკაიფო რამეა, დაჟე რო წაავფე. ადრე არ ვიცოდი და ეხლა აზზე ვარ. ძილში მახეები და ყველაფერი ეგეთი იმიტოა, რო ძილში ცხოვრება არ არი. სიზმარში რო ცხოვრება იყოს ხო ვაფშე გავვიფიქრებოდი. მაგრა დანერვოზებული რო ვარ ხოლმე, სიზმრები არც მახსოვს და მაგრათ ასწორებს, იმიტო, რო მე სიზმრების ვაფშე მეშინია. თუ დამამახსოვრდა და რაღაცა კორპუსებში მივიღივარ, სიზნელეში და ტრუბებია და რავი კიდე, ხან ვინ გამობტება, ხან — ვინ. თუ კაი პონტში მძინავს და დანერვოზებული არ ვარ, მაშინ უფრო კარგათ ვიმახსოვრეფ სიზმრებს და მაშინ არი მახეები და ყველაფერი.

ვაფშე ყველაზე მაგარი სიზმარი რაც მინახია, ხო იცი რომელია. პასტაიანა ყვეფი. კაროჩე, კამპ ნოუზე ვარ. ვზივარ. კრუგომ ძმაკაცები არიან, ოლონდაც ვინ, არ მახსოვს. კაროჩე, ჩემები არიან, იმიტო, რო კარგათ ვარ. კაროჩე, კაი საღამო როა და მაგარი განათებული მინდორია, მაგარი ლამაზი და კაროჩე, ბარსელონა ეთამაშება ვის, არ ვიცი — სელტა ვიგონა, ლაციოა თუ მანჩესტერ სიტია თუ რომელი — არ ვიცი. ცისფერები აცვიათ და არც არავინ არ იცის. კაროჩე, ეთამაშება და ვხედაფ, ორი ზამენა მზადდება და ჩემი მიხეილა შემოდის.

ვის მაგივრათ შემოდის, ვერა ვხედები და არც ის ვიცი, რო მიხეილაა, იმიტო, რო დიდიდა უკვე. იმ პონტში კი არ არი, რო პატარა ბავშვი შემოდის, პროსტო, ზამენაზე ბიჭი შემოდის, ეგეთი გამხდარი, შავთმებიანი, არც დაბალი და არც რამე და არ ვიცი, რო მიხეილაა, მარა თან ვითომ ვიცი.

სიზმარი ეგ არი, რო ვერ ხედები, საიდან იცი და მგონია, იმასაც ვერ ხედები რო იცი. პროსტო, რატო ვარ იქ, მიხეილამ



აკა მორჩილაძე

ლეგენდარული ქვერას პირადი და საზომბალოებრივი ცხოვრება



უნდა ითამაშოს თუ რას ველოდები, არ ვიცი. ხოდა, გვერძე ვინც მიზის, ბიჭო, მიხეილა შემოყავსო. ვუყურებ, ვიცი რო მიხეილაა, მარა ვერა ვცნობ, როგორ გაზდილათქო, ვამაყოფ. გაიხადა, შემოვიდა და მერე გაწყდა ეგ სიზმარიც. ერთი ბოლო ეგ არი, რო ზურგზე ეწერა მიხი. ისე საკაიფოთ შემოვიდა, ეგრევე მოკლე კაი პასი გააკეთა. საკაიფო სტადიონი, მაგარი მწვანე, ხო იცი, პროფექტორები რო უხდება. კაროჩე რა, ეგეთი კაი სიზმარი მე არ მინახია არასდროს და ეგეთი, რაღაცნაირ პონტში, გახარებული ხო ვაფშე არა ვყოფილვარ. რაც მეფასება და მიყვარს, პაჩტი ყველაფერი იქ იყო. კაია, ვაფშე ყველაფერი ყოფილიყო, მარა ეგრე სად არი.

კაროჩე, ეს რას მოვაცილე აღარ მახსოვს. ხო, მაზი მოვიფიქრე იმათ ლაპარაკშითქო. ტვინი როგორ არი მოწყობილი. ისინი რას ამბობდენ და მე რა მოვიფიქრე. მათემატიკა რო მცოდნოდა, ვაფშე რეებს მოვიფიქრებდი, ხო ხედები. ტვინი მაგრა სტრანნათ არი მოწყობილი. დაბრეცილი ამბობს, რო ტვინი მანვინის პონტშიაო. მე ეგ არ ვიცი. ექიმებისთვის არ მიკითხია, მარა მაგრა მეცინება, დაბრეცილი რო ამეების ლაპარაკს დაიწყებს. ტვინი არი მანონივითო. მეთქი, ბიჭო ბანკაშიც ხო არ ასხია და ქალღმერთი მოხუფულიც ხო არ არი, ვეუნები. აწვება და აწვება, მანვინის პონტშიაო. მანონის თუ მაგდენი შეუღია და ეგეთი სტრანნია, სალოლ მანონს, მარა ტვინს რაღაცა აქ გარეული ისეთი, მანონს რო არა აქ. ეგ ეგრე შუტკაში ვეუნები ხოლმე, მანონი კი არი და რა აქ გარეულითქო? და დაბრეცილი ამბობს, ნიორი აქ გარეული, ოლონდ სხვანაირი ნიორიო, ფირმა ნიორიაო. მეთქი, დაფნები. იმ დაფნების ამბავი თუ გახსოვს, დაბრეცილის დაფნების. ხოდა, დაბრეცილი მერე აუწყობს ხოლმე, ხოო, პროსტო, ზოგ კაცს ნამდვილი დაფნა აქ გარეულიო და ზოგს იმ ჩემი ამხანაგის ვითომ დაფნაო და ნარმალნი კაცი და ქლიავი მაგით განსხვავდებაო. მოკლედ, ეგ არი.

იმიტო ვამბობ, რო ისინი რას ლაპარაკობდენ და მე რა მოვიფიქრე, თან კიდე მერე ორი სიტყვა უთხარი.

რო დაიწყეს ძველი ნახალოვკის ამბების მოგონება, თავინათი მამების მოგონებაც დაიწყეს და პაპაჩემი მაშინ ცოცხალი აღარ იყო, დაჟე, ახალი მკვდარი იყო და იმ პონტში ადღევრძელეს მამების პონტში. გვრტისას მამა და პაპაჩემი ცოტაზე იცნობდენ ერთმანეთს, ვაფშე ცოტაზე. იმიტო, რო პაპაჩემი მიბრუნებული იყო სოფელში. ვაფშე, ეგ ამბები ბავშობიდან ვიცოდი ცოტა-ცოტა, მარა იმ დღეს

პირველათ მოვისმინე. პაპაჩემი მაგარი კაცი იყო. ყარაჩოლელებთან ამხანაგობდა ბიჭობაში, იმენა ძველ ყარაჩოლელებთან ყოფილა ახლო. ეგ მამაჩემმა თქვა. თითონაც რო გითხრა, ყარაჩოლელის პავადეკები ქონდა პაპაჩემს, მარა მე არ ვიცოდი, რო ყარაჩოლელის პავადეკებია ეგა. მე მაგასთან ყოფნა მაგრა მისწორდებოდა, რო გავიზარდე მერეც. მთელი ეს ბიჭობა, ხან სად ევლო, ხან სად ევლო და ნახალოვკაშიც ეცხოვრა იმიტო, რო მაგისი და იყო გამოთხოვილი ნახალოვკაში და მერე რო დაოჯახდა და, პაპაჩემს ბევრი შვილები ყავდა, მამაჩემი გამოუშვა თავის დასთან იმიტო, რო იმისი და იყო უშვილო და მაგან და მაგის ქმარმა გაზარდეს მამაჩემი, ეთქვათ ჩვენ სახელობაზე გავხდითო და იმიტო მამაჩემი არი ნამდვილი ნახალოვკელი, აქ არი გაზდილი, სვანეთის ქუჩაზე, ჩვენგან ცოტა დაბლაო. მერე ეხლა რო ჩვენი სახლია, ეგ იყო დედაჩემის და იმის დედის სახლი. დედაჩემი ობოლია, მამა ადრე მოუკვდა და აქ ედგათ ოროთახიანი სახლი, რაც ეხლა არი. მერედამერე მამა-ტა მამაჩემი იყო, აშენებდა და რო ჩაჯდა, მერე ეგრე ვცხოვრობდით, კრუგომ ბლოკებში და იმაში და რო გამოვიდა, მერე ორ წელიწადში დაამთავრა ისეთი, როგორიც ეხლა არი. ხოდა, იმ ქუჩელი იყო გვრტისა, საცა მამაჩემის მამიდა ცხოვრობდა და იქიდან დამამაკაცდენ ბავშვობაში.

მარა მე პაპაჩემის ამბავი მაინტერესებდა უფრო, ხო ვხედებოდი რო სხვანაირათ იქცევა. ვაფშე, მერე მიკვირდა, რო რაღაცნაირი პავადეკები ქონდა, სოფელში რო არ არი, მარა ჩვენნაირ ქალაქურია არ გავდა და თურმე ქალაქურია, ოლონდ ძველი და მე რა ვიცი, ამას მერე ვხედები. პატარა რო ვიყავი, მაგრა მიყვარდა პაპაჩემის თამადაობა სოფელში რო ვიყავი. თუ ვინმეს შემოიყვანდა, მეზობლებს ხოლმე, მიგვიყვანდა და დავვისვამდა გვეძე მე და ჩემ ბიძაშვილს და დავვისხამდა ღვინოს კათლილჭიქაში, ოლონდაც ცოტას და გაავსებდა მერე წყლით და გვეტყოდა, ეს იმყოფინეთო. მე კი ვერა ვხედებოდი, სადღეგძელოებს რო ამბობდა, რას ამბობდა, შინაურულ პონტში ამბობდა თან, მარა ვხედებოდი, რო ეგეთები არ გამიგონია.

ეგ იყო ალბათ ყარაჩოლელები, იმიტო, რო რაღაცას მოყვებოდა და უცბათ რაღაცას სხვანაირათ იტყოდა. მერე კიდე ვატყობდი, რო ლაპარაკი იცოდა სხვანაირი. სტროგი იყო, განა უბრალო კაცი იყო, რო გაიცინებდა და რამე. ხო არი ეგეთი პაპები, რო რბილი. ეგეთი არ იყო. შიში

გქონდა რა იმიტო. რა დროს დაიყვირებდა, არ იცოდი. დაყვირება იცოდა უცბათ, მარა ეგეც უბრალოთ არა, და ბესპრიინიც არა. ისეთ რაღაცას დაიყვირებდა, რო ველარ უპასუხებდენ. ყარაჩოლელები რა, ცოტა ძველბიჭურებით, მარა, ყველაზე მაგარი ბაზარი წარმოიდგინე, ოლონდაც ცოტა სხვა გაგების და ეგ იყო. ეხლა ვხედები, მაშინ რას მიხედებოდი. პროსტო, პასუხი არ იცოდა. რო რაღაცას კითხავდენ და ეთქვა, რო ან — ხო, ან — არა, სუ უბრალო რამეზე, ახსნას აწვებოდა და ახსნა ქონდა თავისი და ვაფშე ვერავინ ვერ უშუღამებდა, რაღა ეპასუხა. დიდმხრებიანი კაცი იყო, მარა მსუქანი არ იყო. იჯდა ხოლმე ეგრე, საროჩეკა ეგრევე ეფინა ტანზე, რო ვითომ ცარიელა მხრები და ტანი აღარ არი და ხელები ქონდა მაგარი დიდი. უღვაშებიც სულ ქონდა და კაროჩე, მე მგონია, მამაჩემს თუ ვინმესი შიში ქონდა მერეც, დიდობაშიც, იყო პაპაჩემი. სოფელში რასა შვებოდა და რატო იყო მობრუნებული, მე ეგ არ ვიცოდი, მარა სოფლის საქმეს არ აკეთებდა. რაცა გვაქ, ვენახი და ყველაფერი, სულ ქირაობდა ვინმეს, მე რაც მახსოვს და სამსახურიც არა ჰქონდა რო, აი, სამსახურში დადის, ვადაკარკაზე ან სადმე. კაროჩე, პენსია ქონდა 27 მანეთი, ეგრე ამბობდა ხოლმე და ეგ ოცდაშვიდი მანეთი რამი ყოფნიდა, არ ვიცი. სუ ამატებდა და ამატებდა სახლს და ერთი, ბებოჩემი იტყოდა ხოლმე, ჯერო ამ ეზოში ყველგან სტოლები უნდა დაგვესო და გადაგვეხურაო და მერე დაგვეწყო შიგნით შენებო, თორე ეგრე ნაწილ-ნაწილ დავიტანჯეო. ეგრე იყო მაშინ, სახლს ნაწილ-ნაწილ აშენებდენ. კაროჩე, პაპაჩემი ყარაჩოლელი იყო. ეგ იასნია, ოლონდ, ატსტავკაში. ჩხუბიც მაგარი იცოდაო. ბავშობაში რო მეტყოდენ, მაგარი ჩხუბი იცოდაო, მერე შევადარებდი იმის ხელებს და მაგარი ეცოდინებოდათქო, ვფიქრობდი. კაროჩე, კინოში რო ყარაჩოლელია — ვაი, ვაი, გული არ გამიხეთქო — იმას გავდა რაღაცებში. მერე დაუჭირე მულამი.

მამაჩემი რო მოყვა იმ დღეს მაგის ამბავს, ცოტა აზზე მოვედი, რო სოფელი კი იყო, მარა ნამოსული და სოფელში იმიტო მიბრუნდა, რო მოერიდა რაღაცასაც და ცოლიც შეირთო მაშინ და ვინდა მოიკითხავდა, არ ვიცი. ნამოარი არ იყო და რატო არ იყო, ეგ არი სტრანნი. ხოდა, მამაჩემი ამეებს რო ყვება, მეთქი, ნამოარი იყო და არაო, ნამოარი არ იყო. ვაფშე, ის ოთხი წელიწადი სად იყო, მე რა ვიციო. არც ამბობდაო და მიდი შენ კითხე ასი წლის მერეო. თითონ იცინიან ყველანი ესენი. და გვრტისა კიდე ამბობს, პავონი არ დაირტყაო. მეთქი, ის ისეთი დრო იყო, რო მაგარმა პრისტუპნიკებმა დაირტყეს პავონი და ეხლა პაპაჩემი რა ქურდი ბიჭი იყო, პროსტო, ეტყობა ომში წასვლა არ მოუნდა. გვრტისა კიდე ახსნას მიანვა, ვინც დაირტყაო, იმიტო დაირტყაო, რო ეგო, ჩვენებრივი ხიტრობა იყოო, რო ასე სროკზე ვარ და ომით კიდე, ეგება გავძვრეო, მარა ჩათლახმა სტალინმა სულ წინა ხაზებზე გაუშვა და ახოცინა პრისტუპნიკებიო. ჯერ იმათ გაუშვებდაო და მერე ჩვეულებრივ ჯარსო.

მე ეგენი აბა რაში მაინტერესებდა, ვინ და სად გაუშვა. პროსტო, გამეგონა რო ქურდები სროკიდან ჯარში მიდიოდენ. ლაგერში ვაფშემც საჭმელი არ იყოო, ეგრე ამბობდენ. ეგ ჯარში რო ვიყავი, იქ გამიგონია. რუსებმა იციან ეგ ამბები კარგათ. კაროჩე, მამაჩემი ამბობს, ერთი დღეც არიო და ომი რო დაიწყო, პატარები ვართო და გაჩერდა ჩვენი სახლის წინ დროგო. დროგო არი ურმის პონტში, ოლონდაც ოთხი ბორბალი აქ. აი, მედროგე პავლე ხო იცი. ხოდა, ეზოში ვართ მე და ჩემი ძმაო და ჩემი დეო და დედაჩემი და მამაჩემი გამოვიდენ სახლიდანო. მამაჩემს ერთი პატარა ფუთა ეჭირა ხელშიო და დედაჩემი ღობემდი მიყვაო და არც არაფერი. არც გამოუხედა მამაჩემს და არც რამეო. გავიდა და შეჯდა იმ პავოსკაზე და იმის მერე მე ის აღარ მინახია რამე დენი ხანიო. კაროჩე, დაიმალა თუ რაღაცნაირ სამუშაოზე წავიდა, ეგ არ ვიციო, არც უთქვია და რამდენი მიკითხია, მეუნებოდა, შენ პასპორტში ჩაიხედეო.

ამაზე სულ დაიხოცენ სიცილით. კაროჩე, იმ დღეს წავიდა და წავიდა. ომი რო მორჩა და ერთ თვეში მობრუნებულია.

ომში იყავით თუ სად იყავით, თუ ვაფშე-
არც არავის უკითხია, არც ძალღობა მის-
ულა, არც რამეები მისულა და ვაფშე, სად
იყო, ჩორტივონაიტ. ბაბოჩემს იმაზე
მეტი არც სცოდნია. რო ვკითხავდი,
მამაჩემმა იტყოდაო, წასული იყო და
ვსიო. აგე, ეგერა ზის ბალკომშიო და
კითხეო.

ხოდა, კაროჩე, აქებენ მაგრათ პა-
პაჩემს და მეც, იასნია, მიყვარს და მეთქი,
ერთი ცოცხალი იყოს, იმენა ამ ამბავს გამ-
ოვეითხავდი. ხოდა, მერე ამ გვრიტისამაც
დაიწყო მამამისის ამბავის მოყოლა,
ოღონდაც უფრო იმათსას კი არ ყვებიან,
თავისი ბიჭობის ამბავს იკონებენ.

გვრიტისას მამა კიდე ყოფილა პა-
ტიოსანი კაცი. უელეზნადაროჟნიკი, მუშა
რა, დეპოებში. ნახალოვკაში ბევრი იყო
ეგეთები, ჩვენი მეზობლებიც, იმენა დე-
პოებში რო მუშაობდენ. ელდეპოს ხინ-
კლები ხო იცი, აი იქ მუშაობდენ, მატარე-
ბლების დაპაჩინება თუ რაც არი. მაგრა
კარგათ ილაპარაკეს მამამისზე. მთელი
ცხოვრება მუშაობდაო, სანამ შეელო, სუ
მუშაობდაო. მოვიდოდა სალამოსო, გვრი-
ტისა ამბობს, ჩაფშენდა პურს ცხელ კერძ-
ში, შეჭამდა, ადგებოდა და დაიძინებდაო.
მედლები ქონდა კაი მუშაობისთვისო. ძვე-
ლი ნახალოვკელი მუშა კაცი იყო, რა.
ეგეთები, დაჟე, მეც მინახია. სუ ქარხნებ-
ში რო მუშაობდენ. ჩვენ რო ვიზდებოდით,
კიდე იყო ეგეთები. შაქრო იყო, ჩვენ წინა
ცხოვრობდა, სუ უელეზნადაროჟნი ფორ-
მა ეცვა, კედლები რო მაგარ მწვანეთ ქონ-
დათ შეღებულნი იმ სახში. კაროჩე, ყვებიან
და ყვებიან და ევასებათ თავისები და აღარ
ვიცი, იმიტო ევასებათ, რო დახოცილი
არიან და მიცვალბული ხო გევასება
ხოლმე, არ ვიცი იმიტო ევასებათ, რო
მამამისებთან პრობლემა არ ქონიათ.
მარა, პაპაჩემთან მამაჩემს როგორ არ
ექნებოდა პრობლემა. მამაჩემს იმის ენა
არ გამოყვა, თორე ალბათ ხასიათი იმისი
გამოყვა რაღაცა ამბავში. ეხლა რაღას
გაიგებ. რო იტყვიან ხუ და იყო ზნაიტო,
ეგეთი პონტია. ხოდა, უსმინე კაი რამეებს,
და ვეუნიები, კი მარა, ჩალიჩი როდის დაი-
წყეთოქო.

მამაჩემი ამბობს, მე იმიტო დავინყეო,
რო ბიძაჩემიო რბილი კაცი იყო, წყნარი
კაცი იყო და მამაჩემთან არ გავზილ-
ვარ, ომის მერე ეგრევე წამომიყვანესო,
თორე ის მომერეოდო. მეთქი, ორი სიტყ-
ვა: მეც მამაჩემთან არ გავზილვარ და

მეთქი, კი. ხოდაო, ეს მოსამართლე ამბობ-
სო, რო ცხოვრება ეგაა, რო მოსამართ-
ლის შვილი წესიერი კაციაო, ქურდის
შვილი კიდე — ქურდიო. ეგრე ამბობს მო-
სამართლეო. მერე მეთქი, და მერე ვაფშე
არასწორიაო. ჯერ ეგ ერთი, წესიერი კაცი
რას ნიშნავსო. ვაფშე სხვა რამეს ნიშნავ-
სო. ეგ კიდეო, ბოზსაც წესიერ კაცად თე-
ლის ეგ მოსამართლეო. მეორეც, ქურდის
შვილი ყოველთვის ქურდი არ არიო. მერე
მეთქი. მერე ეგრეა, რო ეგრე არ არიო.
მამაჩემი მუშა კაცი იყო და მეც ხო მუშა
კაცი არ გამოვედიო. გულში ვფიქრობ,
მაგდენი მაგისთვის ილაპარაკე, რო ეგ
გეთქვათქო? ხო არ ელტყვი ამხელა ჩემი
ნათლიაკაცია. რამისოორიდან ჩამოვიდა.
თან ძველი ქურდია, ცოტა სხვანაირათ
უყურებს ცხოვრებას.

კაროჩეო, მეო ყველაზე უფრო რაც
მასხოვდაო, დედაჩემი რო იჯდა ბალკო-
ნის კუთხეში და მამაჩემის ნასკებს რო აკ-
ერებდაო. მაშინო, შენ რა გგონიაო, ვაფშე
ჩვენ პატარაობაშიო, ყველაფერი დაკერე-
ბული და სხვისი გამოწვავილი გვეცვაო.
ტუფლის საყიდლათ რო წაგიყვანდენ
ქალაქში, პრაზნიკი იყო, წელიწადში
ერთხელ თუ მიყავდი, ხო ვაფშეო. ხო
გეზდებო ფეხი პატარა რო ხარო. შენ
შვილს ხო აქ ზამთრის ბატინკაო, ზაფხუ-
ლის ბასანოჩკიო და პროსტა ტუფლებიო.
მეთქი, ბუცებიც აქს, ორი წყვილი. კარო-
ჩეო, მეო ეგრე არა მქონდაო და არც მა-
მამსო. ზამთარში თოვლები იყო და
სკოლაში სანამდის მივიდოდი, ვაფშე სვე-
ლი მქონდა ფეხი, იმიტო, რო ჩვეუ-
ლებრივი ტუფლი მეცვაო. და ეს ბაზარი
მიყავს, რო რაც ვიზდებოდით, უკეთეს
ცხოვრებას ვხედავდი მტკვარზე რო გად-
მოვიდოდი. ჩვიდმეტი წლის რო ვიყავ-
ო, არა, თექვსმეტისო. მამაჩემს მიუბრუნ-
და და, აღარ მასხოვს, პირველი სროკი რო
მქონდა, ორთაჭალეში რო ფანჯრებთან
ამოდოდით შენ და ანზორა და რო ყვი-
როდით, გვრიტის გამიხედეო, რამდენის
ვიყავით? მამაჩემმა, ესე იგი მალაღეტ-
ეებში რახანაც არ იყავი, ესე იგი მეტისო.
არც ახსოვთ, იკაიფე. კაროჩეო, მაგ
დროსო ერთი საგარეო საროქა მქონდაო.
მირზა იყო ერთი, ხო გახსოვს მირზაო,
ისევე მამაჩემს ეუნიება, და იმას პიჯაკს
ვეთხოვებოდი ხოლმეო და ვაფშეო.

მეთქი, გასაგებია ხო. კაროჩე, იმის
თქმა უნდოდა, რო კაი ცხოვრება გვინდო-
და და იმიტო, მარა მერედამერე ლაპარ-



დინამო გაგიტანიათოქო. გაიცინეს,
კიო.

კაროჩე, ცოტა ამერია, რას ყვებოდა
და საით მიყავდა, რო რატო გახდა ქურდი
და მამაჩემიც, ქურდი კი რო არ იყო, მარა
ბეზ პინი მინუტ იყო. მაგის ლაპარაკში
ეგრე გამოდიოდა, რო ცხოვრება გხდის
ეგრე და სხვას, მამენტ, არ გახდის. პირე-
ელ სროკზე რო შევიდა გვრიტისაო, სამ
თვეში ქურდათ დასვესო. ხო ხვდები, ესე-
ნი ძველებურათ ლაპარაკობდენ, აბა,
დასვეს ვილა ამბობს. კაი, ხარაშო. ეგ
ნათლიაჩემი ისეთი კაცი არ იყო, რო ეგეთ
რამეებს მინოლოდა, ქურდის სული მქონ-
და და იმიტო ვიპარავდიო. ბევრი ეგრე
ამბობს ხოლმე, გამიგონია, ქურდის სული
აქო, მარა, ეგ მაგას არ ამბობდა. ხსნიდა
და თან, ვერა ხსნიდა. სხვაგან წაილო.

მეთქი, ეხლა ესენი აღარ მორჩებიან.
შუაში მარტო ორი სადღეგემლო თქვეს.
მეთქი, მაინც ვერ გავიგე. ხოდა გვრიტი-
სამ მითხრა, რო გეტყვი როგორ არიო, რო
მიხვდა რო ვერ დავამუღამე, რას ამბობს.
პატარა რო ხარო და რო იზდებო, თვა-
ლი სუ სხვაგან გაგირბისო. კი არ ფიქროფ,
მამაჩემი რა კაი და პატიოსანი კაციაო.
მამინ ვაფშე კაია რამეო ან კიდე, ცუდია
რამეო კი არ ფიქროფო, პროსტო
ფიქროფ, მაგარიაო. რაღაცა მაგარია და
რაღაცა ვერ არი მაგარიო. და მაგარიო
მამაშენზე არ ფიქრობო, სხვაზე ფიქრო-
ბო და სამაგალითოთ ეგ სხვა არიო. მაგი-
ტო არიო, რო იმ სხვას ბაძავო და მამაშე-
ნი კიდე გგონია, რო ვინ არი მამაჩემიო,
დადის და მუშაობსო, მოვა და გაგიჯავ-
რდება კიდე და ხელსაც დაგარტყამსო.
ხოდა, სხვები უფრო მაგრები გგონიაო.
ეხლა კიდე ამდენი დრო რო გავიდა, სუ
ფიქროფო, რო რა მაგარი კაცი იყო მამა-
ჩემიო. როგორ გაიარაო, რო ერთი ზედ-
მეტი სიტყვა არ უთქვია და ერთი თავი არ
აუნევიო. ღარიბი იყო, მარა მშვიდი არ
დაუტოვებიაო და ტანისამოსიც
გვეცვაო. მე კიდე ვფიქრობდი, კარტის
თამაში მაგან არ იცის და ზარის თამაში,
რა უნდა ველაპარაკო. ერთი ხანობა ისე
მინდოდა რო მამაჩემს კარტის თამაში
ცოდნოდაო. მისმენდაშვილი კოლა მეგ-
ონა მამაჩემზე მაგარი კაციო. ეგ ვინ არი
მეთქი.

ეგ სახელი ძლივას დავიმახსოვრე.
იკაიფე. და ნასროკალი იყო კარტს თამა-
შობდაო. და ის გგონია მამაშენზე მაგარი,
მაგის ჯიგარიც იმის საფლაგში დავხიე,
გვატყუებდა ბავშვებსო. გაეცინათ ამაზე.
მეთქი ეგ რა სახელი და გვარი მითხარი,
ვინ იყო ეგ მისმენდაშვილი კოლა. თუ ეგება
სხვა გვარიც იყო, მე ეგრე დამახსოვდა.
ვინ იყო და ნავთლულში ნაჯდომი ყომარ-
ბაზი იყო ბოლო ბოლო, თან ისეთი, რო
დაისვამ და არიფთან ათამაშებ და ფულ-
საც ეგრევე იბარეფო. იკაიფე. და ამათ
ბავშობაში მაგარი როჟა ეგონათ.
მოხდილი აქო. ძველათ ხო ეგრე ამბობ-
დენ, ბებიჩემი სუ ეგრე ამბობდა,
მოხდილი აქ. ნასროკალზე. მარა, ეგ
არიო, ბიჭი რო ხარ აქეთ-იქით აცეცებ
თვალებსო. კინოში შესვლა რო გინდა,
ფულს ჩალიჩობო.

მამაჩემმა ეხლა ეგ არ მოყვეო. და რა

არი მეთქი და მოყვენ, ნახალოვკის
კლუბთან მამაჩემმა რო ერთი იმათზე
უფროსი ბიჭი შეაყენა და ორი ბილეთი
წაართვა. მერე რო შევიდენ და უყურეს
კინოს და იმ ბიჭმა მილიცია რო შემოიყ-
ვანა ზალში და როგორ გამოიქცენ. ეგრე
დავბროდით, შვილო, და მერე აგე, სად-
ამდე მოვედიო.


მეთქი, გულში ვფიქროფ, მაინც ვერ
გავიგე. ვერ მესმის ეგეთი რამე და მომკა-
ლი.

რაც მაინტერესებს, ის ვერ გავიგე-
ებლა იმას ვერ ვამბოფ, რო მამაჩემს რო
შეეშინდა, რო მეც მაგ გზას არ დავადგე,
ჯარში გამაგლო და მამაშენს არ შეეშინ-
და? არ გიყურებდა, რას შვებოდი? კაი,
პაპაჩემმა არ იცოდა მამაჩემის ამბავი და
მამაშენმა ხო იცოდა. ამას ვერ ვეუნიები და
მაგარი ოპიტი იყო ეს ჩემი ნათლია გვრი-
ტისა და მითხრა: კაროჩეო, თავზე ხელი
იცი როდის ავიდე, რო საბოლოოთ მეთქი
ამ ცხოვრებაში მივიდეო? მამაჩემი კი არა,
მამა ღმერთი ვერ გამაჩერებდაო.

როდის მეთქი და პირველათ რო
რამკიანი ქურდი ვნახეო. ხოო, ხოო, მამა-
ჩემიც თავს უქნევს. ვინა მეთქი და ბიჭი-
კო მანთაშოვიო. მე ხო ეგ ძველი ქურდები
არ გამიგონია. ეეეო, აგეო. და მოყვენ,
როგორ ნახა გვრიტისამ ბიჭიკო მანთაშ-
ოვი.

მამაჩემი იქ არ ყოფილიყო, როცა იმან
ის ნახა და ვინ მეტყვის, აბა, ეგება მამაჩე-
მი მაგიტო ქურდი არ გახდა, რო მამინ ის
ბიჭიკო მანთაშოვი არ ნახა. ხოო, კაროჩე
და დაიწყო გვრიტისამ მაგ ამბის მოყოლა
და მე მაგის მერელა უთხარი ჩემი ორი სი-
ტყვა და ცოტა სპორი გამოვიდა. სპორი
რა, კი არ ვეძებდი მაგ სპორს, მარა მამა-
ჩემის პონტში თუ მოვხვდი, იმენა რაღა-
ცას მეკიდებო, რო ვითომ გავაიასნო
რამეები და ეხლა შემომხვდა ნათლიაჩემი
გვრიტისა, ძანა მაგარი ქურდი, სუ რო
ციმბირს იქით იყო. წადი რა, მერე
ვფიქროფ, ბავშვებს მიუწევი და უსმინე,
როგორ ძინავთ. რას სპოროფ და იმასშ-
ვები. მარა, კაცის ამბავი ხო იცი. ვითომ,
კაროჩე, რაღაცა უნდა გამოარკვიოს და
დაამტკიცოს.

გაბრიელა შიმდუხ ნომარში



მე რატო არ დავინყე? და ესენი, აგეო, რა
უმნია ესაო, ჩემზე ეუნიებიან, შეკითხვები
აქსო. ეხლა მამაჩემს რო შევატყვე, ამ სას-
ტაგში დიდათ იმის თქმა არ უნდა, რო ჯარ-
ში ძალათი გავაგდე, ტრავმა არ მოვარ-
ჩენინე და რამეებიო. რათ უნდა ეგეთ სას-
ტაგში, რო ძალაზე შვილი შაფურზე არ
გაუშვა. ვინ მიდიოდა რო, მარა მაინც არ
უნდა, ასე შევატყვე და აღარ მივეძალე.
დალეული რო მქონოდა, მაგრათ მივეძა-
ლებოდი. გვრიტისამ კიდე ამიხსნა, რო
ჩვენი დრო იყო ეგეთიო. ჩვენაო კინო
ტარზანს უყურებდითო და კიდე ერთი
კინო იყო, კარმანშიჩიუო, ავარა. როგორ
არ ვიცი, ჩვენ ბავშობაშიც სუ აჩვენებდენ
ტელევიზორში. სასაცილოთ რო მღერო-
და, რაჯ კაპური და რამე. ვიცი მეთქი,
ვიცი. კაროჩეო, მაგ კინოში როგორ არიო
იციო, ეს ქურდი ბიჭიო მოსამართლის
შვილიაო, ოღონდაც აზზე არ არიო, გო-
ნია, რო პრისტუპნიკის შვილიაო თუ
როგორც არიო. გახსოვს, ეგ კინო? კი,

აკში გამოირკვა, რო მაგრა ჩალიჩობდენ
ბავშობიდან, სუ იპარავდენ. ეხლა დიდი კი
ვერაფერს, მაშინდელი მოპარვა რა იყო.
ხან სად რას და ხან სად რასო. და მერე
დაიწყეს, ბარიგასთან რო პირველათ ავი-
ტანეთ, ორი კაბა მოვხსენით სარეცხე-
ბიდან სოლოლაკშიო და ერთი გვიყურა და
ვინა ხართ, ბიჭო, მინას არ აჩნიხართ, სამ
მანეთს მოგცემთ და დაითესეთ აქედანო.
ის სამი მანეთი ფულის გამოცვლამდე
რამდენი იყო თუ იციო. რამდენი მეთქი და
ოცდაათი კაპიკო. იცინოდენ, ნანვალე-
ბი ხალხი ვართო. პაპიროსს სულ ვი-
პარავდით, ყველაზე ძნელი მოსაპარი
გასტრანომიდან პაპიროსი იყო. კანე-
შნაო, ისეთი გასტრანომი უნდა მოგექე-
ნაო, რო პაპიროსების პოლკებს როგორმე
მიწვდენოდიო. ანდა ვიტრინის იქით
როგორღაცას ჩაგეყო ხელიო. სად
დავწანალობდით გასტრანომის საძებნე-
ლათო. ზემელზე ბურთი მოვიპარეთო
სპორტული მალაზიიდანო.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ოფლის საყელოსავით მხრებზე წამომართული ზუსტად შუაზე გადაშლილი წიგნიც მოგხვდებოდა თვალში.

ზოგს წიგნები ფეხებივით პირდაპირ კისრიდან ეწყებოდა...

მამაკაცთა თმის ვარცხნილობანი უმეტესად შავყდიან ბიზნესდღიურებში იყო თავმოყრილი და შავივე ტყავის წვრილი სანიშნებით შუაზე გაყოფილი.

საქმიანნი იყვნენ. შემოქმედებითი ზოგს უფრები ჰქონდა შუბლზე, კეფაზე, თხემზე... გამოაღებდი, წიგნი გადაგეშლებოდა. ზოგი ერთწიგნიანი იყო, ზოგი მრავალწიგნიანი. დიდ და მცირე ტირაჟიანებიც ერივნენ.

ზოგს სადად და მონესრიგებულად ეწყო თავზე მტვერსასრუტით გამომტვერილი და სათუთი დაორთქვლის შემდეგ მუარით გადანმენილი, გაპრიალებული ნათიურებდაუმჩნეველი წიგნები. ჯიბეებში ქალაქის საჭრის დანები ცხვირსახოცებით ეწყოთ. ხომ შეიძლება ვინმეს მათი წიგნები გადაეშალა, და უცილობ დასჭირდებოდათ სტამბაშივე შენებულ-ლი, არგადაფურცლული გვერდების გასაცალკევებლად.

ზოგს დამტვერილი წიგნებიდან სიტყვების ოსმივარი ასდიოდა. თინოს საყვარელმა უცხო სიტყვათა ლექსიკონით მომარიაჟე ბანოვანთან გააბა მასლაათი, ხელმკლავიც გამოსდო, შორი ჩაბნელებული ფანჯარისკენ წარუძღვა და თინომ ლანდებიდა შენიშნა, ერთმანეთის ანენილ ფურცლებში რომ ჩაერგოთ თავები... ალბათ სტამბის სუნის ღრმად შესაყნოსდა. ვიპიპივიპიპიპიპიპი.

მიტოვებული შემინულკედლებიან, მრგვალ რესტორანს, აყვავებულ ნუშებს, თეთრი თათმანებით მომარჯვებულ ლუპებს და მონოკლებს, მთვარის თაღში ასვეტებულ მარმარილოს ბიუსტებს და ტორსებს, შადრევნის მოციანგე, მოცეკვავე ჭავლებს, თეთრფრაკიან მუსიკოსებს და მიმტანებს, ნიჟარის-მაგვარ სკამებს და მაგიდებს, თეთრ ფილაქანს, მუშებს, მოცეკვავე ტუფლებს, თეთრ როიალს, დრამებს და რამე განყენებულ-ლიდან შესცქეროდა. ვიპიპივიპიპიპიპიპიპიპი... ჰოოოო?!

დავითის ქანდაკება მოუახლოვდა. თავზე წიგნები ტალღებდა ეწყო. — აქ რა წერია? — დაეკარგა მკაცრი

ლემალემა თინოს. თავი გაუნოდა. — ჩემი ფანი ხარ? ჩემი "ვეშია"! ციტატები ზეპირად იცი, ცუნცულ? ველარც სახელს ჰკითხავდა, ველარც გვარს, ამიტომ თქვა: — რა ნარცისისფერი სინაზეა არა? ციდან შემცივდა. — არ ჩანხარ უბრალო გოგუცუნა, ცუნცულ! — წიგნებში ხელები შეუცურა. აქამდე თინოს ეს მკრეხელობად ერჩვენებოდა, უკითხავად სხვისი წიგნის გადაფურცვლა. — ვნახავ სხვის წიგნებში რა წერია! — თავაზიანად გასცილდა დავითს. ტკტკტკტკ. — ნამონვიმა, თუ დრო დაიძრა? წიგნების კითხვა აღმოჩნდა მაგარი. გაიგო ვინ არის, რა არის, სად არის... ტკტკ და ტკტკ და რამე... ერთი, ორი, სამი, ვალსი და მარტინი, ხალამო აღმოჩნდა მარტივით მარტივი. ...აი იმ მოხუცებს, წიგნებში სუსამბრის ღეროებჩანყობილს რა მოსდით? რატომ ეფანტებათ ასოები და ეკრებებათ კროსვორდებდა მოგონებების? ან ამ პაჟივით ბიჭუნას და ანგელოზ გოგოს ცალხაზიანი რვეულები, უმარტივესი და ურთულესი ჯამის ფორმულით რამ ააჭრელა? ვინ შეასწავლა სიყვარული რას უდრის. დახურონ თხელი რვეულები, ბატიფეხური ვინმემ არ ნახოს, არ ნაშალოს, სხვას არ აკითხოს? ან გაზონებზე მონოლიდი წყვილის წიგნებში თანდათანობით რატომ ქრება სიტყვები... უი, სიტყვები არც ჰქონიათ, სანოტო რვეულს ეფანტება ფურცლები ისე, როგორც ნუშებს. შეხედეთ მრგვალი, შემინული რესტორნის შუშებს. იქ ყველა წიგნი იკითხება. მხოლოდ სარკით თუ დააკვირდები, გადმობრუნებულ ასოებს, მთვარალებს. ვილაცას წიგნი დაფარდნია. სიმთვრალისას ხომ როცა ვცდილობ სხვისი წიგნები გადავარჩინოთ, საკუთარს ვკარგავთ.

თეთრო ნარცისო, მომეწონა შენს შედეგშიც ორიოდ ფრაზა... ტკტკტკტკ და ნება რომ მიგეცა ყველა წიგნს ნაიკითხავდა, ცას ნაიკითხავდა, ნვიმას... ტკტკტკტკ და მოტოროლერების გაბრაზებულმა ბლუილმა გაარღვია გაბლიუზებული ჯაზი.

ბლლლლ-თი შემოვარდნილები ბზზზზ-თა დაიარებოდნენ, ჯიბიდან ვინჩესტერებით ისროდნენ და თავზე წიგნების ნაცვლად კომპიუტერები ედგათ. ილღიებში პრინტერები ამოეჩარათ და ჩექმებზე პროცესორები მიემარებინათ. მხრებზე დინამიკები ჩაემარებინათ და შუბლზე ვიდუთვალეები უკაიფებდათ. კუდში ქსეროქსიანები მოჩანჩალებდნენ. კაბელიანები ფეხს ითრევდნენ, უკაბელონი ლაღად მოაბიჯებდნენ.

თინომ საყვარელმა უცხო სიტყვათა ლექსიკონით მომარიაჟე ბანოვანთან გააბა მასლაათი, ხელმკლავიც გამოსდო, შორი ჩაბნელებული ფანჯარისკენ წარუძღვა და თინომ ლანდებიდა შენიშნა, ერთმანეთის ანენილ ფურცლებში რომ ჩაერგოთ თავები... ალბათ სტამბის სუნის ღრმად შესაყნოსდა. ვიპიპივიპიპიპიპიპიპი.

დავითის ქანდაკება მოუახლოვდა. თავზე წიგნები ტალღებდა ეწყო. — აქ რა წერია? — დაეკარგა მკაცრი



დავითის ქანდაკება მოუახლოვდა. თავზე წიგნები ტალღებდა ეწყო.

მაკა მიქელაძე

ბალამნერელი

იღუმალემა თინოს. თავი გაუნოდა.

— ჩემი ფანი ხარ? ჩემი "ვეშია"! ციტატები ზეპირად იცი, ცუნცულ?

ველარც სახელს ჰკითხავდა, ველარც გვარს, ამიტომ თქვა:

— რა ნარცისისფერი სინაზეა არა? ციდან შემცივდა.

— არ ჩანხარ უბრალო გოგუცუნა, ცუნცულ! — წიგნებში ხელები შეუცურა.

აქამდე თინოს ეს მკრეხელობად ერჩვენებოდა, უკითხავად სხვისი წიგნის გადაფურცვლა.

— ვნახავ სხვის წიგნებში რა წერია! — თავაზიანად გასცილდა დავითს.

ტკტკტკტკ. — ნამონვიმა, თუ დრო დაიძრა?

წიგნების კითხვა აღმოჩნდა მაგარი. გაიგო ვინ არის, რა არის, სად არის... ტკტკ და ტკტკ და რამე... ერთი, ორი, სამი, ვალსი და მარტინი, ხალამო აღმოჩნდა მარტივით მარტივი.

...აი იმ მოხუცებს, წიგნებში სუსამბრის ღეროებჩანყობილს რა მოსდით? რატომ ეფანტებათ ასოები და ეკრებებათ კროსვორდებდა მოგონებების? ან ამ პაჟივით ბიჭუნას და ანგელოზ გოგოს ცალხაზიანი რვეულები, უმარტივესი და ურთულესი ჯამის ფორმულით რამ ააჭრელა? ვინ შეასწავლა სიყვარული რას უდრის. დახურონ თხელი რვეულები, ბატიფეხური ვინმემ არ ნახოს, არ ნაშალოს, სხვას არ აკითხოს? ან გაზონებზე მონოლიდი წყვილის წიგნებში თანდათანობით რატომ ქრება სიტყვები... უი, სიტყვები არც ჰქონიათ, სანოტო რვეულს ეფანტება ფურცლები ისე, როგორც ნუშებს. შეხედეთ მრგვალი, შემინული რესტორნის შუშებს. იქ ყველა წიგნი იკითხება. მხოლოდ სარკით თუ დააკვირდები, გადმობრუნებულ ასოებს, მთვარალებს. ვილაცას წიგნი დაფარდნია. სიმთვრალისას ხომ როცა ვცდილობ სხვისი წიგნები გადავარჩინოთ, საკუთარს ვკარგავთ.

თეთრო ნარცისო, მომეწონა შენს შედეგშიც ორიოდ ფრაზა... ტკტკტკტკ და ნება რომ მიგეცა ყველა წიგნს ნაიკითხავდა, ცას ნაიკითხავდა, ნვიმას... ტკტკტკტკ და მოტოროლერების გაბრაზებულმა ბლუილმა გაარღვია გაბლიუზებული ჯაზი.

ბლლლლ-თი შემოვარდნილები ბზზზზ-თა დაიარებოდნენ, ჯიბიდან ვინჩესტერებით ისროდნენ და თავზე წიგნების ნაცვლად კომპიუტერები ედგათ. ილღიებში პრინტერები ამოეჩარათ და ჩექმებზე პროცესორები მიემარებინათ. მხრებზე დინამიკები ჩაემარებინათ და შუბლზე ვიდუთვალეები უკაიფებდათ. კუდში ქსეროქსიანები მოჩანჩალებდნენ. კაბელიანები ფეხს ითრევდნენ, უკაბელონი ლაღად მოაბიჯებდნენ.

თინომ საყვარელმა უცხო სიტყვათა ლექსიკონით მომარიაჟე ბანოვანთან გააბა მასლაათი, ხელმკლავიც გამოსდო, შორი ჩაბნელებული ფანჯარისკენ წარუძღვა და თინომ ლანდებიდა შენიშნა, ერთმანეთის ანენილ ფურცლებში რომ ჩაერგოთ თავები... ალბათ სტამბის სუნის ღრმად შესაყნოსდა. ვიპიპივიპიპიპიპიპიპი.

დავითის ქანდაკება მოუახლოვდა. თავზე წიგნები ტალღებდა ეწყო. — აქ რა წერია? — დაეკარგა მკაცრი

ლემალემა თინოს. თავი გაუნოდა. — ჩემი ფანი ხარ? ჩემი "ვეშია"! ციტატები ზეპირად იცი, ცუნცულ?

ველარც სახელს ჰკითხავდა, ველარც გვარს, ამიტომ თქვა: — რა ნარცისისფერი სინაზეა არა? ციდან შემცივდა.

— არ ჩანხარ უბრალო გოგუცუნა, ცუნცულ! — წიგნებში ხელები შეუცურა. აქამდე თინოს ეს მკრეხელობად ერჩვენებოდა, უკითხავად სხვისი წიგნის გადაფურცვლა.

— ვნახავ სხვის წიგნებში რა წერია! — თავაზიანად გასცილდა დავითს. ტკტკტკტკ. — ნამონვიმა, თუ დრო დაიძრა? წიგნების კითხვა აღმოჩნდა მაგარი. გაიგო ვინ არის, რა არის, სად არის... ტკტკ და ტკტკ და რამე... ერთი, ორი, სამი, ვალსი და მარტინი, ხალამო აღმოჩნდა მარტივით მარტივი.

...აი იმ მოხუცებს, წიგნებში სუსამბრის ღეროებჩანყობილს რა მოსდით? რატომ ეფანტებათ ასოები და ეკრებებათ კროსვორდებდა მოგონებების? ან ამ პაჟივით ბიჭუნას და ანგელოზ გოგოს ცალხაზიანი რვეულები, უმარტივესი და ურთულესი ჯამის ფორმულით რამ ააჭრელა? ვინ შეასწავლა სიყვარული რას უდრის. დახურონ თხელი რვეულები, ბატიფეხური ვინმემ არ ნახოს, არ ნაშალოს, სხვას არ აკითხოს? ან გაზონებზე მონოლიდი წყვილის წიგნებში თანდათანობით რატომ ქრება სიტყვები... უი, სიტყვები არც ჰქონიათ, სანოტო რვეულს ეფანტება ფურცლები ისე, როგორც ნუშებს. შეხედეთ მრგვალი, შემინული რესტორნის შუშებს. იქ ყველა წიგნი იკითხება. მხოლოდ სარკით თუ დააკვირდები, გადმობრუნებულ ასოებს, მთვარალებს. ვილაცას წიგნი დაფარდნია. სიმთვრალისას ხომ როცა ვცდილობ სხვისი წიგნები გადავარჩინოთ, საკუთარს ვკარგავთ.

თეთრო ნარცისო, მომეწონა შენს შედეგშიც ორიოდ ფრაზა... ტკტკტკტკ და ნება რომ მიგეცა ყველა წიგნს ნაიკითხავდა, ცას ნაიკითხავდა, ნვიმას... ტკტკტკტკ და მოტოროლერების გაბრაზებულმა ბლუილმა გაარღვია გაბლიუზებული ჯაზი.

ბლლლლ-თი შემოვარდნილები ბზზზზ-თა დაიარებოდნენ, ჯიბიდან ვინჩესტერებით ისროდნენ და თავზე წიგნების ნაცვლად კომპიუტერები ედგათ. ილღიებში პრინტერები ამოეჩარათ და ჩექმებზე პროცესორები მიემარებინათ. მხრებზე დინამიკები ჩაემარებინათ და შუბლზე ვიდუთვალეები უკაიფებდათ. კუდში ქსეროქსიანები მოჩანჩალებდნენ. კაბელიანები ფეხს ითრევდნენ, უკაბელონი ლაღად მოაბიჯებდნენ.

თინომ საყვარელმა უცხო სიტყვათა ლექსიკონით მომარიაჟე ბანოვანთან გააბა მასლაათი, ხელმკლავიც გამოსდო, შორი ჩაბნელებული ფანჯარისკენ წარუძღვა და თინომ ლანდებიდა შენიშნა, ერთმანეთის ანენილ ფურცლებში რომ ჩაერგოთ თავები... ალბათ სტამბის სუნის ღრმად შესაყნოსდა. ვიპიპივიპიპიპიპიპიპი.

თავებს მორგებული პლაზმური მონიტორები, ბრტყელ ეკრანებს სხვადასხვა გაბარიტების მქონეს და გიგაბაიტების გამომსხივებელს აქეთ-იქით თავმოშინოდ ატრიალებდნენ.

დინამიკებიდან გამამხნეველები სიმძლავრით მოიტალღებოდა, ვიბრირებდა და ავიბრირებდა ბიო- და ელექტროვლებს ელექტრონული მუსიკა.

მყუდროდ გადასიყვარულეულ ოაზისს ყოვლისმომცველი შიში მოედო. ისინი უცხო პლანეტლებს ჰგავდნენ.

— შემოიშვნენ! — თავზარდაცემული ყვირილით გაიქცა ზოგი.

— ისინი ჩვენზე ღონიერები არიან! — ჩურჩულებდნენ დაქორული ნიწილებივით გაფანტულები.

— მეორედ მოსვლაა? — მერამდენედ! რა დავაშავეთ, რა? მოსულნი ამაზრზენად იქცეოდნენ.

წიგნებს კომპიუტერთა მესხიერებაში ერთ-ორ ოპერაციამი ათავსებდნენ. ციფრული ფოტოებით იღებდნენ ირგვლივმყოფთა ნარსულს, ანმყოს და მომავალს და ღორმუცელა მანქანა ამ ჩანანერებს ნთქავდა.

მობილურის გარეშე იყვნენ შეხლართული რაღაც გაუგებარი, მსოფლიო ტვინის ქსელში და ძალაუნებურად შიგ გხლართავდნენ, გქონდა ტვინი თუ არა. ადგილიდან ფეხის მოუცვლელად ყიდულობდნენ ახალ-ახალ მოტოროლერებს, ემუქრებოდნენ ვინროჭრილიან რკინის საფოსტო ყუთებს განადგურებით, ღია ბარათებიც კი არარეალური ჰქონდათ. თუ გაბრაზდებოდი, ვერ დახევიდი, უნდა ნაგეშალა.

ზოგი მონიტორი უსირცხვილო გაშიშვლებებს ისე გადმოსცემდა, რომ გინდა მისთვის შეგეხედა და გინდა გაშიშვლებული მავთულისთვის მოგეხედა ხელი. მოსულნი ჩატაობდნენ კიდევ. პროცესორებში ჩიპებსაც არჭობდნენ და ზიპებსაც აწყობდნენ.

საიტიდან საიტზე ისე გადადიოდნენ როგორც ვებ-გვერდიდან ვებ-გვერდზე და ყველაზე შემამინებელი — ფიქრობდნენ და აზროვნებდნენ.

მათში ბოროტმოქმედნიც ერივნენ. მოსულნი მსოფლიოზე გაბატონებას აპირებდნენ. მსოფლიოს ახალი სიჩქარეების ალებეზარებოდა.

— ოჰ ეს ბებერი, ბებერი, ბებერი, დალილი მსოფლიო! მაგარი ფილმია. დაგვალა ძმაო ოქროს კერპის დევნამ, მარა რას დაგვარბენინებს. ნავალ ამ აზრს ჩავინერ. — მათ ფონზე არც ისე სუპერი ჩანდა.

მოსულთა ბელადს კლავიატურიან, დივიდი რომიანად და რომის დასაქოქი ბოთლებიანად, ყველაფერი საათისხელა

ლექტოპში ჰქონდა განთავსებული.

— რა ნიკით ხარ შემოსული? — მიადგა თინოს.

თინოს ისედაც ანტიკვარიატის მაღაზიიდან გამოტანილად ერჩვენებოდა თავი.

— აქ რა წერია? — კითხა მექანიკურად.

— გადავიპრინტერებ გინდა?

თინომ რატომღაც მასთან ინტიმი წარმოიდგინა (არადა გადაპრინტერება სხვა რამეს ნიშნავდა). ალბათ ბევრი კაბელით ბევრ ხელსაწყოსთან შეგაერთებს და ჩაგრთავს. პიიიპ. შენ კი ამ დროს უნდა ინრიპინო: პრლენ, პრლენ. დლანდაუნ დლანდაუნ. კლინც. ტრრრ, ტრრრ, ტრრტტ. საამურია. — შიშით გააცია.

— რეპი? ტექნო?! სუპერტექნო?! ისეთი პრიჩო გაქვს, ბრეიკზე გაჭედავდი?

თინო ბრეიკმა დააბრეიკა. მოტყდა და ფეხსაცმელსაც მოტყდა ქუსლი.

მოსულთა ბელადს პაჟივით ბიჭუნამ ჩამოქაჩა სახელი.

— ბიძია, გაციებული ვარ, ვირუსი მაქვს.

— მე ანტივირუსი.

— იცოდე დენს გამოგირთავ, ჩემი და ჩემი შეყვარებულის სურათი დაუპატენტებლად არ დადო.

ბელადმა აზრიან ბავშვს ახალთახალი ჩიპი უსახსოვრა. ასევე საზღვარგარეთ განათლების მიღების უფლებას, მსოფლიოში საუკეთესოდ კომპიუტერიზირებულ გამოცემლობის წიგნებთან ერთად.

თინომ ფეხმოტეხილივით გამოჩლახუნდა ნუშის ბაღნარიდან.

უკან მოიხედა. ბენგალი ცათამბრჯუნებდა აიზიდებოდა. რეკლამეზივით გხვდებოდა თვალში. ქალი გალახულივით ტოვებდა დიდ, მწვანე და არსებობისათვის ბრძოლის ველს.

დილის ხუთის ნახევარი იდგა. ცას რიბი-რაბო შეეპარა.

უფერულ დილის, უფერულ ქალაქში, ცარიელი ქალის ცარიელ სახლთან ბუკინისტი თავის ხარაჩოსდარ დახლთან იდგა, თითქოს არც წასულაო.

ვილაცას ელოდა.

თინო ქვაფენილთან ჩამოჯდა და ფეხსაცმლის ქუსლს დაუნყო ჩამაგრება. გამნარებული ურაკუნებდა ქვაფენილს.

— ისა რა ქვია, თქვენ, უკაცრავად, ეეე... წიგნების შემოსავალი გყოფნით?

ისევე თვალებით გაუღიმეს. — წიგნების გადამწერლადაც ვმუშაობ.

— ხელით? — გაკვირვებულმა ამოხედა.

— არა, უფლის შენენით. — დინჯად გაიცინა.

თინო წამოდგა, თავზე წიგნი შეისწორა, გაიმართა და მიხვდა.

— ნავალ, მე თვითონ ნავიკითხავ ჩემს წიგნს, ვნახავ რისი დატოვება შეიძლება, რისი გამოტოვება, რისი ნაშლა, რისი გადაწერა... რა ახალია, რა ძველი... ან რაა უცვლელი.

ან რაა უცვლელი.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

გული ფეთქავდა — შუბლზე დაფენილი ძარღვიდან, მაჯებიდან, კოჭებიდან ძგერდა და სიცოცხლის ნიშანწყალს აღვივებდა, მშობლის წიაღში დაგროვილ სუნთქვას.

მერე, დიდი ხნის მერე, ძილის წინ, ყოველ ღამე ვიგონებდი ამ სიზმარს. გაცისკროვნებული ღიმილით მიცქერდა დედა-შვილი, კმაყოფილი და ბედნიერი ორთავე. ორი ცხოვრება გაგვევლო უკვე — ძველი სტილით და ახალი სტილით, ბავშვამ-

რად დრო გამოვიარეთ! ფიქრს მივენდობოდი, მაგრამ მოგონებაში ყოფნას არ მაცლიდა პატარა მარგალიტი, ახალ ფურცელს მომაჩრებდა და მეც —

„მტრედი მახლდა. ამბის შემტყობად გამოვგზავნე, მაგრამ მასზე მეტად მე მინდოდა სიახლეში ლივლივი, დროსთან გაჯიბრება. ამიტომ ვიდრე გავუშვებდი, პლასტმასის სათამაშოსავით მოვმართე, ჩემს გვერდით რომ ეფრინა, გამეგონა მადლიანი ფრთების ფათქუნი და შეუსვენებლად მევლო, სანამ ვალმა ნაპირს მივალწევიდი, ჩვენი შეხვედრების ქვიშიან მინას“...

იჭვნიულად გადმოგვხედავდა, თვალ-ებშივე რომ ეკითხება გაკვირვება და რაღაც, დაუფერებლად ბავშვური... ბავშვურად დაუფერებელი. ნეტა არაფერი გვეთქვა!

უცნაურად წამოგვეყრიდა დილაადრიან. თბილ ტანსაცმელს და განუყრელ, ბუმბულა ქუდს მოითხოვდა, ჩათხუნდებოდა და ჩვენზე ადრე, კიბეებს ჩაყვებოდა მარტო, როგორც ყველას თვალწინ მოარუ-ლი სიცოცხლე, ოცნების ნაპერწკალი დედამინაზე... ჩემი და შენი.

ჩემი და შენი.

ზვიად კვარაცხელია

ყველას თვალწინ

დე და ჩვილის გამოჩენის შემდეგ დაწყებული. სხვები ნავაჭრით, ნაშრომით და მონაგარით ითვლიდნენ წელთაღრიცხვას, აქ კიდევ ველის შრომანები უნდა განგეცადა, რომლებიც არც შრომობდნენ, არც ართავდნენ, მაგრამ უფალი ზრუნავდა მათ სამოსელზე.

— აი მანდ, ბოლოში, — ვეტყოდი და ძველი კარადისკენ გაიქცეოდა ჩემი პატარა, ყდაშემოხეულ, გაცვეთილ წიგნს იპოვინდა და დამიდებდა სასთუმალთან.

გრძნობათა ნაკრები იყო, წიგნი კი არა — ყვავილით მონიშნული გვერდები, სანთლის ნალენთები ეტყობოდა კიდებზე, ნათითურები, ერთად რომ ვშლიდით და ვფურცლავდით. ცრემლიც ალაგ-ალაგ.

ერთხელ ხელნაწ-

ერი ფურცლები გადმოცვივდა და ბავშვის დაჟინება რომ არა, ალბათ მოვერიდებოდით ასე საჯაროდ ნაკითხვას. გაბრაზდა, გამეტებით დააბაკუნა მაღალქუსლიანები იატაკზე, ფურცლები ამაფარა თვალებთან.

შეგვრცხვა ორივეს. „რაც უფრო მოუთმენლად გავიხედები სივრცეში, მით მეტი ბუნდოვანი გამოსახულება ამოყვება წარმოსახვას, მეხსიერების ბადეს და ზოგან თუ შლამი გამოერია, ეგ არაფერი, ოდესმე ოქროს თევზიც დავიჭირო იქნება“ — სანამ თვითონ შეგვეკითხებოდა, ტყუილი ვერ შევებდეთ და მოკრძალებულად აუუხსენით, რომ მთელი ძველი წელთაღრიცხვა, ანუ სანამ მისი უნაოცნებარესობა მოველინებოდა ქვეყანას, ასეთი დებილობების წერა-კითხვით ვიყავით გატაცებული, უფრო სწორად, გვიყვარდა ერთმანეთი და ეს იყო უჩინარი სიბრძნე და შეუცნობელი სიბრყველე.

— მე ვწერდი, დედიკო კადრებს იყო დადარაჯებული... —

დადარაჯებული...

ნოდარ ჯალალონია

„გათენებულა, გამიშვი,
გამიჯავრდება დედაო.“
ხალხური

შენ რომ ნახვიდე, დამტოვო,
ჩემი მშველელი ვინ არი.
დამაზრობს დარდის ყინული,
წამილებს ცრემლის მდინარე.

შენ რომ ნახვიდე, ვაიმე,
იმედის ძაფი განწყდება,
განა მარტო მე ვიდარდება,
ვარსკვლავებს გული დანწყდებათ.

დავრჩები მარტო, ეული,
უმწნოდ ხელაპყრობილი,
არ გამილიმებს უშენოდ
არც მთვარე, შენი დობილი.

უგულოდ, უსიყვარულოდ,
სიხარული ხომ არ მოვა.
შენ რომ ნახვიდე, დამტოვო,
ჩემთვის მზე როგორ ამოვა.

როგორღა გაეძლო უშენოდ,
შენს გულთან ლოცვით მისულმა,
ან დედა რატომ იჯავრებს,
თუ გულმა გული ისურვა?!

კაფიოა მთავი

ვისმენ მთიელთა კაფიას
და გული ლხენით მეცხება,
მე გამაოცეს წამისწამ
დაბადებულმა ლექსებმა.

იქ, ვინმე სიტყვას ან სათქმელს
განა ეძებს და იგონებს,
მთას შეხედავს და უმაღლე
ბაგეს მოწყდება სტრიქონი.

ცას შეხედავს და უეცრად
სული ცისაკენ იწევა,
ჩანჩქერები და ცის ნამი
სიტყვა-რიტმებად იქცევა.

იქ ყველა ქართულ ენას და
სამშობლოს ეალერსება,
და მთების ია-ვარდები
მოედინება ლექსებად.

როცა შაირი იწყება,
იღება ლექსის კარებიც
და მათი სანერ-კალამი
ხდება ფანდურის ლარები.

თუმც მეც რაღაცას ვცოდვილობ
და საქმე ლექსებს ეხება,
მათი შაირის შემყურეს,
ხმა როგორ ამომელება.

მაც „ადამიანს დაჰეკა“

თუმც წლები მიდი-მოდიან,
ისევ დიდია ცთუნება.
ალარ იცვლება ადვილად
ადამიანის ბუნება.

მეც მინდა, ახლა ხატის წინ
თხოვნა-ვედრებით დავეცი...
მეც სანთლით ხელში დავდივარ
და „ადამიანს დავექებ“.

ღიალოგი სულთან

თურმე სიცოცხლე ამ ქვეყანაზე
შენით იწყება, შენით თავდება.
ვატყობ, ვიქცევი ამაოებად,
არ დამიდგები თუკი თავდებად.

არის ძილი და არის სიზმარი
კაცის სიცოცხლე თურმე უშენოდ
და ჩემს წუხილს და გულის ტკივილსაც,
სულო, ისევ შენ უნდა უშველო.

რაში მჭირდება ისე სიცოცხლე,
თუნდაც ავსილი ნადიმ-ლხინითა,
ჩემი სამშობლოს მადლს და სიკეთეს
თუკი ჩემს გულთან ალარ მიიტან.

რაში მჭირდება შენი სიცოცხლე,
შენი უაზრო ჟივილ-ხივილი,
თუკი ჩემს გულსაც არ აატირებ
ჩემი ქვეყნის და ხალხის ტკივილით.

რაში მჭირდება შენი სიცოცხლე
ანდა ამაო ჭეჭა-ჭუხილიც,
თუკი ჩემს გულსაც არ ააკვნესებ
სხვათა დარდით და სხვათა წუხილით.

თუ არ იქნები ბჭე და მსაჯული
ქვეყნის გამცემის, ლიზლის, თავხედის.
თუ არ დახვდები სტუმარს მასპინძლად
და მტერს თუ მტრულად ალარ დახვდები.

თუ ქართულ მინას, ენას და სიტყვას
ვერ მოუვლი და ვერ უპატრონებ,
რაში მჭირდება შენი სიცოცხლე,
ნადი, სიკვდილთან მარტო დამტოვე.

როცა დროა ბოლმიანი
და სამშობლოს ღალატია,
ცბიერების დოლი არი,
თაღლითების პარადია.
შენ რომ სანდოდ გეჩვენება,
იქაც შური-ღალატია.
ვაგლახ! ჯილდოდ ერთგულების,
თურმე, გიჟის ხალათია.

შემომეყარა ქართული

„შემომეყარა ყივჩაღი
საზღვარსა მუხრანისასა“.
ხალხური

შემომეყარა თბილისში
ქართული სახელ-გვარიოთა,
ვებრძვით ერთმანეთს გულდაგულ
ხან სიტყვით, ხანაც ხმალითა.
ის თავის ნათქვამს არა თმობს,
არც მე ვთმობ ცოცხალ თავითა,
ჩვენი მტრობით კი ქვეყანამ
ვერა და ვერ იდავითა.
ჩვენ რომ ერთმანეთს არ ვინდობთ
დუშმანი ხარობს ამითა,
ჩასაფრებული ყივჩაღი
თვალს არ გვაცილებს წამითაც.
ვაი, რომ ველარ მივმხვდარვართ,
გულს რომ ვაბარებთ მტრისასა...
აქეთ მე ვკვდები, იქით ის,
სამშობლო მიდის სხვისასა.

მაგულისთვის ვინც დღეს კვდება

ედღვნება ავგსიტოს ომში
დაღუპულთა ხსოვნას

წინაპართა ნათელ სახელს
თუმც არ ვაკლებთ ხოტბა-ქებას,
მაგრამ უნდა ვაქოთ ისიც,
მამულისთვის ვინც დღეს კვდება.

ხომ ვახსენებთ სამასს ქართველს,
ვინც იმ კრწანისს შეენირა,
მაგრამ დღესაც ქართველები
ხომ შეაკვდნენ როკის გვირაბს.

არ მოვაკლოთ უნდა ქება,
არც დღევანდელ ქართველ გმირებს,
უსაფლავო ვაჟკაცები
დედებმა რომ ვერ იტირეს.

ქართველის დედის უკვდავ სახეს
ყველა ქართველ ქალში ვხედავთ
და სიყვარულს ნუ მოვაკლებთ
იმ შვილმოკლულ ქართველ დედას.

ნუ მოვაკლებთ მათაც ქებას,
ვინც უძილოდ ებრძვის ღამეს,
სულ ერთ წამში გათეთრებულ
ვაჟკაცების ვაჟკაც მამებს.

უნდა ვაქოთ და ვადიდოთ
ჩვენი თანამედროვენიც,
დღევანდელი პაატები
ცოტნეები, თევდორები.

სული ვახტანგ გორგასლისა
ისევ იბრძვის და დღეგრძელობს
და გმირების სახელები
ემატება საქართველოს.

ზოია ვაშაკიძე

გადმოხარა ქარმა დაფნა,
ჩემს წინარე დაამდაბლა...
რაღაც უცნაური ძალით
ვიგრძენ სურვილი ქარის -
თაყვანისცემა ქალის.

ჩაკოცნა მთვარემ ვარდის ბალები,
მიღმა ჩურჩული ატეხეს ხეთა...
ვარდისფრად ენთო გადასახედი,
ეძინა ტკბილად თბილისს და მცხეთას.
ცა კრთოდა, როგორც ციციანათელა,
ჰგავდა ქვეყანა მაცხოვრის მღვიმეს
და ჭრელი ფიქრი, ვით ცისარტყელა,
თავს ევლებოდა ამერს და იმერს.

მე ისევ გიძღვნი ქებათა ქებას,
როს მწიფობისთვე შენს ზღვარში დგება...
ფერს, შაბიამნის, ჩარეცხავს წვიმა
და ოქროს ფერი დაიწყებს ბრწყინვას...

დაესიზმრებათ მაჭარი ქვევრებს,
ცას შეხედავენ ტუჩების ლოკვით
და ღვთიურ წვენიტ ტანმძიმე ვაზებს
მშობიარობის შეაკრთობთ როკვა...

ისევ დაგიკრეფ ყვავილებს,
მზისა და მთვარის ფერიანს,
ისევ გულიანს გიმღერებ,
ვით ადრე დამიმღერია.
70? არც ცოტა
და არცა ისე ბევრია.
წინ დიდი გზაა, კვლავ ვმღერი...
კვლავ მნატრობენ... კვლავ მეღიან...

არაგვითან

ამ ჩემს ბაჯაღლო მხარეში
უცხო ვინ ალაპარაკდა...
ან ეს ღრუბლები, პირქუშნი,
აქ, ჩემს ცაზე, რად დალაგდა...
ფიქრი არაგვზე შობილი,
წუხილით ჩადნა არაგვთან...
ჩემს მკვიდრთ მშველელად გიხმობთო, -
კვნესა მომესმა ბალახთა...

დაძველდა მთვარე,
დაძველდა თოვლი,
ბებერ სამყაროს
გაბეზრებული ფერები მოსავს...
იქნებ დრო არის მოინათლოს
ახლად ყოველი...
და ახლოვდება იქნებ ჟამი
მეორედ მოსვლის.

ნასახლართან

მიდიან სადღაც...
მონატრებულნი ქურქსა და ფარჩას,
მომფერებელი აქეთ, ამ მიწის
ცოტალა დარჩა.
ველარ ვისვენებ, წრიალებს ფიქრი...
და უგემურად მივირთმევე ვახშამს.

ჩამოეკიდა წვიმა ღრუბელზე
და თბილ ქარებში
ნელა ქანაობს...
ადიდდა ლელე...
ხვალ შეიძლება ამ ლელეში
მზემ იბანაოს.



ლალი ავალიანი

გურამი და ზღვა

თემა და ვარიაციები

„მი თოლია ვარ და ქართან ერთად მლაშე ტალღებს ვეთამაშები ქარი ქრის თავისთვის ზღვისთვისაც სულერთია თოლის ბედი...“

გურამ რჩეულიშვილის დაუმთავრებელი და დაუმუშავებელი, სავარაუდოდ, — უკანასკნელი ლექსის (უსათაურო — „დედა! არ ჩამოხვიდე ზღვაზე...“) ეს ფრაგმენტი წინასწარმეტყველური აღმორჩნდა: რამდენიმე დღეში იგი ზღვაში დაიხრჩო, — უბედური შემთხვევის თუ ბედის მწარე დაცინვის გამო (26 წლის მწერალი — უშიშარი, ძლიერი, მთამსვლელი, უებრო მოჯირითე, მოკრივე, — საუკეთესო მოცურავეც იყო).

სრულიად ახალგაზრდა მემბოხე მწერალმა, 50-60-იანი წლების „ანდერგრადის“ უსაჩინოესმა წარმომადგენელმა გურამ რჩეულიშვილმა სიცოცხლეშივე მოიპოვა უჩვეულო, ხმაურიანი პოპულარობა; ლეგენდად ის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ იქცა. ეს იყო გაგრაში, 1960 წლის 23 აგვისტოს; 26-ში იგი თბილისში დაბრუნებას აპირებდა...

დღევანდელი თვალსაზრისით, გურამ რჩეულიშვილის პირადი ცხოვრება და შემოქმედებითი მრწამსი ამკარად ეხმარება და წინ უსწრებს 60-იანი წლების დამლევის ევროპულ-ამერიკულ ახალგაზრდულ ბუნტს, რამაც დიდი კვალი დააჩნია თანამედროვე ლიტერატურასა და ხელოვნებას. თუმცა სიცოცხლეში მხოლოდ 9 მოთხრობა ჰქონდა გამოქვეყნებული, ხოლო მისი პირველი პროზაული კრებული პირველად 1961 წელს დაისტამბა, გურამი იმთავითვე ე. წ. „საკულტო“ მწერლად იყო შერაცხული ახალგაზრდული (ახლა რომ „თინეიჯერებს“ ვეძახით) გარემოცვის, მათ შორის ჩემი თაობის მიერაც.

ბურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა სრულად არის თავმოყრილი მის თხზულებათა ექვსტომეულში (2002—2007 წწ.), გურამის დის, ენათმეცნიერისა და ლიტერატორის მარინე რჩეულიშვილის მიერ. იგი არა მარტო შემდგენელ-რედაქტორია ამ ე. წ. საარქივო გამოცემისა, არამედ ავტოგრაფთა სკრუპულური დახასიათებისა და მემუარულ-ესეისტურ თუ ბიბლიოგრაფიულ დანართთა ავტორიც. მისი უეჭველი სამწერლო ნიჭისა თუ უკიდურესი გულწრფელობის ნყალობით, თითოეული ტომის ვრცელი დანართი შეუნელებელი ინტერესით იკითხება. შემდგენელმა ერთგვარად გარისკა კიდევ, როცა გამოაქვეყნა ზოგი უმნიშვარი, „მავად“ მიტოვებული ტექსტი, ისეთი, ავტორი რომ არ დაბეჭდავდა; მეორეს მხრით, ავტოგრაფების უცვლელად დასტამბვა, შესაძლოა, ერთგვარი ლაბორატორიაც აღმოჩნდეს დამწყები მწერლებისათვის: როგორც ჩანს, გურამი იოლად, შთაგონებით, სპონტანურად წერდა, თუმცა ტექსტს „დამთავრებულად“ იშვიათად მიიჩნევდა.

მარინე რჩეულიშვილი უფროსი ძმის შემოქმედების არა მხოლოდ მემკვიდრეა, არამედ მკვლევარიც. მანვე წარმოაჩინა გურამის თხზულებათა ე. წ. ციკლოზობა; მათ შორის ყველაზე ხვავრიელია მთისა და ზღვის ციკლები.

„ზღვას“ გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში ძირითადად ისეთივე დატვირთვა აქვს, როგორც „მთას“: ესაა

უსიცოცხლო ყოველდღიურობისაგან, რუტინისაგან, სიყალბისა და ფარისევლობისაგან თავდახსნის, გაქცევის, გურამისვე სიტყვებით, — „გავარდნის“ („გვექონდა გავარდნა ბაკურიანში...“) მცდელობა. ასეა მწერლის დღიურებიც: ზღვა დაუმორჩილებელი სტიქიონია, ხან სიხარულისა და მშვენიერების მფენი, ხანაც მღელვარე, ბობოქარი, დაუნდობელი, სასტიკი და სრულიად გულგრილი ნაპირზე თუ მის ტალღებში მოფუთფუთე ადამიანებისადმი...

მაშინ ერთ-ერთი ასეთი „გავარდნა“ უცხოეთს უკავშირდებოდა; ორმა ცნობილმა თბილისელმა ბიჭმა, რომელთა დონკიხოტური მცდელობა, — ცურვით მიეღწიათ თურქეთის რომელიმე გემამდე და თავშესაფარი ეთხოვათ, — კინაღამ თავი დაიღუპა: მათ საბჭოთა ციხის „სიამინი“ კი იგემეს, თუმცა საბედნიეროდ, დახვრეტას გადაურჩნენ.

ჩემი პირველი გახვლა უცხოეთში და იქიდან „აჟიტირებული“ დაბრუნებაც, რალაცნაირად, გურამ რჩეულიშვილს დაუკავშირდა...

60-იანი წლების დასაწყისში, როცა შესაძლებელი გახდა მხოლოდ „სოციალისტურ“ უცხოეთში გამგზავრება, ჩემთვის სასურველი პოლონეთის მაგივრად, რუმინეთში აღმოვჩნდი. მშვენიერი ქვეყანაა, საქართველოს სადარდო, სამხრეთულად თბილი ხალხით, ულამაზესი დედაქალაქით; მთაშიც ვიყავით და ზღვაზეც. ახალგაზრდულმა ჯგუფმა, ცხადია, საუკეთესოდ გავატარეთ დრო, ისიც კი მოვახერხეთ, რომ იტალიელ („არასოციალისტ“) ტურისტებს დავემგობრდით. თბილისში დაბრუნებულმა, ერთი გენუელისაგან ღია ბარათი მივიღე გულითად მოკითხვით; კვბ-ს შიშით აბა როგორ გამოვეპასუხებოდი, მისი სახელი და გვარი კი დღემდე მახსოვს მუსიკალური მოტივივით — დინო მოზარელი.

ახალგაზრდებს გაუკვირდებათ, რა შიში, რის შიში... მათთვის ისიც გაუგებარი იქნება, რომ არაკომკავშირელს, თუნდაც რუმინეთში ნასვლის მცირედი შანსიც კი არ გააჩნდა. პოლონეთში ნასვლის ემხით (გადმოცემით ვიცოდა, რომ დიდი ბებია პოლონელი მყავდა, — რუსეთის მიერ კავკასიაში ექსორიაქნილი გენერლის კაბლიანსკის ქალიშვილი), III კურსზე კომკავშირშიც კი შევედი. 14 წლის ასაკში მთელი კლასი (თბილისის მაშინდელი I ქალთა სკოლის VIII კლასი) „ბითუმად“ შეგვრეკეს კომკავშირში. მოხდა ისე, რომ იმ დღეს სკოლაში არ ვიყავი; შემდეგ კი გამაფრთხილეს, — ახლა რაკომში უნდა წახვიდე და კომკავშირში მიღება ითხოვო. რაკომს, რა თქმა უნდა, აღარ გავკარებდით; აღარც მათ აინტერესებდათ ერთი, „უმწყემსოდ“ დარჩენილი ღლაპი.

სწორედ კომკავშირის „წყალობით“ გავატარეთ 1960 წლის აგვისტო-სექტემბრის ორიოდე კვირა უცხოეთში. მოგეხსენებათ, მაშინ საქართველოს საზღვრები არ გააჩნდა: მას, „დღი საბჭოეთის პატარა შვილს“, მდინარე ფსოუ მხოლოდ სიმბოლურად ამოიშორებდა რუსეთისაგან (ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მეოცე წლისთავისათვის, საქართველოს გულისგულში, მავთულხლართებიან ახალ საზღვრებს დაგვიწესებდა მარადიული ჭკუის მასწავლებელი და „უფროსი ძმა“, — რუსეთის ნეოიმპერიალისტური მთავრობა...).

სიხარულით მოვეშურებოდით მონატრებულ სამშობლოში: რა დამავინყებს იმ მოუთმენლობას და სულის ფორიას, ჯგუფის უკლებლივ ყველა წევრს რომ დაგვეუფლა. ვაგონის ფანჯრებს ჩაფრენილები, სულწასულად ველოდებოდით ფსოუს ხიდზე გადასვლას. დადგა ნანატრი წუთიც და ისეთი ჟივილი-ხივილი, ნივილი-კივილი და ზღუქუნნი ავტებზე საქართველოს საზღვრის გადმოლახვისას, თითქოს ორიოდე კვირა კურთხეულ რუმინეთში კი არა, მორეული ციმბირის გადასახლებაში ვიყავით. ბედნიერების იმგვარი ყოვლისმომცველი შეგრძნება მხოლოდ რამდენჯერმე თუ განმიცდია ცხოვრებაში.

სექტემბრის პირველი დეკადა იყო.

გაგრის სადგურში თბილისელები ამოვიდნენ და... ასე გავიგეთ გურამ რჩეულიშვილის დაღუპვის ამბავი. ზღვისკენ გახედვაც კი აღარ გვინდოდა: როგორ, ზღვამ დაახრჩო გურამი, ნიჭიერი, სახელიანი „ლევაკი“-მწერალი (მაშინ, მგონი, სიტყვა „დისიდენტი“ საერთოდ არ შედიოდა ჩვენს ლექსიკონში), საკულტო ჰემინგუეის „მიმდევარი“; სპორტსმენი, შფოთისთავი, უშიშარი, ხიფათიანი, გამომწვევი პოზიორი; ჩემი ულამაზესი თანაკლასელის შეყვარებული; ყველგან და ყოველთვის პირველობის მოსურნე; მოსკოვში, ოცდაათგარდაუსიან ყინვაში უჭუდოდ რომ დადიოდა, იქვე რომ „ტაქსაობდა“, თვეობით იკარგებოდა თბილისიდან... რამდენი რამ, ჭორი და მართალი ამომიტივტივდა გონებაში. ძალიან ახალგაზრდა და ეგოისტი ვიყავი: არ დავიჯერე და მორჩა...

თბილისში მალევე დავეშვი ციდან. ჩემი ოჯახი საოცრად დამწუხრებული დამხვდა (გურამის დედა მარიამ ნიჟარაძე დედაჩემის ბავშვობის მეგობარი იყო); გურამი უკვე დაეკრძალა ვაკის სასაფლაოზე. სულ მალე, დედასთან და დასთან ერთად, დედა მაროს მამის პანაშვიდს (ალბათ — „ორმოცს“) დავეხსნარი. ახლაც ჟრჟოლას მგერის დედა მაროს მოთქმის გახსენება, სასაფლაოზე მამაზე უწინარეს, შვილს რომ დასტიროდა: — მამა, მამა, გურამ, გურამ, გურამ, გურამ, გურამ... დედა და მისი სიყვარული მეგობრები ხშირად დადიოდნენ რჩეულიშვილებთან სამძიმარზე, სწორედ მაშინ მოგვითხრო დედა იმ უკანასკნელ, თითქოსდა პროვიდენციულურ წერილზე, გურამმა რომ გამოუგზავნა დედა მაროს.

ის წერილი პირველად გამოქვეყნდა 2007 წელს, ექვსტომეულის VI ტომში. მარინე რჩეულიშვილის კომენტარებიდან: „მეზობელი ქალის, მარო ცირეკიძის თქმით, დედა ამ წერილის მიღების შემდეგ ცხარე ცრემლით ტიროდა. მისთვის უთქვამს, წერილის ნაკითხვის შემდეგ ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს გურამი ამ წერილით შემშვიდობებოდა“.

ამ დროს მარინე თელავში იყო, გურამის დედა კი ლოგინად ჩავარდნილ მამას უფილდა. როგორც მარიამ ნიჟარაძის დღიურიდან ირკვევა, მისი სულის ფორი-აქი და ავი წინათგრძობა 21 ან 22 აგვისტოს გურამთან ტელეფონით საუბარმა ნაწილობრივ მაინც დააცხრო...

დედა მაროს, უჭკვიანეს, მომხიბლავ, მუდამ მოციხარ და ალერსიან ქალბატონს, ბავშვობიდან ვიცნობდი და ძალიან მიყვარდა. მოგვიანებით მიგხვდი, რომ მას განსაკუთრებული სულიერი ძალა, რტუიცია და ადამიანზე ზემოქმედების უნარი გააჩნდა. უკვე ხანდაზმული დედაჩემი, ძმის გარდაცვალების შემდეგ, ექიმებმა ნერვული სტრესიდან დიდხანს ვერ გამოიყვანეს. შენუხებულები ვიყავით; დედა მაროს ერთადერთმა მოსულამ და ბავშვობის მეგობართან თითქმის ორსაათიანმა პირისპირ საუბარმა დედა სასწაულებრივად (სხვაგვარად ვერ ვიტყვი) და მყისიერად გამოაკეთა.

ამიტომ არ მიკვირს, რომ გურამის თითქოსდა „ნეიტრალურ“ წერილს დედის ისეთ სულღერ ხვეულებში შევლწია, სხვისთვის მიუხვდომელი რომ იქნებოდა.

არადა, წერილი მართლაც სრულიად განსაკუთრებულია, — გრძობათა გადმოცემის სიმძაფრით და სისავსით, დასაწყისში კი — დასამახსოვრებელი მხედველობით ხატი: გურამის უცნაურ, თითქოსდა კინემატოგრაფიულ გამოთქმას თუ გამოვიყენებთ, — მზის ამოსვლის „შებრუნებული პროცესით“:

„დედა! რამდენიმე წუთის წინ ჩავიდა მზე; მე ვიჯექი ზღვის ნაპირას და ვუყურებდი; დისკს სანამ ძალა ჰქონდა, ათასნაირად იბრცებოდა, მერე მრგვალად გაშეშდა, როცა უფრო მიუახლოვდა ზღვას, უცებ სვეტივით ჩაუშვა შიგ, ბოლო დაუნვრილდა და სოკოს მიემსგავსა — მომაგონდი შენ და მომაგონდა მთელი ჩემი ხანგრძლივი ბავშვობის პერიოდი, რომლის განმავლობაში შენთვის შედარებით მოს-

ვენებულ წუთებში ყოველთვის იგონებდი ხოლმე ქციას, დევანას, ჯანლს და განსაკუთრებით მზის ამოსვლას ცხრანყაროზე, რომლის შებრუნებული პროცესიც მე რამდენიმე წუთის წინ ვნახე“...

ამგვარი, უფრო სიურეალისტური, ვიდრე რეალისტური სურათის შემდეგ, გურამი თითქოსდა გრძობს, რომ დედას განსაცდელი მოელის და თავის გაფრთხილებას სთხოვს: „კარგად იყავი... როგორმე მოუარე ნერვებს ასეთ პირობებში... ისეც იმდენი მაქვს გარშემო სანერვიულო, უხეში, დღეხური, რომ როცა ასეთი ფაქიზი დედის ნერვიულობა ემატება ზედ, უკვე აღარ ვიცი ხოლმე საით გავიქცე და მგონი თვითმკვლელობაზეც კი ვინყებ ხოლმე ფიქრს“...

მაშინ მარიამ ნიჟარაძეს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ლექსზე — „დედა! არ ჩამოხვიდე ზღვაზე“..., რომელიც განგამის, შფოთვისა და უიმედობის მოტივებით, თითქოს ზემოხსენებული წერილის გაგრძელებაა:

„დედა!
არ ჩამოხვიდე ზღვაზე
ზღვა ძალიან ღელავს
შენთვის არ შეიძლება აქ ცურაობა
ზღვა ძალიან ღელავს
შენც ძალიან ღელავ
არ ჩამოხვიდე იცოდე ზღვაზე
ზღვა უდარდელია
ის ტყუილა ღელავს
ის ქარისგან ღელავს
შენ კი უთუოდ დაიხრჩები
ღელვისგან ზღვაში
მე თოლია ვარ და ქართან ერთად
მლაშე ტალღებს ვეთამაშები
ქარი ქრის თავისთვის
ზღვისთვისაც სულერთია თოლის
ბედი
შენ კი დაიხრჩები ღელვისგან
ზღვაში.“

თოლისაც არა აქვს თავის დარდი
არც ქარში აქვს ბინა
არც ზღვაში
აქვს ბინა
არც ხმელეთზე
დედა!
ნუ ჩამოხვალ...
აქ ყველაფერი ისედაც ღელავს
და შენ უთუოდ დაიხრჩები“.

ღელვისგან ზღვაში“.

ეს უპუნქტუაციო და ამკარად გაურანდავი ლექსი, რომელიც, მარინე რჩეულიშვილის მოსაზრებით, 1960 წლის 19-20 აგვისტოსაა დაწერილი, — გაათქვეცხულ ტრაგიკულ დატვირთვას იძენს სწორედ ფატალური თარიღის — 23 აგვისტოს გამო...

მარინე რჩეულიშვილი: „დედა მუდმივად ღელავდა გურამზე, გურამი მუდმივად ღელავდა დედას ღელვაზე (მკითხველს მივაქცევინებ ყურადღებას, რომ სიტყვა „ღელვა“ ამ პატარა ლექსში ცხრავჯერაა ნახმარი)“.

რა თქმა უნდა, გურამის მიერ ომონიმების ასეთი გათამაშება გამიზნული ხერხი უნდა იყოს. ზღვის ამბივალენტურობა (მშვენიერება — სიმბიზიჯე, სიღბო — სისასტიკე, იდილიური, ხანაც გაშმაგებული სტიქია...) გურამ რჩეულიშვილის მარინისტულ თხზულებათა თანამედვეია: პასტორალური უსათაურო მოთხრობიდან („ზღვის ნაპირას, თავთხელ წყალში“..., 1956, 28 მარტი) ვიდრე ირონიულ ლექსამდე — („წინ სულელი მეზღვაური“, 1960, სავარაუდოდ, 17-22 აგვისტო).

ასე საბედისწეროდ და სამარადჟამოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს გურამი და ზღვა

2009 წლის 4 ივლისს გურამ რჩეულიშვილს 75 წელი შეუსრულდებოდა, მისი ტრაგიკული აღსასრულიდან ნახევარი საუკუნეა გასული...

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება დღესაც ისეთივე ახლობელი და აქტუალურია მარადიულ ჭაბუკად დარჩენილი მწერლის თანატოლებისათვის, როგორც მის სიცოცხლესა და, განსაკუთრებით, ტრაგიკული დაღუპვის შემდგომ ათწლეულებში იყო, რადგან: „სიჭაბუკე ყოველთვის ერთი და იგივეა, უსასრულოდ ერთი და იგივე“ (ალბერტ აინშტაინი); ხოლო „არადაამაკმაყოფილებლობა არსებულით ეს არის ფორმა და ამას ქვია ქართველი კაცი“ (გურამ რჩეულიშვილი).

ლელა მეტრეველი

„ვინც იცის, როგორ დასტყუოს ეკალს ხანდახან ჩვენთვის თეთრი ყვავილი“

წერილის სათაურად გამოტანილი სტრიქონების ავტორი ის პოეტია, რომელიც თავის დროზე უცხო ქვეყანაში შემომეშველა. მაშინ უკვე ასპირანტი ვიყავი და სადისერტაციო თემაზე მოსკოვში ვმუშაობდი. ჩემს თაობას უთუოდ ახსოვს მოსკოვში მალაზია, სადაც მაშინდელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურა იყიდებოდა ეროვნულ ენებზე. იყიდებოდა ქართული წიგნებიც. მარტის ერთ დღეს ამ მალაზიაში ნოდარ ადგიშვილის მომცრო წიგნს ნავაწყდი, რომელსაც "შეგხედავ, გამიხარდება" ერქვა, შევიძინე და, სწორედ მისი მომცრო ზომის გამო, მეტროშივე დავინყე კითხვა. იმ დღეს დაიწყო ჩემი ახალი "დაავადება", რომელსაც ნოდარ ადგიშვილი ჰქვია. იმ დღეს მე შევედი ზღაპარში, სადაც იყვნენ დევები და მეფის ასულები, ალქაჯები და სალამურიანი მწყემსი ბიჭები, ბროლის კოშკები და ბრჭყვიალა ბეჭდები, იები და ჩიტები. იმ დღეს მე შევეხე სულს, რომელსაც არასოდეს დაუკარგავს ბავშვური სისუფთავე და უშუალობა.

ნოდარ ადგიშვილი პირადად გაცნობის გვიან, 2002 წელს გავიცანი. ჯერ ცოტა დავიბენი: სხვაგვარი მყავდა წარმოდგენილი, სულ სხვა აღმოჩნდა. მერე დავმეგობრდით, მაგრამ მასთან ურთიერთობისას სულ მგონია, ის კი არაა, მე ვარ ასაკით ბევრად უფროსი, იმდენად აუცილებელი სასტიკი სამყაროს წინაშე.

ერთხელ ბატონი ნოდარი სამსახურში მენჯია. იქ დახვდა: კედელზე — ბარათაშვილის პორტრეტი, სამუშაო მაგიდაზე, მინის ქვეშ — ხელით გადანერილი გალაკტიონის "მზეო თიბათვისა", მურმან ლებანიძის "ყაყაჩო, შლილს და ტკბილს..." და საკუთარი "გაზაფხულია, რამე ინატრე...". ყველა ეს ჩემი ლექსია... "გაზაფხულია, რამე ინატრე..." განსაკუთრებით ჩემია და ყველა მიყვარს, ვინც ეს ლექსი იცის. მაგონდება, თვითონაც პოეტი და შესანიშნავი ადამიანი — ნონა გიორგაძე თავის დროზე იმით დამამახსოვრდა, რომ ერთ-ერთ შეხვედრაზე ეს ლექსი წაიკითხა (საერთოდაც, მე და ნონას ხშირად გვაქვს "საერთო საკუთრებაში" არსებული ლექსები). მაშინ ბატონი ნოდარს ვუთხარი, რომ ჩემი სათქმელი თქვა, დამასწრო. იეზის სიყვარულშიც ჩავეზიარე.

ნოდარ ადგიშვილის თვალების პატრონის რჩეული ყვავილი აუცილებლად ია უნდა ყოფილიყო — მისი ლექსებივით პანანინა, განუმეორებელი და საყვარელი. არც მის ხასიათში და არც პოეზიაში სიმკვეთრე არ იგრძნობა. პირიქით, საუბარშიც სულ იმეორებს გამონათქვამს: სათქმელს ისე ფრთხილად უნდა შეეხო, როგორც ჩიტის ფრთა — წყლის ზედაპირსო. მისი სათქმელიც ჩიტის ფრთასავით გვეხება, იასავით გვეფინება გზაზე.

ნოდარ ადგიშვილის პოეზია ერთი მთლიანი სიმღერაა ტკივილის, სიყვარულის, მონატრების მოტივებზე. პოეტის უდიდესი ღირსება მგონია, რომ მის ლექსებში ვერსად შეხვედებით სიყვარულის ობიექტის გარეგნულ აღწერას. მისი სიყვარულიც და მონატრებაც სულიდან მოდის.

სამშობლოს მისეული ხატიც ჩვეულებრივი, ყველასათვის ახლობელი საგნებისაგან იძერწება და ამიტომ აღწევს გულამდე. "მართლა პოეტი", — ბევრისგან გამიგონია ბატონ ნოდარზე. საქართველოში ეს უპირობო აღიარებას ნიშნავს.

მე კი ვიტყვი: ნოდარ ადგიშვილი არა მარტო მართლა პოეტი, მხოლოდ პოეტ-

იცაა — ვერც წარმომდგენია, სადმე დაწესებულებაში მუშაობდეს და, ლექსის წერის გარდა, სხვა საქმეს აკეთებდეს, თუნდაც საკუთარი წარმოჩინებისათვის იღწვოდეს. ადრეც ვთქვი და ვიმეორებ: მან საკუთარი ფასი იცის, მაგრამ ამას არავის აყვედრის, არაფერს ითხოვს. ის იმდენად მორიდებულია, რომ ფერადყვანი წიგნის დაბეჭდვასაც პრეტენზიულადად მიიჩნევს. მაგრამ წიგნი რომ იბეჭდება, თუნდაც პოლიგრაფიულად უხარისხო, ბატონი ნოდარი ათასმეერთედ ამონებებს ათასჯერ გადამონმებულ საკუთარ ლექსებს, სურს, უსასრულოდ გადადოს სტამბაში მაკეტის ჩაბარების ვადა და უფრო სრულყოფილი გახადოს ისედაც უმშვენიერესი პანანინა ლექსები.

სხვის სრულყოფილ სტრიქონებსაც უშურველად აქებს ხოლმე. ხომ გავვიხილა, ჩემს პოეტს დავითი ჰქვიაო, მაგრამ ჩვეულებრივ საუბარში სხვებსაც ხშირად ახსენებს. ამ დროს ყურები მაქვს დაცქვეტილი: მაინტერესებს, რა მოსწონს. აი, მისი რჩეული სტრიქონების არასრული ჩამონათვალი:

"გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ, შუაზე მოდის მდინარე..."

"გაღებულია სამოთხის კარი და მე მრცხვენია, რომ ვარ უშენოდ..."

"მოდი, დაადე ხელი ჭრილობას..."

"მინდორში ვდგავარ და ქორებს ვუსტვენ, მხოლოდ იმიტომ, რომ დავგანახო..."

არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვინ მოსწონს. ნესიერი კაციაო, თუ ვინმეზე თქვა, სულ რომ არ ვიცნობდე, ბრმად ვენდობი. ნოდარ ადგიშვილს არ შეუძლია, არ იყოს სევდიანი და... მხიარული. **"ვერ ვტირი, თორემ რა მემღერება, ზოგს რომ ჰგონია, რა უნდა ტირილს"** აუცილებლად მას უნდა დაეწერა. ბევრი პოეტის მსგავსად, მასაც სჭირდება მხიარულება ნიღბად — უმრავლესობასთან ურთიერთობისას. ხანდახან მგონია, რაღაცას განგებ ამბობს (ოღონდ არა — ლექსებში), ექსპერიმენტატორობს და ექსპერიმენტის ნამდვილი შედეგი მხოლოდ თვითონ იცის.

მე კი ის ვიცი, რომ შეიძლება ნოდარ ადგიშვილის — პოეტისა და ადამიანის — ნდობა. ადამიანურ მხარეზე ამდენ ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, როცა აღმასის სტრუქტურის მქონე ლექსების ავტორს სულიც კრისტალური აღმოაჩნდება. გარდა ამისა, მის შემოქმედებას ორიოდ სხვა წერილშიც შევხებივარ და უკვე ნათქვამის გამეორებისაგან თავს შევიკავებ. დავიცდი, ვიდრე არ დადგება მომენტი, როცა შევძლებ, ნოდარ ადგიშვილის ლექსებს სხვა კუთხიდან შევხედო. ეს მომენტი კი აუცილებლად დადგება, რადგან ბატონ ნოდარზე წერისას სულ უკმაირისობის გრძნობა მაქვს და ტიუტჩევის სტრიქონები მახსენდება: «Еще не́мáмóм àм нéààòàí ñàáý?»

ნოდარ ადგიშვილი ჩემი პოეტიაო, რომ ვთქვა, ცოტა იქნება. მასთან უფრო მეტი მაკავშირებს: ესაა "საერთო საკუთრება" — მისი რჩეული და ჩემი რიგითი, 2007-2009 წლებში დაწერილი ლექსების კრებული.

2008 წლის ზაფხულში, აგვისტოს ომამდე, მე და ბატონმა ნოდარმა ხიზლარში ერთად ავარჩიეთ მისი 250 ლექსი, მერე აქედან 100-ზე ოდნავ მეტი ლექსი ამოვკრიფე და ორივე ვერსია გამომცემლობა "ინტელექტს" შევთავაზე სერიისათვის "100 ლექსი". სამწუხაროდ, შედეგს ვერ მივაღწიე. მერე ავდექი და ეს 100 ლექსი, გამოსაცემად გამზადებულ ჩემს

ლექსებთან ერთად, ერთ ყდაში ჩავსვი... ვიცოდი, არ ეწყინებოდა, რადგან იდეა ერთობლივად წიგნის გამოცემისა გაცნობით ადრე თვითონ წამოაყენა.

ასე გაჩნდა მისი "სანთლების ყანა" და ჩემი — "მოგონებები ცისარტყელებზე". ამ წიგნის მომზადებისას კი პატარა-პატარა სასწაულები მოხდა: ნოდარ ადგიშვილის ლექსებიდან რამდენიმე წინ გადმოვიტანე, ჯერ გადანყვეტილი არ იყო, რომელი მათგანით გაიხსნებოდა კრებული. ფაილი შევინახე და, ცხადია, მან სახელად პირველი ლექსის სათაური — "სანთლების ყანა" "დაირქვა". ჩემს ლექსებში კი, როცა რითმინ-ურითმობები ცალ-ცალკე გადავალაგე, პირველ გვერდზე "მოგონებები ცისარტყელებზე" აღმოჩნდა. კომპიუტერმა ისევ "მომინათლა" კრებული. მერე ეს ორი სათაური ერთად ისე მომეწონა, რომ მათ შეცვლაზე აღარც მიფიქრია. ბატონ ნოდარს დავურეკე, "სანთლების ყანა" მასაც მოეწონა და ორივე სათაური შესაბამისად შევადგინე: ალისფრად და ცისარტყელას ფერებად. წიგნი უკვე მზად იყო — აკლდა მხოლოდ წინასიტყვაობა — როცა ჩემმა მეგობარმა, პოეტმა და ზემოხსენებული კრებულის მხატვარმა თამარ გაბროშვილმა იუსტაინ გორდერის "შობის საიდუმლო" მაჩუქა. ზუსტად შობის დღეები იყო. ამ წიგნს რომ ვკითხულობდი, გადავანწყდი წინადადებას: "... მინაში ერთი მარცვალ ჩავარად და მთელ ქვეყანაზე ტაძრებისა და კათედრალების ყანა ამოიყვანა". გამიხარდა: "სანთლების ყანა" ჯობია. კითხვა გავაგრძელე და ახლა ასეთ წინადადებას გადავყვარე: "... ერთი ასო ნითელია, მეორე — ნარინჯისფერი, მესამე — ყვითელი... ყველა ერთად კი მთლიან ცისარტყელას ქმნის". თითქოს ვიღაც უხილაგმა დამიდასტურა, რომ ამ წიგნს, ამ სახით — დღის სინათლე აუცილებლად უნდა ეხილა. ნუთუბი დავწერე მოკლე წინასიტყვაობა და... წიგნიც დაისტამბა. აქვე უნდა ვთქვა, რომ გორდერიც ჩემი ავტორია.

რაც შეეხება ნოდარ ადგიშვილს, ის მარტო ჩემი ავტორი კი არა, ჩემი ადამიანიცაა, რომელიც ჩემად, უხმაურად აგროვებს ლექს-ალმასებს. როცა ვინმე ირგვლივ ამ აღმასებს ამჩნევს, ბავშვივით მიხარია, როცა ვერ ამჩნევს, ძალიან მტკივა გული. ეს "ვერ ამჩნევენ" ოფიცოზს ეხება და არა — ლექსის ნამდვილ მოყვარულებს.

მაინც მგონია, არავის გვეპატიება, რომ ნოდარ ადგიშვილს თითქმის არასოდეს მიუღია ლიტერატურული პრემია და ჯილდო, რომ უსახსრობის გამო მშობლიურ სოფელშია გადახვენილი, რომ მძიმედ ავადა და ძალიან ცოტას თუ ახსოვს. "თითქმის" იმიტომ ვახსენე, რომ ბატონი ნოდარი ერთადერთი, მაგრამ ნამდვილად მისი შესაფერი ორდენის კავალერია — ღირსების ორდენისა. ხომ არ ვიცი, ამის გაკეთება ვის მოუვიდა აზრად, მაგრამ მაინც მინდა მაძღვრობა ვუთხრა.

2010 წლის პირველივე დღეებში, როგორც იქნა, მოვახერხე და ბატონ ნოდარს ვესტუმრე. მიუხედავად ყველაფრისა, ის კვლავ პოეზიით ცხოვრობს, სასთუმალთან საკუთარი ბოლოდროინდელი პუბლიკაციები უწყვიდა და ძველებურად ცალკეული სტრიქონების სრულყოფაზე ფიქრობს... თუ დაგჭირდა, აქეთაც განუგეშებს და იის ლურჯ სხივებს გისაგზლებს.

საუბარში ვკითხე:

— საკუთარ შემოქმედებაში ყველაზე არსებითი რა გგონიათ? როგორი უნდა იყოს ლექსი?

— რაც შეიძლება, მოკლე და არაფერი — ბუნდოვანი.



გულში დავეთანხმე და გამახსენდა: **"თქვი გასაგებად, უბრალოდ, სადად, რომ გაზაფხული სჯობია ზამთარს"...** სხვანაირად რომ წერდეს, მისი პოეზია ასე ძალიან არ მეყვარებოდა. ახლა იმით დავინტერესდი, საკუთარი ლექსებიდან რომელი მიაჩნია საუკეთესოდ. მიპასუხა, სხვადასხვა დროს სხვადასხვაო. მერე ჩაფიქრდა და გააგრძელა:

— ზოგს ჰგონია, ლექსი სითამამით გამოდის... — უცებ გაჩუმდა და ვიგრძენი, "თავხედობა" ან რაიმე მსგავსი უნდა ეთქვა, მაგრამ არ იკადრა.

— სხვა სიტყვა უნდა გეთქვათ, არა? — მაინც ვკითხე. თანხმობის ნიშნად გაიღიმა და ისევ გააგრძელა:

— არა, სითამამე კარგია, მაგრამ ყველაფერს დოზა უნდა. ზედმეტი სითამამე და ბუნდოვანება ლექსს არ სჭირდება.

რომ არ ეთქვა, ისედაც ცხადი იყო: ნოდარ ადგიშვილი ლექსშიც ისევე რაინდულად მორიდებულია, როგორც ცხოვრებაში. მეხსიერებაში კვლავ მისი სტრიქონები ამომიტივდა: **"თავი ყველასთვის მდაბლად დამიკრავს, ზოგის წინ აღბათ ბალახსაც ვგავდი"...** და გულში ამ პოზიციის გამო პროტესტი და პატივისცემა ერთმანეთს გადაეხლართა. მერე მომინდა, მისი ხვედრი მურმან ლებანიძის სტრიქონებით დამეხასიათებინა, ჭეშმარიტ პოეტებზე რომ ამბობს: **"ღირსებით თვისით უღირსთ უკან რაკი შორს დგანან, ნათობენ თუმცა, ნაკლებად ჩანან!"**

ცოტა გვიან, როცა იატაკზე გაშლილი ნაბეჭდი თუ ხელნაწერი ფურცლებიდან ბატონი ნოდარის ახალ ლექსებს ვარჩევდი, თვალში პირველად უკვე ნაცნობი ლექსის სტროფი მომხვდა:

"მაგრამ შენ მაინც რწმენის ზარს რეკავ: არ მგონიაო, იყოს ჩავლილი,

ვინც იცის, როგორ დასტყუოს ეკალს ხანდახან ჩვენთვის თეთრი ყვავილი".

გავფიქრე, რომ ბოლო სტრიქონები სწორედ ავტორის დასახასიათებლადაა ზედგამოჭრილი და წერილის სათაურიც დაიბადა.

მაძღვრობა პოეტს ცხოვრების ეკლებიდან გამოგლეჯილი ყველა ყვავილისათვის.

აკითხველი

რუსუდან ფეტვიაშვილი:

„ბანათლება ერთადერთი საფუძველია, რაზეც შეიძლება მყარად იდგე“



ერთხელ, რუსუდან ფეტვიაშვილის გამოფენაზე მისულმა მწერალმა, ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმა, მხატვრის შესახებ თქვა: „ყველაზე ადრინდელ ნახატებშიც არასოდეს ყოფილა ბავშვი ხელოვნებაში... მისი ყოველი ნაწარმოები, მთლიანად გამოფენა, გაიძულეს იფიქრო, იძიო, მიაგნო... და ყოველივე ამას იწვევს ფაქტიზი ფორმა, ელემენტური ნახატი და შენივთებული კომპოზიცია, რომელიც ჩვეულებრივ ანალიზს არ ექვემდებარება. არც რუსუდანი, არც მისი ნახატები არავის გვანან“...

არც მისი გალერეა გავს სხვა მხატვართა სახელოსნოებსა და საგამოფენო დარბაზებს. ის უფრო ღვთის დიდებულების, სამყაროს იდუმალებისა და ადამიანის შინაგანი ზიგზაგების დანახვის ადგილია. დიდი ზომის ტილოებსა და აბრეშუმზე შექმნილი ნახატები გონებისა და სულის საოცარ სიღრმეებსა თუ წარმოსახვის თვალუწვდენელ სივრცეს გადავიშლის. თითოეულ ნამუშევართან დიდხანს უნდა შეჩერდე, ნივნივით გადაფურცლო და კი არ ათვალიერო, არამედ აუჩქარებლად, დაკვირვებით, გულდასმით იკითხო. იქ საოცარი ამბები მოთხრობილი... აკი, მხატვარი ამბობს კიდევ, გამომსახველობით, შინაარსით დატვირთული მხატვრობა და ლიტერატურა ერთმანეთს გავსო.

ქალბატონი რუსუდანი გალერეაში მისული, მის ნახატებს დიდხანს ვაკვირდებოდი, შემდეგ დიდხანს ვესაუბრე ავტორს. ნივნივთან, ლიტერატურასთან მისი დამოკიდებულებისა და ურთიერთობის შესახებ მიყვებოდა... ასეც ვფიქრობდი - ის კითხულობს გამორჩევით, კითხულობს ნელა, დიდხანს. შემდეგ, ისევ უბრუნდება ნაკითხულს, ხშირად - რამდენჯერმე. ამ დროს, ეს ნივნი მისი ცხოვრების ნაწილი, მისი ფიქრის წყარო ხდება. თუმცა, ამის შესახებ - ოდნავ მოგვიანებით.

— წლისა და ათი თვისა იყავით, ხატვა რომ დაიწყეთ. ბავშვებს უყვართ ხატვა, თუმცა ასეთი ადრეული ასაკიდან იშვიათად თუ ვინმე იწყებს. საინტერესოა, თუ გახსოვთ თქვენი პირველი ნახატები და მასთან დაკავშირებული ემოციები?

— ეს ძალიან მარტივად ხდებოდა. ყველა სხვა ბავშვით, ხატვა მეც მიყვარდა... ზოგიერთს მხატვრობისადმი ბავშვობისდროინდელი სიყვარული და სურვილი, რომ საკუთარი განწყობა, სამყაროსადმი დამოკიდებულება ნახატის საშუალებით გამოხატოს - მთელი ცხოვრების მანძილზე მიყვება, ზოგი კი, ამისთვის, სხვა გზებს, სხვა ფორმებს ირჩევს.

წლისა და ათი თვის ვიყავი, როცა ჩემი ძმა დაიბადა. პირველად სწორედ მისი პორტრეტი დავხატე. მგონი, დედას ის ნახატი დღემდე შენახული აქვს. ხატვა ყოველთვის ძალიან ძვირფასი და მიმზიდველი რამ იყო ჩემთვის. როცა ვხატავდი - ვისვენებდი, სულიერად განვმარტოვდებოდი ხოლმე. დღემდე ასე ვარ. მახსოვს, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის რეზიდენციაში წმიდა ოთხთავის მინიატურებზე მუშაობისას, შაბათ-კვირასაც ვხატავდი. ამის გამო ერთი მოძღვარი შეწუხებულა და კატრიარქისთვის თავისი წუხილის მიზეზი უთქვამს. მის უწმიდესობას უპასუხია: „რუსუდანიისთვის ხატვა შეგება. დაე, იმუშაოს დასვენების დღეებშიც“. ამ შემთხვევის შესახებ ერთმა მონაზონმა მიაბაძო.

— მხატვარს ახალი ნამუშევრის შექმნის იდეას, ჩვეულებრივ, რაღაც უბიძგებს ხოლმე. ასე არ არის? ეს „რაღაც“, შესაძლოა ამა თუ იმ მოვლენით, მოგზაურობით, ნაკითხული წიგნით გამოწვეული ემოციც, შთაბეჭდილება იყოს...

— აუცილებლად ასეა. მუხტი ყოველთვის უნდა გქონდეს, რომ შემდეგ, ის შენს ნამუშევრებში გაშალო. ბავშვობაში მამა ბევრს გვიკითხავდა. მართალია, ის ძალიან დაკავებული ადამიანი იყო - ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში მონუმენტურ ქანდაკებებს დგამდა, ბევრს მოგზაურობდა. გარდა ამისა, სპორტსმენიც იყო, სპორტის თითქმის ყველა სახეობაში თანრიგი ჰქონდა — მაინც იცლიდა და საღამოობით, მე და ჩემს ძმას, ნივნებს ხმამაღლა გვიკითხავდა. მოსმენა ძალიან გვიყვარდა. მსოფლიო მითები, ლეგენდები, ზღაპრები ჩვენთვის ძილისპირული იყო და ლამის ზეპირად ვიცოდით. ხომ იცით, ბავშვი დრუბელივითაა, ყველაფერს ისრუტავს. მოსმენილსა თუ ნანახს საკუთარ თავში,

აზროვნებაში ხარშავს, შემდეგ, განცდილობს გადმოცემას სხვადასხვა ფორმით ცდილობს და უჩნდება სურვილი, რომ თვითონაც შექმნას...

ნაირ-ნაირი მიზეზი არსებობს, რომელიც ხატვის იმპულსს გაძლევს. ეს შესაძლოა იყოს შინაარსით დატვირთული საინტერესო ტექსტები, სევდიანი ან მხიარული ისტორიები, ამინდი, მზიანი დღე, სიმწვანე, ღამაში ყვავილი, კეთილი ადამიანები... ამით იმუხტები. თუ შინაგანად დაცარიელებული ხარ, არაფერი გამოგივა. რაღაცით უნდა აივსო, შემდეგ დაიცვალო, აივსო - დაიცვალო. ჩვეულებრივ ასე ხდება, ძალიან ბუნებრივი პროცესია.


— რამდენადაც ვიცი, დასურათებული გაქვთ წმიდა ოთხთავის ხელნაწერი, რომელზეც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით იმუშავეთ. ასევე, ფრანგულ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქართული ხალხური ზღაპრების“ ილუსტრაციების ავტორი ბრძანდებით...

— „ვეფხისტყაოსანიც“ და „ქართული ხალხური ზღაპრებიც“ მწერალმა და ლიტერატორმა, გასტონ ბუაჩიძემ თარგმნა ფრანგულად. ბატონი გასტონი დიდი ხნის წინ გაეცანა. თორმეტი წლის ვიყავი, როცა საფრანგეთში გაბარებული „საქართველოს კულტურის დღეების“ ფარგლებში, ჩემი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. მანამდე, მოსკოვში ძალიან მასშტაბური და წარმატებული პერსონალური გამოფენა მქონდა. იმის გამო, რომ საგამოფენო დარბაზში ხალხის ნაკადი არ წყდებოდა, დაგეგმილი ორი კვირის ნაცვლად, გამოფენამ სამ თვეს გასტანა. ასეთი წარმატების გამო, გადაწყდა მონაწილეობა მიმეღო „საქართველოს კულტურის დღეებში“, რომელიც საფრანგეთში იმართებოდა. ღონისძიებაზე საკმაოდ დიდი დელეგაცია გაემგზავრა, ქართული კულტურა თითქმის ყველა მიმართულებით იყო წარმოდგენილი. დელეგაციაში ბატონი გასტონ ბუაჩიძეც იმყოფებოდა. მაშინ ის „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანზე მუშაობდა და ფრანგ გამომცემლებთან შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი. მან ამის შესახებ მამამ და მკითხა: „როგორ ფიქრობ, ვეფხისტყაოსნის“ დასურათება რომ შემოგთავაზო, შეძლებ?“ ის ჩემს ნამუშევრებს მანამდე იცნობდა...

— მაშ, რუსთაველის პოემის ილუსტრაციებზე მუშაობა თორმეტი წლისამ დაიწყეთ?

— ილუსტრაციებზე მუშაობა ცოტა მოგვიანებით, თხუთმეტი-თექვსმეტი წლისამ დავიწყე. თუმცა, ეს ძალიან უცნაური ისტორიაა. გიამბობთ. ბავშვობის ასაკიდან, „ვეფხისტყაოსანი“ ჩემთვის უსაყვარლესი და ძალიან ძვირფასი ნაწარმოები იყო, შეიძლება ითქვას, ჩემი ცხოვრების ნაწილი. თითქმის მთელი ტექსტი ზეპირად ვიცოდი. გარკვეული დროის მანძილზე, დაახლოებით ხუთი წლის განმავ-

ლობაში, „ვეფხისტყაოსნით“ ვსუნთქავდი, მისგან ვიკრებდი ძალას, ენერგიას, მისით ვსაზრდობოდი, იმ სამყაროში ვიძირებოდი.



მისი შინაარსი, სიტყვათა ნყობა, ხომ, ღამაში, ძვირფასი ქვევითაა აწყობილი, თან ისეთი სიღრმე აქვს... გასაკვირი ისაა, რომ „ვეფხისტყაოსანთან“ ასეთი ურთიერთობა მხოლოდ მისი კითხვის პროცესში მიმყვებოდა, წიგნის დახურვისთანავე ეს კავშირი წყდებოდა. რატომ ხდებოდა ასე, დღემდე არ ვიცი. მსგავსი რამ, სხვა არცერთ ნაწარმოებთან მიმართებაში არ განმიცდია... ასე რომ, როცა ბატონმა გასტონმა პოემის ილუსტრაციებზე მუშაობა შემომთავაზა, „ვეფხისტყაოსანი“ უკვე ძალიან, ძალიან ახლობელი იყო ჩემთვის.

— პოემის ტექსტთან მუშაობის პროცესში, ალბათ, ეს კავშირი კიდევ უფრო გაღრმავდა...

— დიახ, ასეა. ხშირად მხედვებიან განათლებული ადამიანები, რომლებიც ძირითადად საზღვარგარეთის ლიტერატურას კითხულობენ - ცხადია, ეს ძალიან კარგია, უცხოელებს ბერძენი საინტერესო ავტორი ჰყავთ - სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ეს ადამიანები არ იცნობენ „ვეფხისტყაოსანს“, ვერ აღიქვამენ მის მასშტაბს, მის დიდებულებას ვერ ხედავენ.

— გასტონ ბუაჩიძე „ვეფხისტყაოსანს“ ათი წელი თარგმნიდა. ილუსტრაციებს რა დრო მოანდომეთ?

— თავიდან, ფრანგ გამომცემლებთან შევთანხმდით, რომ სამუშაოს ორი წლის განმავლობაში დავასრულებდი. თუმცა შემდეგ, გამომცემლობა „პუბლიკაციონ ორიენტალ დე ფრანსმა“ ილუსტრაციების მომზადება ერთ წელიწადში მომთხოვა. მაშინ მეათე კლასის მოსწავლე ვიყავი, სკოლას ვამთავრებდი. კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მახსოვს, სკოლის დირექტორი, ქალბატონი მზია კეჭაყაძე, ძალიან გაისარჯა, რომ გამოსაშვები გამოცდებიდან გავენთავისუფლებინე. ის თვლიდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირება ძალიან საპასუხისმგებლო საქმე იყო და თავის მხრივ, სურდა მშვიდი გარემო შეექმნა ჩემთვის. მაღლობელი ვარ ამისთვის.

— ძალიან მდიდარი წარმოსახვის ად-

ამიანი ხართ, როცა რაიმე ნაწარმოებს კითხულობთ, ალბათ მისი შინაარსი დასურათებული წარმოგიდგებათ... რომელია ის წიგნი, რომლის ილუსტრირებასაც ისურვებდით?

— სიმართლე გითხრათ, წიგნის გაფორმება არ მიყვარს, იმიტომ რომ ეს გარკვეულწილად ზღუდავს, ჩარჩოში აქცევს მხატვარს. ამის გამო, წიგნს იშვიათად ვაფორმებ. თუმცა, სახარების, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქართული ხალხური ზღაპრების“ გარდა, ირანული პოეზია, ფირდოუსის „შაჰნამე“, სპარსული ზღაპრები დავასურათებ. ასევე, „ილია ჭავჭავაძე“, რომელიც გასტონ ბუაჩიძემ ფრანგულად თარგმნა. გამოცემის პრეზენტაციას დავესწარი კიდევ, ის შარშან, საფრანგეთში, ქალაქ ნანტიში გაიმართა.

რაც შეეხება ოთხთავსა და „ვეფხისტყაოსანს“, მასზე მუშაობამ დიდი სიამოვნება და შვება მომიტანა. სახარება ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლაში დამეხმარა. სახარების მინიატურების შექმნის პერიოდში - აბსოლუტური გარდატეხაა ჩემში.

თუკი რაიმე ტექსტის დასურათებას ვისურვებდი, ეს ისე და ისე სახარების მინიატურები იქნებოდა. ათი წლის შემდეგ, ამ საქმეს კიდევ უფრო უკეთესად გავაკეთებდი. სხვა ტექსტებზე რა გითხრათ... რამდენჯერმე მქონდა სურვილი „ლოცვები“ გამეფორმებინა, რადგან ამას სხვა სიმყუდროვე მოაქვს. როცა ასეთი შინაარსის სამუშაოს ასრულებ, საკუთარ თავთან მარტო რჩები, შენს გულს, გონებას უღრმავდები, არსად მიგეჩქარება...

— საუბრის დასაწყისში მითხარით, რომ წმიდა ოთხთავთან თქვენი ურთიერთობა უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე კათოლიკოს-პატრიარქი ხელნაწერი სახარების მინიატურების შექმნაზე ლოცვა-კურთხევას მოგცემდა...

— ეს ურთიერთობა დაიწყო მაშინ, როცა საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. უმძიმესი 90-იანი წლები ძალიან რთულად გადავიტანე...

— ხატავდით მაშინ?

— ბევრს ვხატავდი, ხატვამ გადამარჩინა. (ყველა ჩემი ნახატი, რომელიც იმ პერიოდში შეიქმნა, დღეს გაყიდულია). მახსოვს, ცივ ოთახში მაგიდასთან ვიჯექი, პალტო მეცვა... ახლაც მიკვირს, ასე ჩაცმულს ხატვა როგორ შემიძლო? ან იმ ყინვაში ზეთის საღებავებს როგორ ვხსნიდი? ირგვლივ ყველას ძალიან უჭირდა. სწორედ მაშინ, მე და ჩემს მეუღლეს კანადაში საცხოვრებლად გადასვლა შემოგვთავაზეს. გვპირდებოდნენ, რომ გვექნებოდა ჩვენი გალერეა, ცხოვრების საუკეთესო პირობები, მაგრამ ამისთვის იქაური მოქალაქეობა უნდა მიგველო. ისინი დიდ ინვესტიციას დებდნენ და მოთხოვნებიც შესაბამისი ჰქონდათ. კონტრაქტზე ხელი არ მოვანერეთ, კანადაში გადასვლაზე უარი ვთქვეთ. იმ პერიოდში, როცა საზღვარგარეთ ვინმეს გამგზავრების შესახებ ვიგებოდა, ძალიან განვიცდიდი, ასე მეგონა, ყველა მტოვებდა და მარტო ვრჩებოდი; როცა შენს იგვლივ ამდენი ახლობელი, ამდენი მეგობარია, შენ კი მიდიხარ და ტოვებ მათ, ხომ შეიძლება ეს მათთვისაც ასეთივე მტკივნეული იყოს? მოკლედ -



საქართველოში დავრჩით. ამდენი გაჭირვებული ადამიანის შემყურეს, ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს ცხოვრებამ აზრი დაკარგა. საკუთარ თავს ვეკითხებოდი: „რისთვის უნდა ვხატო?“ „საერთოდ, რატომ უნდა ვაკეთო რაიმე?“ ძალიან უიმედოდ ვიყავი. მახსოვს, თმა ძალიან მოკლედ გავიკრიჭე, თითქმის გადავიპარსე... ვფიქრობ, მის უწმიდესობას მაშინ რომ შევხვედროდი, იმ წლების გადატანა ასე არ გამიჭირდებოდა. მაგრამ ალბათ ეს ეტაპი ჩემი გასავლელი იყო. ვთვლი, რომ რთული პერიოდების გავლა, გადალახვა, ნებისმიერი ადამიანის სულიერი ზრდისთვის, განვითარებისთვის აუცილებელია. სხვაგვარად ადამიანი სირთულეების წინაშე არ აღმოჩნდებოდა.

...სახარების კითხვას შევუდექი. წიგნი დედამ მაჩუქა. ვფიქრობდი, სხვა ყველაფერზე დროის დაკარგვა სისულელეთქო. ძველქართულად ვერ ვკითხულობდი, მიჭირდა. მე კი მსურდა ტექსტი გასაგები ყოფილიყო ჩემთვის, თავისუფლად მეკითხა. ორი წლის განმავლობაში სხვა წიგნს არ ვაკვარებოვარ...

— იმ დროს უკვე იცნობდით პატრიარქს?

— დიახ, ჩემს გამოფენაზე მობრძანდა, ნამუშევრები ძალიან მოეწონა, შემდეგ მე და დედა თავისთან, რეზიდენციაში მიგვიწვია. მაჩუქა „დავითნი“ ნუსხა-ხუცურად და ჯვარი, რომელსაც მუდამ თან ვატარებ... მოგვიანებით, კათოლიკოს-პატრიარქს კიდევ ერთხელ შევხვდი, გაჭირვების წლები უკვე გადავილი იყო, მაგრამ ემოციურად სრულიად გამოფიტული ვიყავი. მკითხა ასომთავრული და ნუსხა-ხუცური თუ იციო. დიახ-მეთქი. სახარებო, მკითხა. იმ დროისთვის მთელი ოთხთავი, მოციქულთა საქმე, ეპისტოლეები თითქმის ზეპირად მქონდა დასწავლილი. სწორედ მაშინ მიამბო, რომ მზადდებოდა ხელნაწერი სახარება და დაინტერესდა, მქონდა თუ არა სურვილი მემუშავა მინიატურებზე. ამ შემთავაზებისთვის ძალიან მადლობელი დავრჩი. დასაწყისისთვის, მთხოვა მრგვლოვანი სახედაო ასოების ნიმუშები გამეკეთებინა. სამუშაო ერთ დღეში შევასრულე - ყოველი სახედაო ასო სახარების შესაბამისი თავის შინაარსს შეიცავდა. პატრიარქს ძალიან მოეწონა და მაშინვე მითხრა, შეგიძლია თავისუფლად იმუშაო მინია-

ტურებზეო. სახარება დამუშავებული ტყავის „ფურცლებზე“ ინერებოდა და მინიატურებიც ზედვე უნდა მეხატა. ორი წლის მანძილზე მარტო ვხატავდი, (თუმცა ჩემამდე სხვებიც მუშაობდნენ). შემდეგ, მისი უწმიდესობის კურთხევით, ოცკაციანი სამუშაო ჯგუფი შედგა, საქმე ერთად მივიყვანეთ ბოლომდე. დღეს, ხელნაწერი სახარება წმიდა სამების საპატრიარქო ტაძარშია დაბრძანებული.

— საუბრიდან გამომდინარე, გარკვეული წარმოდგენა შექმნილია იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა გაქვთ წიგნებთან. თქვენ თავისებური მკითხველი ხართ, გიყვართ თითოეულ ნაწარმოებთან დიდი ხნით „მეჩერება“, ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვა...

— სამწუხაროდ ასეა. სამწუხაროდ-თქო, ვამბობ, რადგან ის, რაც წიგნთან ურთიერთობაში მახასიათებს, ფსიქოლოგიურად როგორ აიხსნება არ ვიცი. ერთი და იმავე ნაწარმოებს, თუკი ის მომწონს, შემიძლია რამდენჯერმე მივუბრუნდე. აქედან გამომდინარე, დროის იმ მონაკვეთში, ათი წიგნის წაკითხვას რომ მოვახსრებდი, დაახლოებით სამს ვკითხულობ. ეს, ალბათ, ძალიან ცუდია.

სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მწერალი მიყვარდა. ქართველი კლასიკოსებიდან ყოველთვის გამოვარჩევი ილია ჭავჭავაძესა და ვაჟა ფშაველას. მეხუთე კლასის მოსწავლემ გალაკტიონის უამრავი ლექსი ვიცოდი. ვეტრფოდი ტიტოვან ტაბიძის პოეზიას. ვაჟას პოემებსაც ზეპირად ვკითხულობდი. იგი საოცრად კეთილშობილი და რაინდული ბუნების ადამიანია. ვაჟას გმირები, მასავით რაინდები არიან. ჩემი აზრით, მისი ნაწარმოებები ვაჟებმა რაც შეიძლება ხშირად უნდა იკითხოონ. ბევრია დამოკიდებული ოჯახზე, პედაგოგებზე, ვაჟას შემოქმედებით ბავშვები სწორედ მათ უნდა დაინტერესდნენ. მცირე ასაკში, საკითხავ ლიტერატურას დედა და დეიდა მანვდიდნენ.

უცხოელ ავტორებს რაც შეეხება, სკოლის პერიოდში ვკითხულობდი იმ მწერლების ნაწარმოებებს, რომლითაც, ჩვეულებრივ, ჩემი ასაკის ყველა ბავშვი ინტერესდებოდა. ლევ ტოლსტოისა და ფოთლორ დოსტოევსკის შემოქმედებამ კი გარდატეხის ასაკში გამიტაცა. კნუტ ჰამსუნს ჩემი საყვარელი მწერალი იყო, განსაკუთრებით მისი „მისტერიები“ მიყვარდა, ეს ნაწარმოები, დღემდე, ჰამსუნის შემოქმედების გვირ-



გვინად მიმანჩია. მომწონდა უნამუნო - ვენებიანი მწერალი, ასევე - ბორხესი, თავისი მშრალი, ლაკონური თხზობით. ყველაფერს თავისი დრო აქვს. ბევრ ნაწარმოებს, ადრე რომ მიყვარდა, დღეს არც კი ჩავხედავ. მაგალითად, დოსტოევსკის ვერ წამაკითხე. სრულიად არ მაქვს ინტერესი, ასეთი ძლიერი, ემოციური და დატვირთული ლიტერატურა ვიკითხო. ახლა მშვიდი, განზოგადოებული, ნაკლებად ემოციური ტექსტების კითხვა მიჩვევია.

— თანამედროვე ავტორებს თუ იცნობთ?

— რომ გითხრათ, თანამედროვე ლიტერატურას ვიცნობ-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ამ თვალსაზრისით, ცუდი მკითხველი ვარ. ჩემი მეუღლე კი, განურჩევლად ყველაფერს კითხულობს, საკითხავსაც სწორედ ის მანვდის. მან იცის, თუ რა სტილის ლიტერატურამ შეიძლება დამაინტერესოს. ძალიან ემოციურად აღვიქვამ ყველაფერს, ამიტომაც მთავაზობს ტექსტებს, რომელიც არ „დამანგრევს“ და ჩემში მძაფრ განცდებს არ გამოიწვევს. მას ვენდობ.

— თქვენ იხსენებდით ბავშვობის წლებს, როცა მამა ხმამაღლა გიკითხავდათ საინტერესო ზღაპრულ ისტორიებს, შემდეგ თვითონ დაიწყეთ საკითხავის შერჩევა... სამწუხაროდ, დღეს მშობლებს ბავშვების ლიტერატურით დაინტერესება უჭირთ.

— ჩემს ირგვლივ არიან ბავშვები, რომლებიც გატაცებით კითხულობენ წიგნებს, ეს ინტერესი ოჯახურ გარემოში წარმოიშობა. წიგნს დღეს ძალიან შეუშალა ხელი ინტერნეტმა - ზღვა ინფორმაციამ, რომელიც ხშირ შემთხვევაში სრულიად უსარგებლოა და გაკარგვინებს ძვირფას დროს, რომელიც, წესით, საკუთარი განვითარებისთვის, განათლებისთვის უნდა დაგეთმო.

დღევანდელ დღეს, ბავშვების განათლება ყველაზე მნიშვნელოვანია. ახალგაზრდა თაობა ძალიან ნაკითხი და მცოდნე უნდა იყოს და მყარად იდგეს. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ეს ნამდვილად ასეა! განათლება განვითარების ერთადერთი საშუალებაა. გარდა ამისა, ის ერთადერთი მყარი საფუძველია, მითუფრო ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა. სხვა საფუძველი ქვეყანას არ გააჩნია.

— გამოფენებს ხშირად მართავთ. თქვენი ნამუშევრები საქართველოს გარდა, საფრანგეთში, ავსტრიაში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთში, რუსეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოფენილია. ამ წლების მანძილზე, ალბათ, უამრავ საინტერესო ადამიანს შეხვდით, მათ შორის მწერლებს, ლიტერატორებს... რომელიმე ასეთ შეხვედრას ხომ არ გაიხსენებთ?

— ქართველ ხელოვანებთან არაერთი შთამბეჭდავი შეხვედრა მქონია. საერთოდ, საინტერესოა ურთიერთობა ყველა იმ ადამიანთან, რომელიც მდიდარი შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობს და შემოქმედებითად ბევრს მუშაობს. ისინი ძალიან გულწრფელი, უშუალო ხალხია, თავისებური დამოკიდებულება აქვთ სამყაროსთან, დიდ სივრცეს, ზღვა მასალას ფლობენ. (ცხადია, იმ ხელოვანებზე ვსაუბრობ, რომელნიც ამბიციისგან

თავისუფალი არიან). რაც შეეხება უცხოელებს, სიამოვნებით ვისხენებ რამდენიმე შეხვედრას ტონინო გუერასთან. ის საქართველოშიცაა ნამყოფი. არაჩვეულებრივი ადამიანია, ძალიან კარგად ესმის ხელოვნება, მწერლობა. სიხალისით, იუმორით, უბრალოებით გამოირჩევა. ჩემს ერთ-ერთ გარაფიკულ ნამუშევართან დაკავშირებით, მისი ასეთი რეპლიკა მახსოვს: „ეს ხაზი ძალიან სრულყოფილია, ზედმეტად სრულყოფილი! ოდნავ გადალანგე...“

— ამჯერად რა თემაზე მუშაობთ?

— ჩემს ნამუშევრებში თემატიკა ყოველთვის ერთია. ზოგადად და მარტივად ასე ვიტყვი - ადამიანი და მისი გრძნობები, ემოციები, მისი მიმართება სამყაროსთან; სიკეთე, სასოება, უსასოება, სიხარული, სევდა და ამ ყველაფრის კავშირი ერთმანეთთან...

— რამდენადაც ვიცი, გამოფენისთვის ემზადებით...

— დიახ, შვეიცარიაში, გაეროს ოფისში ჩემი პერსონალური გამოფენა იმართება, სამ კვირას გასტანს. ამისთვის სერიოზულად ვემზადებით. ბევრი ხალხია დაპატიჟებული. ლეთის წყალგაღობით, იმედი მაქვს ყველაფერი კარგად ჩაივლის. სხვადასხვა ზომის ნამუშევრები მიმაქვს - ტილოები, აბრეშუმი, აკვარელით შესრულებული ნახატებიც. ასეთი მასშტაბის გამოფენებისას, როგორც წესი, არაერთი საორგანიზაციო საკითხია ხოლმე მოსაგვარებელი, ათასი ნვარილმანია გასათვალისწინებელი. ნამუშევრების ტრანსპორტირებისთვის უზარმაზარი კონტინერები მზადდება, შესაბამისი საბუთებიც წესრიგში უნდა იყოს... ეს საკმაოდ დამძლეული პროცესია. საერთოდ, ნებისმიერი საქმის კეთება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ხშირად ვამბობ, თუკი ვინმე შრომობს - არ აქვს მნიშვნელობა მხატვარი იქნება, გამოცემული თუ მეცნიერი - ხელი არ უნდა შეუშალო, ყველანაირად უნდა დაეხმარო.

რაც შეეხება გამოფენას შვეიცარიაში, ორგანიზატორებმა მოითხოვეს, რომ მისთვის სახელწოდება შემერჩია, ექსპოზიციას ასე დავარქვი „ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი“. თითოეული ადამიანის მისი, ხომ გარკვეულწილად იმაში მდგომარეობს, რომ დანარჩენ სამყაროსთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყაროს, გარშემო მყოფთა მიმართ კეთილგანწყობა შეინარჩუნოს. შესაძლოა, ამ გამოფენას სხვა სახელიც დარქმეოდა, მაგრამ ეს სწორედ ის თემაა, რაზეც ვმუშაობ. თითოეულ ნამუშევარში სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაა გამოხატული. ცხოვრებაც ხომ ასეა - იბრძვი, იმარჯვებ, მარცხდები, ისევ იმარჯვებ, უიმედობას სასოება ცვლის, სევდას - სიხარული... ნამუშევრებშიც ასეთივე სიუჟეტური ხაზი იკვეთება. როგორც მწერალი ქმნის ტექსტს, რომელსაც აქვს დასაწყისი, განვითარება და დასასრული, მხატვარიც ასე მუშაობს.

— ამ თვალსაზრისით, მხატვრობა და მწერლობა ერთმანეთს გას...

— მხატვრობა, რომელიც გამომსახველობითია და გარკვეულ შინაარსს ატარებს, ნამდვილად გავს ლიტერატურას.



ლირიკისა და არა მხოლოდ ლირიკის შესახებ

გვესაუბრება პოეტი ანდრო ბუაჩიძე

- ანდრო, როგორ ფიქრობ, ხომ არ გაფერმკრთალდა სამყაროს პოეტური შეგრძნება, პროზამ ხომ არ მოიცავს პოეზია? სად არის მოსაძიებელი დღევანდელ პრაგმატულ ყოფიერებაში პოეზიის ადგილი?

- ეს მართლაც სადისკუსიო თემაა, ჩემი აზრით, მასკულტურას არაფერი აქვს საერთო პოეზიასთან. დღევანდელი „პომო ფაბერიც“ ყოველგვარი პოეტური წარმოდგენების ანტიპოდი. ლირიკა პოეტური შეგრძნების პირველსახეა და ალბათ მართლაც მოსაძიებელია ის ჩვენს დღევანდელ პრაგმატულ ყოფიერებაში, მაგრამ ვიდრე ყოფიერებაში მოვიძიებდეთ, მანამდე თვითონ ადამიანში უნდა მოვიძიოთ. ბუნებრივია, თუ თვითონ ადამიანში აღარ იქნა სამყაროს ლირიკული შეგრძნება, აღარც კულტურაში იქნება გასაგებებული. ამგვარად გასაგებებული ლირიკა ან სამყაროს პოეტური შეგრძნება ლიტერატურის და ხელოვნების ყველა ფენაში უნდა არსებობდეს. ძნელი წარმოსადგენია მუსიკალური ეტიუდი, ფერწერული ტილო, თეატრალური სპექტაკლი ან კინოფილმი პოეტური შეგრძნების გარეშე. რა თქმა უნდა, ასეთი გონებისმიერად კონსტრუირებული ნაწარმოებებიც არსებობს და ჰყავს კიდევ მას თავისი გონებაჭყრეტიანი მკითხველი თუ მკითხველი, მაგრამ პირადად ჩემთვის პოეტურ საწყისს მოკლებული ხელოვნება ნაკლოვანია, პოეტური საწყისი იგივე ირაციონალური საწყისია, ვინაიდან ნამდვილი პოეზია, მით უმეტეს ლირიკა, ყოველთვის ირაციონალურია, იტალიურ კინორეჟისორს მიქელანჯელო ანტონიონის „არაკომუნიკაბლობის პოეტი“ უწოდეს. მე მომწონს ეს განსაზღვრება. არაკომუნიკაბლობის პრობლემაზე ის მხატვრულ-პოეტური ენით საუბრობდა. ანტონიონის ფილმებიც ცივია, რადგან ის ცივ სამყაროზე საუბრობს, მაგრამ ამ რეჟისორის ცივ ხელოვნებას დახვეწილი ლირიზმიც ახლავს, რაც ჩემი აზრით ამ სიცივის გამო აღძრული სინანულის გამოსხივებად შეიძლება მივიჩნიოთ.

- შესაძლოა, კი არ გაფერმკრთალდა და დაკნინდა, არამედ შევიწროვებულ სულიერ მოთხოვნილებათა კვლად შეიცვალა ლირიკულ-პოეტური შეგრძნება?

- ჰო, მეც ეგ მინდოდა მეთქვა. შეიცვალა, რა თქმა უნდა, შეიცვალა კიდევ. ბევრი რამ შეიცვალა. შეიცვალა ჩვენი ცხოვრების რიტმი. დღეს გუშინდელზე უფრო მეტად ვჩქარობთ, პრაგმატული პერსპექტივებისთვის უფრო ფართო ასპარეზი გადაიშალა. ცხოვრების წინა პლანზე მოქმედი ადამიანები გამოვიდნენ, მაგრამ ამასთან ერთად, თქვენი თქმისა არ იყოს, სულიერების სივრცე მნიშვნელოვანწილად შევიწროვდა. და კიდევ: ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ძნელბედობის გამოც პოეტებისა და პოეზიისთვის თითქოს არავის სცხელა. თუმცა, მთლად განწირული არ ვართ. გამომცემლობები სცემენ კრებულებს, არსებობს ლიტერატურული პრემიები „საბა“ და „გალა“, დაარსდა „ლიტერატურული გაზეთი“, რომელსაც უკვე ჰყავს თავისი მოუთმენლად მომლოდინე მკითხველი... რაც შეეხება ლირიკულ-პოეტური შეგრძნების შეცვლას, ცხოვრების რიტმთან ერთად შეიცვალა მოვლენათა ხედვის რაკურსიც. საქართველო დამოუკიდებლობისაკენ მავალ გზაზე ისეთი პრობლემების წინაშე დგება, რომელზეც ნებისმიერი ქართველი ფიქრობს და მით უმეტეს შეუძლებელია არ ფიქრობდეს პოეტი, ხელოვანი, მხატვარი. სამწუხარო გაუგებრობა იქნება ამ ვითარებაში ვინმემ რომ თქვას, მე პოლიტიკა არ მაინტერესებსო და ზურგი აქციოს დღევანდელი ცხოვრების პერიპეტეებს. დღევანდელი ვითარება სამომავლოდ თითოეული ჩვეთაგანის ბედისწერას განსაზღვრავს, ამიტომ საქმე გვაქვს არა პოლიტიკასთან, არამედ ბედის-


წერულ მომენტთან. და ამიტომაც საბოლოოდ მინდა ერთი ასეთი რამ ვთქვა: შეიძლება სულიერების გლობალური კრიზისის გამო დაკნინდა ლირიკული შეგრძნების ხარისხი და რამდენადმე შეიცვალა სამყაროს პოეტური აღქმაც, მაგრამ აქ მთავარი სხვა რამ არის: წარმოუდგენელია ამ მწვავე ვითარებაში, ვთქვათ, ახალგაზრდა ქართველი პოეტი არ ფიქრობდეს თავის ქვეყნის და იგივე საკუთარი თავის ბედისწერაზე. ლირიკული პოეზია თვითრეფლექსიაა, ლირიკოსი პოეტის მთავარი პერსონაჟი თვითონ პოეტია და თუ მას გულწრფელად შეძრავს ეს სატიკივარი, - სამყაროს პოეტური აღქმაც გამახვილდება და ლირიკული ხარისხიც მოიმატებს, თუმცა აქ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: პოეტი რომ თავის ქვეყნის სატიკივარით გაიმსჭვალოს, ყოველგვარი ინფანტილიზმისგან უნდა იყოს დაზღვეული და ამავე დროს სერიოზული ნიჭი უნდა ჰქონდეს მომადლებული.

- თქვენმა ბოლო სიტყვებმა XIX საუკუნის ჩვენი კლასიკოსები გამახსენა...

- ასეცაა. ილია ამბობს: „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!“. საკვირველია: ყმანჯილმა ილიამ შეძლო სამშობლოს ბედის თანაზიარი ყოფილიყო და მისი ცხოვრების საზრისი იმთავითვე ნათელი შეიქნა. ეს არც მამინ იყო იოლი. ასევე, უფრო ადრე სავესებით ახალგაზრდა ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაწერა „ბედი ქართლისა“, სადაც ძვეს გასაღები მისივე ბრწყინვალე მეტაფიზიკური ლირიკისა.

- ამ თვალსაზრისით XX საუკუნის ქართული მწერლობაც ძალზე საინტერესოა, ამ ნიშნით სულ უფრო იშვიათად განიხილავენ ჩვენს ლიტერატურას.

- ეს ძალზე ფართო და მრავალსიმომცველი თემაა. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება როგორც XIX, ისე XX საუკუნის ქართული მწერლობიდან, სადაც სამშობლოსადმი დამოკიდებულების ორიგინალური ხედვის რაკურსია წარმოდგენილი. აი, ვთქვათ გერონტი ქიქოძის ნიგში „ეროვნული ენერგია“ (1919 წ.) არის ესეც „ჩაქუჩიანი მამაკაცი“, სადაც მწერალი ისტორიისადმი მიმართებაზე სვამს აქცენტს და ამბობს: „საჭიროა აგრეთვე ის ნიჭი განჭვრეტისა, რომლის შემწეობით ადამიანი ნაწილში მთელს ჰხედავს, ხოლო ხილულში უხილავს. მხოლოდ იმას, ვისაც ეს ნიჭი და ეს ფანტაზია აქვს, შეუძლიან დაახლოვებით მანაც გაზომოს ის უტეხი ენერგია, რომელიც სდულდა ძველ საქართველოში“. სწორედ „ხილულში უხილავის“ ხედვას ეძღვნება უკვე 1959 წელს დაწერილი გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ალავერდობა“. ამ მოთხრობაში მთავარი გმირის მიერ ნაგრძნობა და დანახული ის „უტეხი ენერგია“, რომელიც ქართველი ხალხის ისტორიული წიაღიდან მოედინება. მაგრამ ეს არც ისე იოლად ხდება. მოთხრობის მთავარი გმირი ანუ თვითონ ავტორი მთელი არსებით ცდილობს აღძრას საკუთარ თავში გარშემომყოფთა მიერ დაკარგული შეგრძნება ისტორიისა, ისტორიული მესხიერება. მან კარგად იცის, რომ ისტორია მხოლოდ ფაქტოგრაფია არ არის. იმას კი, რაც ფაქტებს მიღმა ძევს, მხოლოდ „რაციონით“ ვერ ჩანვდება, ირაციონალური ძალისხმევით უნდა ჩანდეს. მან იცის, რომ ნამდვილი ცოდნა ის ცოდნაა, რომელიც განცდამი ეძლევა ადამიანს. მოთხრობის მთავარი გმირი ერთდროულად ინერციით მოძრავ ბრბოსაც აფხიზლებს და საკუთარ თავშიც აღძრავს ამ ინერციის საპირისპირო იმპულსს. უკვე ალავერდის გუმბათზე ავარდნილს კი ნამდვილი ექსისტენციური განათება, ისტორიის მძაფრი შეგრძნება ეწვევა და დაუფლებს. და სწორედ აქ გრძნობს და ხედავს გურამი „ხილულში უხილავს“, აქ ჭვრეტს გერონტი ქიქოძის



მიერ აღნიშნულ იმ „უტეხ ენერგიას, რომელიც სდულდა ძველ საქართველოში“ და რომელიც დღესაც მოედინება უკვე გურამის სიტყვით, „შეერთებული გრანდიოზულ, უსიტყვო შრომასთან“. მაგრამ „ზოგიერთი დაბნეულან“ და ვეღარ გრძნობენ წარსულს და წარსულის ქმნილებებს, რადგან არ ცხოვრობენ ინტენსიური შინაგანი ცხოვრებით. მხოლოდ სწორი ღირებულებებით ორიენტაციის მქონე, ინტენსიური შინაგანი ცხოვრებით მაცხოვრებელ, მაძიებელ ადამიანს შეიძლება გაეხსნას საკუთარი ქვეყნის ისტორიული ბედისწერის დამნახველი თვალის. მხოლოდ მამინ შექმნის ის სულიერ თუ მატერიალურ ღირებულებასა და შეიცნობს სხვათა მიერ შექმნილს და პირიქით. კარგად ამბობს გურამ რჩეულიშვილი: „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებული ტკობაში“, აშენებული მუდმივი ტკობა უკვე მოდუნებაა, ადამიანი კი ისტორიის შემოქმედი უნდა იყოს.

ჩემი აზრით, „ალავერდობა“ დღეს ხელახლა იქნეს არაჩვეულებრივ მნიშვნელობას. დღეს ღირებულებების აღრევის ხანაში ჩვენ, ქართველებმა ხომ არ დავკარგეთ ჩვენივე ისტორიის, ჩვენივე ეროვნული სხეულის შეგრძნების უნარი და ხომ არ დავემსავსეთ ალავერდის ირგვლივ შეყრილ ადამიანთა გროვას, რომელიც ინერციით მიჰყვება დროის დინებას?

- ლირიკაზე საუბრით დავიწყეთ და თანდათან ეპიკაზე გადავდით...

- მე მგონი, საუბრის ძაფი არ დაგვიკარგავს, ლირიკა იქნება ეს თუ ეპიკა, ყოველივე ქვეყნის ბედისწერას უნდა ეხებოდეს. სწორედ ეს შეხება არსებითი. ეს ყველაზე უფრო მტკივნეული ნერვია, რომელსაც საუკეთესო ქართველი პროზაიკოსები და პოეტები ეხებოდნენ, მაგრამ არცერთი მათგანი ვინცო პატრიოტულ ნაჭუჭში არ გამოკეტია. გურამიშვილმა „ქართლის ჭირი“ დაწერა და ბარათაშვილმა „ბედი ქართლისა“, მათი აზროვნების დიაპაზონი ფართო და მრავალსიმომცველი იყო, თუმცა ყველა სხვა მოტივი ამ ერთი უმთავრესი მოტივიდან გამომდინარეობდა. ბარათაშვილის მეტაფიზიკური ლირიკაც სწორედ აქედან იღებს დასაბამს და ქვეყნის უბედურება ამ ლირიკის მთლიან განწყობილებაში გამოსჭვავის.

არცერთი მნიშვნელოვანი ქართველი პოეტი არამცთუ თავის ქვეყანაზე ბედნიერი არ ყოფილა, არამედ ყოველი მათგანის ბედში ქვეყნის ბედი იყო განსახიერებული. თითქმის ყოველი მათგანის მიმართ მართლდებოდა სიტყვები: „სად ნაიყვან სადაურსა, სად ალუფხვი სადით ძირსა“. რუსთაველის საფლავი მიუკვლეველია, გურამიშვილი მირგორდშია დაკრძალული, ბესიკ გაბაშვილი რუმინეთში, ქალაქ იასში, ნიკოლოზ ბარათაშვილი განჯაში გარდაიცვალა და დაკრძალა... მათი ცხოვრების ანალები საქართველოს ბედისწერასთან არის გადაჭდობილი.

ერთი წუთით დავანებოთ თავი დიდ პოეტებს. ისევ ბესიკი გავიხსენოთ, ბესარიონ გაბაშვილი. რა იყო მისი ცხოვრება?

სულ რაღაც 40 წლის გარდაიცვალა. ნიჭიერი პოეტისთვის ეს მცირე ასაკი არ არის, მაგრამ მისი ცხოვრება ნამდვილი სატანჯველი გახლდათ. მამამისი, სასულიერო პირი ზაქარია, - თემურაზ მეორის კარის მოძღვარი, ანტონ კათალიკოსთან უთანხმოების გამო მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოდან გააძევეს. ბესიკი დატოვათ ერეკლე მეორეს კარზე. ეს იყო განათლებული, უაღრესად მომხიბლავი ახალგაზრდა კაცი. მალე ერეკლესადმი ოპოზიციურად განწყობილი პოეტიც განდევნეს ქართლიდან. მან თავშესაფარი ჰპოვა იმერეთში, სოლომონ პირველის გარემოცვაში. ბესიკს უყვარდა ანა დედოფალი, რომელსაც უძღვნა თავისი შესანიშნავი სატრეპილო ლირიკა. ბესიკი ერთხანს სპარსეთში იყო დიპლომატიური მისიით, მერე კი უკრაინაში, კრემენჩუგში გაგზავნეს, იქიდან ის იგივე მისიით რუმინეთში ქალაქ იასში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე დაპატიმრობა და იქვე გარდაიცვალა კიდევ... ყოველივე ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ამ ერთი პოეტის ბიოგრაფიაში ისე ირეკლება ძველი საქართველოს ბედ-იბბალი, როგორც ზღვის წვეთში ზღვა. აქ ყველაფერია: ოჯახიდანვე დაბეჭდილი დევნილობა, სამეფო კარის ინტრიგები, უნუგეშო სიყვარული, გახლენილი სამშობლო, ასპინძის და რუხის ბრძოლები, ისევე დევნილობა და ხეტიალი, დაბოლოს, უცხოეთში სიკვდილი... სანაცვლოდ დარჩა შესანიშნავი ლექსები, ბრწყინვალე ფრაზები: „მე შენზე ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებას“ ან დედოფალ ანაზე ნათქვამი: „კვლავ მომკლდე მისმან ციალმან და ნელთა მიმოტანამან“ და სხვ.

- დასასრულ, ხომ არ შეაჯამებდი საუბარს? ლირიკა, პოეზია, ისტორიის შეგრძნება და ბედისწერა... იქნებ ლირიკული განცდით, რაღაც ინაციონალური საწყისით, უცნაური ინტუიციით შეიგრძნობს პოეტი თავისი ქვეყნის ბედას და ისტორიას?

- ერთმა ახალგაზრდა პოეტმა მითხრა, ჩემი ქვეყნის მიმართ გაუცხოებული ვარ და ეს გაუცხოება უნდა აღვებჭდო ლექსებში. მე მას ვურჩევდი, რომ ვიდრე ამ გაუცხოებას აღვებჭდო, დაგვიანებით სცადოს და გადადგას პირველი ნაბიჯები. გაუცხოების გასაქარწყლებლად მცირეოდენი გათვითცნობიერება საჭირო. მან უბრალოდ ის ნიგნები, პოეტური ნაწარმოებები და ისტორიული ქრონიკები უნდა წაიკითხოს, რომლებიც საქართველოს წარსულის გრძნობას გაუღვიძებენ. ღმერთმა ქნას და მას არამარტო მოეხსნას ეს გაუცხოება, არამედ წარმოსახვაც ეწვიოს. გიორგი ლეონიძემ შესანიშნავად იცოდა საქართველოს ისტორია, მაგრამ ვინ იცის, მერამდენედ კითხულობდა „ქართლის ცხოვრებას“, რომ თავის თავში ისტორიის ცოცხალი განცდა აღძვროდა?

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“ ნუხელის დიდხანს, გათვინებამდე, როგორ გლენავდნენ, ჩემო ქალაქო, სისხლით მოედნებს როგორ ლებავდი!

გამოვეარდები, ხარ თუ აღარა, კიდევ გაისმის ქუჩებში ჩეხა? ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აბრებს და მიხარია, რომ ისევ დგებარ!

გურამ რჩეულიშვილიც იმიტომ ავარდა ალავერდის გუმბათზე, რომ „სხვისი ვნებისგან“ შექმნილი ტაძრის, დიდი ქრისტიანული დღესასწაულის, საქართველოს წარსულის ცხოველმყოფელობა შეეგრძნო. ვინც ყოველივე ამას შეიგრძნობს, ის იქნება კიდევ შეძლებისდაგვარად ისტორიის შემოქმედი.

ესაუბრა უჩა შირაზადიშვილი

მიშელ უელბეკი

გუჯი კინოს სობა

აღამიანი ლაპარაკობს. ზოგჯერ არ ლაპარაკობს. როცა რაღაც დაემუქრება, აინურება, დაპატარავდება და მზერას სივრცეს სწრაფად მიმოავლებს. სასონარკვეთის დროს მოიკუნტება, საკუთარ ტკივილს შემოეხვევა. თუ ბედნიერია, შენელებული სუნთქვა აქვს, ცხოვრების რიტმი მეტ გასაქანს აძლევს... კაცობრიობის ისტორიაში იყო ხელოვნების ორი დარგი — ფერწერა და ქანდაკება — რომელიც ადამიანური გამოცდილების სინთეზირებას ცდილობდა, გაქვავებული გამოსახულებების, შეჩერებული მოძრაობების საშუალებით. ხანდახან ისინი მოძრაობის შეწყვეტას ისეთ მომენტში არჩევდნენ, როცა იგი ნონასნობის, სიმშვიდის უმაღლეს ნერტილში იმყოფებოდა (მარადისობასთან შერწყმის წამს). ასეთია ყველა სურათი, სადაც ღვთისმშობელი ყრმით არის გამოსახული. ზოგჯერ კი ერჩიათ, მოქმედება ისეთ დროს გაეჭვადინათ, როცა უკიდურესი დაძაბულობის ზღვარს, ექსპრესიულობის მწვერვალს მიაღწევდა. ეს, რა თქმა უნდა, ბაროკოა და აგრეთვე, ფრიდრიხის სურათები, სადაც გაყინულ აფეთქებებს ვხვდებით. ხელოვნების ეს ორი დარგი საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და დასრულებული ნაწარმოებებიც იქმნებოდა, რომლებშიც ყველაზე იდუმალი ჩანაფიქრის — დროის გაჩერების — განხორციელება ხდებოდა შესაძლებელი.

კაცობრიობის ისტორიაში არსებობდა ისეთი ხელოვნებაც, რომლის ამოცანა მოძრაობების შესწავლა იყო. ის ოცდაათი წლის განმავლობაში ცოცხლობდა. 1925 – 1930 წლებში რამდენიმე კადრი, რამდენიმე ფილმი გადაიღეს (პირველ რიგში, ვგულისხმობ მურნაუს, ეიზენშტეინს, დრეიერს), რომლებიც ამ ხელოვნების არსებობას ამართლებენ. შემდეგ ის გაქრა, როგორც ჩანს, სამუდამოდ.

ჭკები ხმოვან სიგნალებს გამოსცემენ, რომლებითაც ერთმანეთს სცნობენ და საფრთხის შესახებ აფრთხილებენ. მკვლევართა დაკვირვებით, მათ სამოცამდე ასეთი სიგნალი აქვთ. ჭკები გამოაკლის ნარმოადგენენ. თითქმის მთელი სამყარო შემზარავ სიჩუმეში ცხოვრობს და მოქმედებს, საკუთარი თავის გამოხატვას კი ფორმისა და მოძრაობის საშუალებით ცდილობს. ქარი ბალახს აშრიალებს (ეიზენშტეინი), ცრემლი სახეზე ჩამოდის (დრეიერი). მუნჯი კინოს წინაშე უზარმაზარი სივრცე იშლება: ეს მხოლოდ ადამიანური გრძნობების კვლევა არ იყო, არც მხოლოდ სამყაროს ჩვეული მოძრაობების ძიება. მისი სიღრმისეული სურვილი და ამბიცია აღქმის კანონზომიერებების წვდომა უნდა ყოფილიყო. ჩვენი ნარმოადგენების საფუძველს ხომ ის განსხვავება ქმნის, რაც ფიგურასა და ფონს შორის არსებობს, თუმცა აგრეთვე – უცნაურია, მაგრამ მაინც – განსხვავება, რომელიც ფიგურასა და მოძრაობას, ფორმასა და მისი ნარმოქმნის პროცესს შორისაა. ჩვენი გონი საკუთარ გზას ეძებს სამყაროში. აქედან მოდის ჰიპნოზური შეგრძნება, რომელიც უწყვეტი მოძრაობის შედეგად ნარმოქმნილი გაქვავებული ფორმის დანახვისას გვეუფლება, მაგალითად, ჭაობის ზედაპირზე გაყინული ტალღების ნახვისას.

რა დარჩა 1930 წლის შემდეგ? დარჩა კვალი, ძირითადად იმ რეჟისორების შემოქმედებაში, რომლებმაც მუშაობა მუნჯი კინოს დროს დაიწყეს (კუროსავას სიკვდილი ერთი კაცის სიკვდილზე უფრო მეტია), რამდენიმე გაელევა ექსპერიმენტულ ფილმებში, სამეცნიერო დოკუმენტალისტიკაში, ხანდახან სერიულ პროდუქციაშიც (ამის მაგალითია ფილმი "ავსტრალია", რომელიც რამდენიმე წლის წინ გამოვიდა). ამ გაელევების ამოცნობა იოლია: სიტყვის არსებობისთვის ადგილი აღარ რჩება, მუსიკაც კი კიჩის შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მიძიეა, ოდნავ ვულგარული. ჩვენ მთლიანად აღქმად ვართ გადაქცეული, სამყარო იმანენტურობაში ნარმოგვიდგება. ჩვენ ბედ-



ნიერები ვართ, უცნაურად ბედნიერები. ასეთი შეგრძნებები მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა შეყვარებული ხარ.

საპენსიო ასაკის შემცირება

— ოდესღაც კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზატორებად ვმუშაობდით სხვადასხვა კურორტზე. ფულს იმისთვის გვიხდიდნენ, რომ ხალხი გაგვეროთო, ან გვეცადა მაინც. მოგვიანებით, დაქორწინებულები (უფრო ხშირად კი, განქორწინებულები) ისევ ნაცნობ კურორტებს ვუბრუნდებოდით, ამჯერად დამსვენებლებად. ახალგაზრდები — სხვა ახალგაზრდები — ჩვენს გართობას ცდილობდნენ. ჩვენ კი, გასართობად, სექსუალური კავშირის დამყარებას ცდილობდით მომსახურე პერსონალის ზოგიერთ ნევრთან (ხან ყოფილ კულტ-ორგანიზატორებთან, ხან — არა). დროდადრო წარმატებას ვაღწევდით, უფრო ხშირად კი ყველაფერი მარცხით მთავრდებოდა. დიდად ვერც ვერთობოდით. დღეს კი ჩვენს ცხოვრებას არანაირი აზრი აღარა აქვს, — დაასკვნა კულტურულ ღონისძიებათა ყოფილმა ორგანიზატორმა.

წითელი ზღვის სანაპიროზე, საფაგაში, 1995 წელს აშენებული სასტუმრო "Holiday Inn Resort" დამსვენებლებს 327 კომფორტულ ოთახსა და 6 უზარმაზარ ლუქოს სთავაზობს. აქვე უნდა ვახსენოთ დიდი ქოლი, "coffee-shop", რესტორანი, პლაჟის რესტორანი, დისკოთეკა და ტერასა, სადაც გასართობი ღონისძიებები იმართება. სასტუმროს სავაჭრო ცენტრში სხვადასხვა მაღაზიას, ბანკს, სილამაზის სალონს ნახავთ. გასართობ ღონისძიებებს სიმპათიური ფრანგულ-იტალიური ჯგუფი მართავს (ცეკვის საღამოები, მრავალფეროვანი თამაშები). მოკლედ, ტურისტული სააგენტოს ერთი თანამშრომლის გამოთქმა რომ გავიმეოროთ, "მთლიანობაში, შესანიშნავი სიტუაცია".

— საპენსიო ასაკს ორმოცდათხუთმეტ წლამდე თუ შეამცირებენ, — განაგრძო კულტურულ ღონისძიებათა ყოფილმა ორგანიზატორმა, — ამ გადაწყვეტილებას ტურისტების სფეროში დასაქმებულები სიხარულით შეხვდებიან. ძნელია, შემოსავლიანი გახადო ისეთი საკურორტო სასტუმროები, რომლებსაც დამსვენებლები მხოლოდ სეზონურად, მცირე ხნით სტუმრობენ, ძირითადად, ზაფხულში ან საშობაო არდადეგების დროს. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ ჩარტერული რეისების ორგანიზება მოხერხდება ახლადგამოცხვარი პენსიონერებისთვის, რომლებიც, ამავე დროს, შემცირებული ტარიფებით ისარგებლებენ, ეს ყველაფერი კი მათ უწყვეტ ნაკადს უზრუნველყოფს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ პენსიონერი ბავშვის მდგომარეობაში იმყოფება: ჯგუფთან ერთად მოგზაურობს, აუცილებლად ვინმეს უმეგობრდება. ზოგადად, ბიჭები მხოლოდ ბიჭებთან თამაშობენ და

გოგოებსაც სხვა გოგოებთან ლაქლაქი ურჩევნიათ, მაგრამ პენსიონერები ყველასთან სიამოვნებით ურთიერთობენ, სქესის განურჩევლად. სინამდვილეში კი ორაზროვან მინიშნებებს საკმაოდ ხშირად მიმართავენ, არც ქვეტექსტებით საუბარს ერიდებიან, ზოგჯერ მათი სიტყვიერი ავხორცობა პირდაპირ გამოგონებული ხდება. აღნიშნავს იმსახურებს ისიც, რომ როგორი მძიმე და მტანჯველიც არ უნდა იყოს თავის დროზე, მოგვიანებით სექსს მაინც სინანულით იხსენებენ. ამ თემას მუდამ ნოსტალგიური შეფერილობის მქონე ვარიაციებით უბრუნდებიან. ასე, საუბრისას უმეგობრდებიან ერთმანეთს ორნი ან სამი. მეერ ერთად წავლენ და ვალუტის მიმდინარე კურსს გაიგებენ, მომდევნო ექსკურსიასაც ერთობლივად დაგეგმავენ. ოდნავ მოხრილი, მოკლეთმიანი პენსიონერები გნობებს ჰგვანან — ანჩხლსა თუ გულკეთილ არსებებს, ხასიათების შესაბამისად. მათი გამძლეობა და ამტანობა, უბრალოდ, გასაოცარია, — დაასკვნა ბოლოს კულტურულ ღონისძიებათა ყოფილმა ორგანიზატორმა.

— მე ვიტყვოდი, რომ ყველას თავისებურად სწამს და ყველა რელიგიას პატივი უნდა ვცეთ, — უადგილოდ ჩაერია საუბარში დილის გამამხნეველი ვარჯიშის ინსტრუქტორი. ამით შეურაცხყოფილმა ექს-ორგანიზატორმა მტანჯველ სიჩუმეს შეაფარა თავი. ის ორმოცდათორმეტი წლის გახლდათ, იანვრის მიწურულს კი ყველაზე ახალგაზრდა დამსვენებელთა შორის აღმოჩენილიყო. სხვათა შორის, ნამდვილი პენსიონერი არც ყოფილა, პენსიაზე გასვლას აპირებდა თუ თანხმობას ელოდა, რომ ნაადრევად გასულიყო. ყველას ტურისტულ ბინებსში გარკვეულ ექს-პროფესიონალად გაეცნო და საბოლოო ჯამში, კარგი შთაბეჭდილება დატოვა კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზატორების ჯგუფზე. "სენეგალში "კლუბ მედი" პირველმა მე გაგხსენი," — უყვარდა ხოლმე გამეორება. მეერ სიმღერას წამოიწყებდა და წაიცეკვებდა კიდევ: "თავზე დავიმხოვ სე-ნე-გააააააა, იქ რა გამოლევს ლამაზ ქაააააააა". ერთი სიტყვით, მაგარი ტიპი იყო. მიუხედავად ამისა, საერთოდ არ გამკვირვებია, როცა მეორე დღით მისი გვამი იპოვეს, სასტუმროს აუზის კამკამა წყალში მოტივტივე.

რა გინდა აქ?

პირველი პორნოგრაფიული ვიდეოსალონის "ფენომენალური წარმატების" შემდეგ, შამპერეს საგამოფენო ცენტრში მეორეც გაიხსნა. მოედანზე გამოსვლისთანავე ქალმა, ვისი სახეც ვერ დახსენებ, რაღაც ბროშურა შემომარჩენა. გამოლაპარაკება ვცადე, მაგრამ ის იმ აქტივისტების პატარა ჯგუფს შეუერთდა, რომლებიც გასათბობად ერთ ადგილზე ხტუნავენ და ბროშურების დასტებს აფრიალებენ. ქალის მოცემულ ფურცელზე მსხვილი შრიფტით წერია: "რა გინდა აქ?" ჩასასვლელთან მივიდვიარ. ეს საგამოფენო ცენტრი მიწისქვეშ არის განთავსებული. უზარმაზარ სივრცეში ორი ესკალატორი წელა მირაზრახებს. კაცები თითო-თითოდ ან პატარა ჯგუფებად ჩამოდიან. ეს ყველაფერი სავაჭრო ცენტრ "დარტის" უფრო მოგაგონებთ, ვიდრე მიწისქვეშ შემალულ გარყვინლების ტაძარს. რამდენიმე საფეხურის ჩავლის შემდეგ ძირს დაგდებულ კაბალოგს ვიდე. რას ვხედავ: "Cargo VPC" — საზოგადოება, რომელიც პორნოგრაფიული ვიდეოფილმების კასეტებს ყიდის და ფოსტით აგზავნის. მართლაც, რა მინდა აქ?

ბროშურის კითხვას მეტროში ვინყებ, იქიდან დაბრუნების მეერ. "პორნოგრაფია შენი ტვინის უჯრედებს ხრწნის," — ამ სათაურის ქვეშ ასეთ დასაბუთებას ვხედავთ: სექსუალური გადახრების მქონე ყველა დამნაშავე: მოძალადეებს, პედოფილებს და ა.შ. სახლში უამრავი პორნოგრაფიული კასეტა უპოვებს. "როგორც მეცნიერული გამოკვლევები გვიჩვენებს", პორნოფილმების გამუდმებული ყურება რეალობასა და ფანტაზიას შორის ზღვარის წაშლას იწვევს, სურვილიდან მოქმედებაზე გადასვლას აიოვლებს და ამავე დროს "ტრადიციული სექსუალური პრაქტიკის"

მიმზიდველობას ერთიანად სპობს.

"რას ფიქრობთ ამაზე?" — შეკითხვა მანამდე გავიგონე, სანამ მოსაუბრეს დაენახავდი. ჩემს წინ მოკლეთმიანი ახალგაზრდა დგას, ჭკვიანი, ოდნავ შეწუხებული კაცის გამომეტყველებით. ამ დროს მატარებელი გამოჩნდა, რამაც გაცეცხისგან გამოსარკვევად ცოტა დრო მომცა. წლების მანძილზე ქუჩაში სიარულისას საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ოდესმე თუ დადგებოდა ის დღე, როცა ვინმე გამოემლაპარაკებოდა — რა თქმა უნდა, ფულის სათხოვნელად არა. აი, ეს დღეც გათენდა და ამისთვის მეორე პორნოგრაფიული ვიდეოსალონის გახსნა გახდა საჭირო.

თავიდან ისიც პორნოგრაფიის წინააღმდეგ მებრძოლი აქტივისტი მეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვცდებოდი. სინამდვილეში, ეს კაცი სწორედ იმ სალონიდან მოდიოდა. იქ შევიდა და რაც ნახა, საერთოდ არ მოეწონა: "მხოლოდ კაცები... რაღაც მხეცური შეიმჩნეოდა მათ გამოხედვაში, მათ თვალებში". მე ვენიანაღმდეგები და ვუხსნი, რომ შესაძლოა ძლიერმა სურვილმა სახე მთლიანად შეცვალოს, დაძაბული, გამხეცებული ადამიანის გამომეტყველება მისცეს. არა, მან ეს კარგად იცის და სურვილით გამონვეულ მხეცურ იერზე კი არ ლაპარაკობს, არამედ ნამდვილ, მხეცურ გამხეცებაზე: "ამ კაცების გარემოცვაში აღმოვჩნდი... (ჩანს, ეს მოგონება მაინც დამორგუნველია), კასეტებზე ჩანერილი გაუპატიურებები, სადისტური სცენები... ისინი ისეთი ალგზნებულები იყვნენ... ისეთი გამოხედვა შქონდათ... და ის ატმოსფეროც..." ვუსმენ, ამბის დასასრულს ველოდები. "მგონია, რომ ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდება", — დაასკვნა უცებ, სანამ მეტროსადგურ "ოპერასთან" გავიდოდა.

დიდი ხნის შემდეგ სახლში მოულოდნელად "Cargo VPC"-ს კატალოგს გადავანყდი. "სოდომი თინეიჯერებისთვის" — ამ ფილმში ვიხილავთ "ფრანკფურტულ სოხისებს პატარა ხვრელებში, რავიოლივით გამოტენილ გოგოებს, სექსს პომიდვრის სანებელში". ფილმი "ძმები — ეაკ 6" წარმოგვიდგენს "ტაკუნების სპეციალისტ როკოს, გაპარულ ქერებს, სველ ბრიუნეტებს. როკო ნებისმიერ ანუსს ვულკანად გადააქცევს, რათა შიგ თავისი მდულარე ლავა ჩაღვაროს". კიდევ ერთი ფილმის, "გაუპატიურებელი ბოზების" რეზიუმე ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ აქ ბოლომდე მოვიყვანოთ: "ხუთ ულამაზეს ბოზს სადისტები სცემენ, აუპატიურებენ, ანალურ სექსს აიძულებენ. ამაოა მათი წინააღმდეგობა, ბრჭყალების გამოჩენა. საბოლოოდ მათ მაინც ცემით მისასიკვდილებენ, ცოცხალ უნიტაზებად აქცევენ". ამგვარი ტექსტებითაა სავსე მთელი სამოცი გვერდი. უნდა ვაღიარო, რომ ამას ნამდვილად არ ველოდი. ცხოვრებაში პირველად ამერიკელი ფემინისტების მიმართ ერთგვარი სიმპათიაც კი გამიჩნდა. რამდენიმე წლის წინ ახალი მოდური მიმდინარეობის — trash-ის შესახებ გავიგე და სულელურად ჩავთვალე, რომ ისევ ბაზრის ახალი სეგმენტის ათვისებაზე საუბრობდნენ. "ეკონომისტის სიტყვე", — ასე ახსნა მეორე დღეს ჩემმა მეგობარმა ანუელმა, რომელიც ქვენარმაგალთა მიმიკრიის შესახებ სადოქტორო დისერტაციის ავტორია. სინამდვილეში ამ მოვლენის ფსევბი ცაცილებით ღრმად არის ჩაზრდილი. "საკუთარ მამაკაცურ ძლიერებაში დასარწმუნებლად კაცს უბრალო შეწყვილება აღარ აკმაყოფილებს, — შემტევი იერთა და მხიარული გამომეტყველებით წარმოთქვამს ჩემი მეგობარი, — სინამდვილეში ის გრძნობს, რომ მის შესაძლებლობებს მუდმივად აფასებენ, განსჯიან, სხვა კაცებისას ადარებენ. ამ უსიამოვნო შეგრძნებისგან თავის დასაღწევად და სიამოვნების მისაღებად აუცილებელი გახდა, პარტნიორს ხელი შემოარტყას, შეურაცხყო, დაამციროს, აგრძნობინოს, რომ მთლიანად მისი ძალაუფლების ქვეშაა. სხვათა შორის, ეს მოვლენა თანდათან უკვე ქალებთანაც შეინიშნება," — ღიმილით აღნიშნავს ის.

"მაშ, დაგვერბა", — ვამბობ ორი წუთის შემდეგ. ჰო, ისიც ასე ფიქრობს. როგორც ჩანს, მართლა დაგვერბა.

რედაქციისათვის

ზაზა გოგია

„შავი“ ბიჭის ხამალაღალი ფიქრები

(ყარგონის ლექსიკონით შთაგონებული)

ჩვენი ლევანა როა, ბრეგაძე, ისეთი დერსკი ლექსიკონი შემოგვიგდო, ფაზალი იფიქრებ, ქურდული მასტერკლასები სუ სხოდებდა და ლაგერებში გაიარაო. ნიგნი კი არა, გოლი ფაქტია. ვილაცის გასროკვა რო უნდათ, ძაღლები, თურმე, ნამლის ნაცვლად ლევანას ლექსიკონს უგდებენ.

ეს ჩვენი გოლი მწერლებიც კი ფრუქტები ყოფილან. ისეთ პოშილი ქურდურს ანებებან, ბუდტა ყვავებმა ზედ ენაზე დაასკლიტესო. აზრი თუ გამაზზე, ლევანას ნიგნი ცვეტში გაგვიასნებდა. ლუბოი სიტყვას ლიტერატურული აპრავდენია აქვს. ვაფუე რა პონტია, ტო, აპარტიდია?! მწერლები და პრაფესორები ქურდურ თომარს თხრიან, ჩვენ კი შავებმა ვილაც ახვარს ლიშნი ბაზარი რო შევეყვანოთ, მამენტ გარემოს დაბინძურებისთვის გაგვსროკვენ. არა, ძმაო, ერთი შავი ნელსონა გვინდა, მანდელა, მაგათ უჩვენებს ეკალაგირესკი ჩისტკას.

ერთი გიმნაზისტის დედას უბაზრია, რაც ამ ბრეგაძემ და კოტეტიშვილმა (დმერთმა აცხონოს მისი სული, ბაირამლექსების საკაიფო ბუკეტი დაგვიტოვა) სლავესნი სოდომი მოგვიწვეს, ჩვენ შვილებს ცოტა კრიშები დაუცურდათ, რალაც სტრანნი დვიჟენიები დაენყოთო. ტუფტა ბაზარია, ნიგნი პრიჩომ?! შვილი გააშუქოს, ადრეც ვერ იქნებოდა თავის მატორზე. ლევანამ რა, ჩვენი ნეფარმალნი ენა გააპრავა. მა სუ აფიციალნად ხო არ ვიბაზრებთ?!

ისე, ჩვენში რო დარჩეს, ენა მაგარი პასაჟირია. კრიტიდან თუ გაუშვი, ბესპენა გაგულავდება. იგულაოს, კარგია, ლიშნი კანტროლი არ დაკარგოს. ჯერ უსუნე, მერე ჭამეო — ხომ გაგვიგია?! თვლი ლივრობს, ტვინი ხარშავს, ენა ფქვავს. ჰოდა, შენც ჯერ კარგა მოტივინე და ნისქვილიც მერე დაატრიალე, რამე ლიშნი არ ჩამოყარო, თორე თავსაც გაიფუჭებ და სხვაც. ხომ იცი, კაი ბიჭობიდან ბოზობამდე ერთი ნაბიჯია. იტოკში, ლუბოი მასტის ენა უნდა იცოდე, ნითელი და შავი სხოდურ დაალავო. რუსების არ იყოს — ზნანიე სილა.

ერთი გუსტა აჭრილი ქვეყანა ყოფილა აფრიკაში. აზრზე მოდი, მეთევზეები, ფერმერები, მონადირეები სუ სხვადასხვა ენებზე ბაასობდენ. დაჟე ქალებსა და კაცებს თავიანთი რეჩები ქონიათ. ვილაც კლიენტები გაჩითულა, მთელი ეს ყომარი აბშიაკში ჩაუყრია, გაუთლიფოვკებია და ერთი მამალი ენა დაუშულამებია. ახლა მთელი ქვეყანა თურმე ამ ენაზე თომარობს.

ჩვენშიაც ათა-ბაბადან ეგრე არ იყო?! ზოგი სიტყვა მთიდან მოსულა, ზოგი ბარიდან, ზოგი დალნიდან და ზოგიც ბლიჟნიდან. ვახუშტა კოტეტიშვილიც მაგარი შემყვანაძე ვინმე იყო. შემყვებებს სუ სოფელ-სოფელ აგროვებდა. ერთი ეგაა, რომ ქალაქურზე აგრო მთის ფალკორს ანებებდა. არა, ჩვენი ლევანაც მარტო ქალაქურ კორნებში არ იჩითება, მაგრამ ხომ იცი, ჩვენებური ყარგონის დედა ვასანვონი მაინც თბილისია. ისე, ჩვენი სოფელური ქალები კაი მანაკები ყოფილან, ასობენა მთაში. სუ პრიამოი პაპადანიები აქვთ. მაგრამ იქ რა მინდა, აგერ მწერალი მყავს ძმაკაცი — ნელი ბატიაშვილი. სუ ეფუნად და პრილიჩინად წერს, ეკბატანის ვარდივით იფურჩქნება, მაგრამ პრივატნი მუსაიფის დროს ქურდურში ისე ბანაობს, ყომარბაზი გეგონება.

ლევანამაც რა?! ვილაც ქაჯების დასაგრუზად ხომ იჩალიჩა ამდენი?! ჩვენი მაზაიჩნი ქალაქის რაზგავორნი კალარიტი სუ პალასებად მოქსოვა, თანაც როგორ?! სალოლ, ძმაო! მაგრამ კაი მთქმელს, გამგებიც კაი უნდა.

სიტყვა, ხომ იცი, ქალივითაა — თაფლივით ჩაროზიც და პილპილივით ოს-



ტრიც, მეტს მალავს, ვიდრე აჩენს; ამიტომ სუ უნდა უტრილო, ეფერო, რო არ გაგეპაროს. მამენტ სკრიტი ადგილებიც უნდა გამოუჩინო, თორემ ჯერ დაჩმორდებ, მერე — ვაბზე დაიტრუება. პახოდუ გალანტნი პადხოდებშიც არ უნდა ჩაიჭრა — სიტყვა ისე კამფორტნა უნდა იჯდეს თავის ლოჟაში, როგორც ყველი ხაჭაპურში.

შავებს მამენტ უპროიკში გვაგდებენ, რუსული „ფენით“ ენა გააჭყუყნიანთო. ტყემალზე ზიან. ჩვენ პრიჩომ?! ქალაქმა თვითონ მიიღო და სტომაქშიც თვითონვე მოხარშა. ეგრე ყოფილა ბერძნებს, არაბების, თურქების დროსაც, მაგრამ ყველაფერი ნატურალნად კეთდებოდა, ლუბოი თომარსაც თავისი კრუგი და ადგილი ქონდა. ახლა კი ვაჭრებმა, ბიზნესმენობას რო იპრავებენ, დუქნებსა და ბუტკებს ისეთი ინგლისურები ნაანერეს, ზნაჩენი თვითონ რო არ იციან. პარიკმახერები ვდრუგ სტილისტები გახდენ, საპოჟნიკები და მკერავები — მოდელიერები და კუტურები. ინგლისურ-ქართული „თბილისური“ ხო ყველამ დაამხეცა. რა ხდება, მზის დაბნელება?! ეს ახალი „ლ“ კიდე საიდან გაჩითა, ქალაქის ვიზიტინი კარტოჩად რო აქციეს (მეგრული არა — სხვა რაზლივის). ერთ პერედარას ჩემმა შვილმა „...ლე“-შო დაარქვა. „ლ“-ს ისპრავნად სამში ერთიც ვერ ამბობს. არ ვიცი, ეგეთ ბაშმაკებს სად პოულობენ, მაგრამ ჩვენ რას გვეჩიან, პრაკოლებივით რო ვერ მოგვიმორებია?!

სუყველაფრის აზრზე როა, ერთმა ეგეთმა კლიენტმა მითხრა, ბლატნიო სიტყვების ლექსიკონი ლუბოი კულტურნი ქვეყანას აქვსო. იაღლიში მომივიდა, შევესპორე — ტი შტო, კულტურნი ქვეყანას ნიკულტურნი სიტყვების ლექსიკონი რამი ჭირდება მეთქი. გაიცინა — იუზგარ, კაკრაზ ეგაო კულტურა. მივხვდი, ფაიზალი გამაზზე. შიგ ცვეტში მომირტყა. იასნი კილდემია — რაც რო ჯიგარნი გიზის, პაკალენიებს თუ არ დაუტოვე, შენი ჯიგარიცა და კულტურაც სკვანოიზე გავა.

ლევანაც ამ გაგებას არ ანებებ?! მაგრამ ზოგს ჭკუა კამანდროვკაში აქვს, თვალთ კი მარტო ვრედნი სიტყვებს ხედავს. ვერ მოუტვინავს, რომ ვრედნი სიტყვა არ არსებობს. არსებობს ვრედნი პატრებიტელი. შე კაი დედამიშვილო, სიტყვას რას ებოქსავებ, თუ მისი ფასი და ადგილი არ იცი?! სარკის ნინ შენ თავს ებოქსავე, ვდრუგ იქნებ ცოტა აზრზე მოხვიდე!

ბავშვობის ერთი პრიკოლნი ისტორია გამახსენდა: პატარები ვიყავით, ასე ლეტადინაცატ-დინაცატ. სიმონოვკაზე ნავთის პადვალთან პუჭურ ნა მესტას ვთამაშობდით. იქვე რაფო პარიკმახერის ბუტ-


კის გვერდით ვზროსლები კრუგში ჩაკუზულიყვენ — ნიტო რაზბორკა ქონდათ, ნიტო პროსტა თომარობდენ, პახოდუ „კურორტის“ ენოდენ და კბილებშიდან ისე საკაიფოდ ინიტებოდენ, ლანირაკები შურიტა ვსკდებოდით. რაფო იმ დღეს ბეზ პონტა იყო, თავისი იხვესნი ტაბურეტკა ბუტკის ნინ მზეზე გამოეტანა, იჯდა და ბუზებსა ყლაპავდა. ერთი ვითომ ძველი ბიჭი, გოგებაშვილზე ჩემი მეზობელი იყო, უკბილოდ ნაეიაზვა: რაფო ჯან, კაკრაზ შენზეა ნათქვამი, უსაქმური კაცი ყვერებში მახათს იყრიდაო. რაფიკამ ისეთი მახალ სიფათი გააძრო, ბუდტა ერთი კი არა, ათი მახათი ოპტომ გაეყაროთ. ცოტა ხანი ასე იყო გამშებული. მერე დასპაკოინდა და აბიჟინის მიუტრიალდა — ე, ბაიყუმ, მაიხედე, ჩვენი ულიჩნი კლასიკას ეგრე ბეზბოჟნა რაზე აბითურებო. მე მეცხრე კალენის ქალაქელი ვარ. პაპიჩემის პაპა, პატომსტვენი ხელოსანი, ერეკლესა და საიათნოვას იმ დროს უკერამდა აზიაცკებს, როცა ვერა ჯერ კიდე სოფელი იყო, ჰამაც ქალაქური სიტყვა-პასუხის დიდ ზნატოკად და საიათნოვას პირველ უჩენიკად ითვლებოდა. მისი შნო ჩვენ ჯიშს დასისპორ გამოყვაო. კლიენტნი აზრზე ვერ მოვიდა, რამი ესპორებოდენ და აუხტა — მეგრე ჩემგან რა გინდა, სომხებს ენა დაგიკარგეთ თუ ხელობაო. რაფიკა ნივაზმუტიმი იყო — შენ ჩვენ ხელობას ვერ დაგვიკარგავ, აი, სიტყვას კი ლაზათი დაუკარგეო. ჯერ კიდე პაპიჩემისაგან გამიგია, უსაქმური კაცი ყვერებში მახათს კი არ იყრიდა, ყვერებს მახათში უყრიდაო. რაზნიცას ვერ ხედამ?! არა, ქალაქური უროვენი ვერ გიჭირავს, იუზგარ, ნაღი, მარლიც ჭამე, იქნებ ჯიგარიც ცოტა მაინც დაგინვანო. ფრაგერს ეტაჟები ისე აერია, სიტყვამ გაუჭედა. კაროჩე, რაფომ ენით მაგრა დაქოთა. ბავშვი ხომ იცი, ვზროსლების ლუბოი დვიჟენიას გუმერაბიკით იკრავს. ის დღე იყო და ის. გაფარჩაბულმა კლიენტმა ჩვენი ნევაჟენი დაეკარგა. ახლაც სადმე ვერ შემხვდება, სრაზუ ის დღე მახსენდება.

ამბობენ, სიტყვას ერთი ასობი თვისება აქვს — თუკი ჩაყვინთა, შეიძლება ათი პაკალენის მერეც ვერ ამოყვინთოს. თბილისიც ასობი ქალაქია, მაგარი სიყვარული იცის, პახოდუ — გაბრაზებაც. მოყვრისთვის დედა, მტრისთვის — დედინაცვალი. ბევრი მიღის, ბევრიც მოდის თავისი გაგებითა და ბავაჟით — ტრადიციონისი ეჭიდავება, თუ მოერია, ყლაპავს. ჩვენც ნურავის ჩავაყლაპინებთ გულსა და ჯიგარს. ბოკ ბოკ ვიცხოვროთ, მაგრამ სამშობლოს ნილში ნურავის ჩავისვამთ. „სამშობლოს არვის ნავართმევთ, ჩვენს ნურვინ შავვეცილებო“, — სულკურთხეული ვაჟა როგორც იტყოდა. ჩვენმა შვილებმაც იცოდნენ, საიდან არიან, ამ ბლაჟენი მხარეში რა კლიენტები მიდი-მოდიოდენ, როგორ ბაასობდენ, იციონოდენ და ტროდენ, იბადებოდენ და კვდებოდენ; კაი და ცუდი ბიჭობა პასტუკეებით რო იზომებოდა და არა — ნაციონალიზმით, მასუთით ან ეგსომი მამის შვილობით. კაკრაზ ამიტომ ამოვიღე პრიცელში ლევან ბრეგაძის ლექსიკონი. ვისაც ჭკუა-გონება უჭრის, აზრზე მოვა, რომ ეს ნიგნი პრასტოი სალადო ტავარი არაა; ჩვენი ცხოვრების ცვეტნიო ბროშკაა, რომელშიც ბრილიანტაცა ზის და პრასტოი შუშაც. მაგრამ შუშასაც ხომ აქვს თავისი ფასი და მახანდა?!

პოსტკრიპტუმ სერიოზულად — ლევან! იმედა შენ და ბატონი ვახუშტის განათლებული სული არ მიწყენთ ფამილარობას.

რევერსი არასერიოზულად — ეგრე რომ არა, ბრატ! მანალოგი ჩერესურ სლადი გამოვიდოდა. რას იზამ?! ეგეთია ულიჩნი ჟანრის ზაკონი.

კლასიკოსი



ყველაზე კვირვასი

— თუ რაიმე მძულს, — ამბობს რომანის — „თამაში ჭვავის ყანაში“ — მთავარი გმირი ჰოლდენ კოლფილდი, — ეს კინოა. ატანა არ მაქვს.

ჰოლდენის შემქმნელსაც, როგორც ჩანს, ზუსტად ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა კინოსამყაროსადმი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერომ სელინჯერს სხვადასხვა დროს მიმართავდნენ ცნობილი პროდიუსერები, რეჟისორები, სცენარისტები და მსახიობები: ელია კაზანი, ბილი უაილდერი, ჯეკ ნიკოლსონი, ლეონარდო დიკაპრიო, ჯერი ლუისი — მწერალი ყველას უარით ისტუმრებდა და თავისი რომანის ეკრანიზაციის უფლებას არავის აძლევდა.

„თამაში ჭვავის ყანაში“ 1951 წლის 16 ივლისს გამოჩნდა ამერიკული ნიგნების მალაზიების დახლებზე და მოგვიანებით ყველა-სათვის კლასიკად იქცა. თუმცა, ამერიკის რამდენიმე მტაცისა და ზოგიერთ ქვეყანაში რომანი აკრძალეს იმ მოტივით, რომ ხელს უწყობდა მოზარდებში დეპრესიის გაღრმავებას და, ამას გარდა, მთავარი გმირი უნამუსური სიტყვების ხმარებასაც არ ერიდებოდა. არადა, სელინჯერს სურდა, ამ ნიგნის მიხედვით პიესა შექმნილიყო და მთავარი როლიც თავად შეესრულებინა. რომანის ეკრანიზაციისთვის მას სტივენ სპილბერგმა და ჰარვი უაინშტეინმაც მიმართეს, თუმცა მწერალმა ყველა წინადადება უარყო და ეს იმით ახსნა, რომ ჰოლდენ კოლფილდის განსახიერება შეუძლებელი იქნებოდა და ამ ლიტერატურული სახის შექმნაში მას ვერც ერთი რეჟისორი ვერ დაეხმარებოდა. როგორც ჩანს, ეს იყო ის პირველი ნაბიჯი, რომელმაც პროზაიკოსი და საზოგადოება ერთმანეთს დააშორა.

1953 წელს ნიგნი უკვე ბესტსელერად იქცა, თუმცა რაც უფრო იზრდებოდა მწერლის პოპულარობა, ჯერომ სელინჯერი მით უფრო იკეტებოდა საკუთარ თავში. ერთ მშვენიერ დღესაც პროზაიკოსი ნიუ-იორკიდან გაუჩინარდა და ბინა ნიუ-ემფშირის მიდებში დაიღო. თავდაპირველად თავყანისმცემლებს ვიზიტებზე უარს არ ეუბნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ადგილობრივი სკოლის ერთ-ერთმა მოსწავლემ მწერალთან საუბრის ფრაგმენტი ადგილობრივ გაზეთში გამოაქვეყნა, მისი სახლის კარი ყველასთვის სამუდამოდ დაიხურა.

ამტკიცებენ, რომ სიკვდილის ბოლომდე მწერალი საკუთარ თავს ათასგვარ გამოცდას უწყობდა. ის ხან ბუდიზმის მიმდევარი იყო, ხანაც — ინდუიზმის. ერთხანს იოგითა და არატრადიციული მედიცინითაც კი იყო გატაცებული.

1974 წლის 2 ნოემბერი. „ნიუ-იორკ თაიმსის“ რედაქციამ ზარი გაისმა. 20 წლიანი დუმილის შემდეგ 55 წლის მწერალმა ტელეფონით განცხადება გააკეთა: „საგამომცემლო საქმიანობა ყველაზე საშინელი ქარიშხალია ჩემს პირად ცხოვრებაში. დაახ, მე მომწონს, მეტიც — მიყვარს წერა, მაგრამ ამას მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ვაკეთებ“. მიუხედავად იმისა, რომ პროზაიკოსმა საუბრის დასაწყისში აღნიშნა, სულ ერთი წუთით ვრეკავო, საუბარი ნახევარ საათს გაგრძელდა. ჯერომ სელინჯერი აღმფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ მისი ადრეული მოთხრობების კრებული გამოიცა და მთელ ამერიკაში გავრცელდა: „რამდენიმე მოთხრობა, რომელიც ჩემი საკუთრებაა, ნებართვის გარეშე დაბეჭდეს. უბრალოდ, მომპარეს. ეს არაკანონიერი და უსამართლო ქმედებაა. ეს იგივეა, თქვენი საყვარელი ქურთუკი თქვენს დაუკითხავად ვინმე ჩაიცივას და წავიდეს. აი, ასეთ რამეს განვიცდი ახლა. ყველაზე ძვირფასი განძის გარეშე დამტოვეს, გამძარცვეს. ჩემი მოთხრობები ჩემთან ერთად უნდა დამარხებულიყო. მათ დაბეჭდვას არასდროს ვაპირებდი. და არა იმიტომ, რომ ადრეული ნაწარმოებების დამალვას ვცდილობ, არამედ იმიტომ, რომ დაბეჭდვას არ იმსახურებდნენ.“

განდევილი ჯერომ სელინჯერი 27 იანვარს, 91 წლისა გარდაიცვალა.

ლიტერატურული გაზეთი

გამომდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტები ხათუნა აღსაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული
ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com